

ქანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2024, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2024, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2024, №1

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2024, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქატიკვან შინგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

- 1. საზიარო უფლებები**
საზიარო უფლების გაუქმება 4; 10; 20
- 2. ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები**
ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები 32; 54; 68
- 3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება**
ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 80
- 4. უსაფუძვლო გამდიდრება**
სხვისი სამართლებრივი სიკეთის
ხელყოფის შედეგები 92; 121; 135; 150; 163;
შეცდომით ხარჯების განევა სხვა პირის ქონებაზე 183

1. საზიარო უფლებები

საზიარო უფლების გაუქმება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-457-2020

29 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქობულეთში, ... მდებარე უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით №... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც, სადავო უძრავი ქონება ან საზიარო საგანი), რეგისტრირებულია მ. მ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან კასატორი), დ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, აპელანტი ან მონინაალმდეგე მხარე) და ი. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, აპელანტი ან მონინაალმდეგე მხარე) მ-ების თანასაკუთრების უფლება. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს განკარგულების საფუძველზე, უძრავი ქონების 1/2 წილი მოსარჩელეს, ხოლო, ჩუქების ხელშეკრულებით, 1/4-1/4 წილი მოპასუხეებს ეკუთვნით.

2. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2019 წლის 28 მაისის №003603519 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც, ექსპერტიზის დასკვნა) დასკვნის თანახმად, სადავო უძრავი ქონებიდან 1/2-ისა და 1/4-1/4-ის ერთგვაროვანი ნაწილების იზოლირებულად გამოყოფა, უძრავი ქონების ღირებულებისა და დანიშნულების შემცირების გარეშე, ტექნიკურად შეუძლებელია.

3. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით 2018 წლის 31 ივლისს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით, ამასთან, იშუამდგომლა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

4. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მოთხოვნის უარყოფა უსაფუძვლოების მოტივით.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მაგისტრალი მოსამართლის 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, სადავო უძრავ ქონებაზე გაუქმდა საზიარო უფლება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით და ამონაგები თანხის მხარეთა შორის ნიღების შესაბამისად განაწილებით. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 311-ე, 312-ე, 953-ე, 954-ე, 961-ე, 963-ე და 964-ე მუხლები.

6. მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვეს.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი უარყოფილ იქნა;

7.1. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და დაადგინა საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის გაყიდვითა და ამონაგები თანხის განაწილებით, მაშინ, როცა მოსარჩელის მოთხოვნა მხოლოდ საზიარო საგნის ნატურით გაყოფით გაუქმება იყო.

8. მოსარჩელემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

8.1. კასატორის მტკიცებით, სასამართლო მოთხოვნის ფარგლებს არ გასცდენია, რადგან მისი მოთხოვნა საკუთრების უფლების დაცვის მიზნით საზიარო უფლების გაუქმება იყო და, ვინაიდან ნატურით გაყოფა შეუძლებელი აღმოჩნდა, სასამართლომ მატერიალურსამართლებლივ ნორმებზე დაყრდნობით, მის მიერ ტრანსფორმირებული მოთხოვნის საფუძველზე, დაადგინა უფლების გაუქმება აუქციონის წესით.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 აპრილის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვე-

ტილების მიღებით, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

10. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ/კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

11. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, საზიარო უფლების გაუქმება, სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 953-ე (თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს), 961.1 (თითოეულ მოწილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება), 964.1 (თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით) მუხლებიდან გამომდინარეობს.

12. ზემოაღნიშნული ნორმებით, განსაზღვრულია საზიარო უფლების მქონე პირის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება და ამისთვის ამ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა საკმარისია.

13. ამდენად, საზიარო უფლების გაუქმებისათვის საკმარისია ერთ-ერთი მოწილის მოთხოვნაც, რაც მას ნებისმიერ დროს შეუძლია. ამასთან, როცა მხარე მოითხოვს საზიარო საგნის გაყიდვით საზიარო უფლების გაუქმებას, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი მთავარი წინაპირობა: საზიარო საგნის ნატურით გაყოფა უნდა გამოირიცხებოდეს. საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობა/შეუძლებლობაზე დათქმას შეიცავს სსკ-ის 963-ე მუხლი (საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე). აქედან გამომდინარე, საზიარო უფლების ნატურით გაყოფის წინაპირობა მაშინ იარსებებს, როცა შესაძლებელი იქნება საზიარო საგ-

ნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა ღირებულების შემცირების გარეშე, ხოლო, თუ ამგვარი გაყოფა შეუძლებელია, მაშინ საზიარო საგნის ნატურით გაყოფა გამორიცხულია. შესაბამისად, ასეთ დროს საზიარო უფლება შეიძლება, გაუქმდეს საზიარო საგნის გაყიდვით და თანამესაკუთრეთა შორის ამონაგების განაწილებით.

14. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხებმა საქმეში დაცული ვერცერთი მტკიცებულებით, მათ შორის, ვერც საკუთარი ახსნა-განმარტებით, ვერ გააქარწყლეს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (სსკ-ის 961-ე, 964-ე მუხლები). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს საზიარო უფლების გაუქმებას, საქმის მასალებით კი, დადასტურებულია, რომ სადავო უძრავი ქონების ნატურით გაყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხებს არ წარუდგენიათ, შესაბამისად, სსკ-ის 248-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ფარგლების გაცდენად ვერ მიიჩნევა მხარეთა შორის საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის გაყიდვითა და ამონაგები თანხის მათ შორის წილების შესაბამისი განაწილებით. ამასთან, მოსარჩელისა და მოპასუხის თანასაკუთრება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, რომლის მიმართაც სსკ-ის 312-ე მუხლის მიხედვით მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში განმარტებულია შემდეგი: „საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე, მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა.“ (იხ. სუსგ 2016 წლის პირველი მარტის საქმე №ას-39-39-2016, 2014 წლის 31 ივლისის საქმე №ას-67-65-2014, 2015 წლის 20

ივლისის საქმე №ას-774-741-2014, 2015 წლის 29 ივნისის საქმე №ას-59-58-2014).

16. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ: „სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლისა და 173-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მესაკუთრე თავის ქონებასთან მიმართებით თავისუფალია, მაგრამ მისი უფლებამოსილებანი შესაძლოა, შეზღუდული იყოს ან კანონით, ან ხელშეკრულებით. მესაკუთრის მოქმედებით არ უნდა ილახებოდეს მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების ბუნებიდან (საზიარო საკუთრებიდან) გამომდინარე, ნივთით სარგებლობის თავისუფლება გარკვეულწილად იზღუდება, რაც სხვა თანამესაკუთრეთა არსებობით და მათი ინტერესების გათვალისწინებითაა გამოწვეული.

17. საზიარო საგნის გაყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი გაყოფის შედეგად არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ და სამომხმარებლო დანიშნულებას, რაშიც იგულისხმება ობიექტის გაყოფამდე არსებული საყოფაცხოვრებო დანიშნულება. ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ფულადი ერთეულით გამოხატული ღირებულება. პალატას მიაჩნია, რომ საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმებისა და საკუთრებაში კუთვნილი წილის კომპენსაციის მიღების თაობაზე და იგი მართებულად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ“ (საქმე №ას-1148-1194-2014, 19.03.2015 წ.).

18. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილების შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით არ წარმოადგენს მესაკუთრის უპირობო უფლებას. აღნიშნულ უფლებას მესაკუთრე იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოდ დაადასტურებს ნივთის ნატურით გაყოფის შეუძლებლობას.

ამდენად, საზიარო უფლების გაუქმება წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის დისპოზიციური უფლებამოსილება – შეარჩიოს საზიარო უფლების გაუქმების კონკრეტული საშუალება, შეზღუდულია მატერიალური კანონმდებლობით.

მას შემდეგ რაც სასამართლო სარწმუნოდ დაადგენს ნივთის ნატურით გაყოფის შეუძლებლობას, მოსარჩელის მოთხოვნის დაზუსტება იმგვარად, რომ ქონების ნატურით გაყოფის შეუძლებლობის პირობებში საზიარო უფლების გაუქმება მოხდეს ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით, არ წარმოადგენს სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლას. აღნიშნული სხვა არაფერია, თუ არა მოთხოვნის

დაზუსტება, უფრო მეტიც, მითითებული მოთხოვნის დაზუსტებაზე უარი ანუ მითითებული მოთხოვნის სასარჩელო მოთხოვნის შეცვლად დაკვალიფიცირება გამოიწვევს სამართალწარმოებათა დუბლირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარე ნაცვლად იმავე სამართალწარმოებაში სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებისა, ვალდებული იქნება, აღძრას ახალი სარჩელი იმავე მოთხოვნით არა ნატურით გაყოფის, არამედ ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით.

პალატას მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნა ერთია – საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო მისი განხორციელების მატერიალურ-სამართლებრივი საშუალებებია ნატურით გაყოფა და რეალიზაცია. შესაბამისად, ერთსა და იმავე მოთხოვნის პირობებში მოთხოვნის დაკმაყოფილების წესის დაზუსტება სასარჩელო მოთხოვნის შეცვლად ვერ ჩაითვლება. (საქმე №ას-1653-1550-2012, 15.04.2013 წ.)

ზემომოხმობილი მსჯელობის და მითითებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო უფლება უნდა გაუქმდეს ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით და ამონაგები თანხის მხარეთა შორის წილების შესაბამისად განაწილებით, ვინაიდან, როგორც ითქვა, განსახილველ შემთხვევაში, სადავო საგნის ნატურით გაყოფა შეუძლებელია.

19. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 210 ლარის გადახდა;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე წ ვ ი ტ ა :

1. მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ქობულეთში, ... №169-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით №... გაუქმდეს საზიარო უფლება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით და ამონაგები თანხა მხარეთა შორის განაწილდეს წილების შესაბამისად – მ. მ-ძეს მიეკუთვნოს თანხის 1/2 ნაწილი, დ. და ი. მ-ებს 1/4-1/4 ნაწილი.
5. დ. და ი. მ-ებს მ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 210 ლარის გადახდა;
6. მ. მ-ძეს (პ/ნ ...) დაუბრუნდეს მ. ყ-ის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 60 ლარი (საგადახდო დავალება №0, გადახდის თარიღი 31.07.2018წ), შემდეგი ანგარიშიდან: თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი ...;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ს ა ზ ი ა რ ო უ ფ ლ ე ბ ის გ ა უ ქ მ ე ბ ა

გ ა ლ ა ნ ე წ ვ ა ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ას-1228-2020

25 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით

აღწერილობითი ნაწილი:

1. უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ფართი – 868 კვ.მ, ს.კ. ... (შემდგომში ასევე – „სადავო უძრავი ქონება“), თანასაკუთ-

რების უფლებით ეკუთვნით ს. მ-ნს (შემდგომში – „მოსარჩელე“) და გ. კ-ვას შემდეგი წილობრივი მონაცემებით: უძრავი ქონებიდან 434 კვ.მ – მოსარჩელეს, ხოლო, 434 კვ.მ ფართი მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3, №4, №5, №6 – მოპასუხეს.

2. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციისა და ამონაგები თანხის თითოეულ თანამესაკუთრეზე პროპორციულად განაწილების გზით.

3. მოსარჩელის განმარტებით, იგი ვერ სარგებლობს საზიარო საგნით და არ აქვს საშუალება თავისუფლად ფლობდეს უძრავი ქონებიდან თავის კუთვნილ წილს. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სადავო უძრავი ქონების გამიჯვნა თავისი ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, ვინაიდან მოპასუხე უარს აცხადებს ყოველგვარ მორიგებაზე, საჭიროა საზიარო უფლების გაუქმება, რათა ყველა მესაკუთრემ შეძლოს თავისი უფლების შეუზღუდავად რეალიზება.

4. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, თუნდაც დაკმაყოფილდეს სარჩელი და უძრავი ქონება აუქციონის წესით გაიყიდოს, შემდგომი სასამართლო დავის გარეშე ვერცერთი მხარისათვის დადგება სრულიად გარკვეული სამართლებრივი შედეგი, ვინაიდან მოსარჩელე არის მხოლოდ მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე, ხოლო მოპასუხე ამ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების, მათ შორის, საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეც.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოსარჩელისა და მოპასუხის საზიარო უფლება სადავო უძრავ ქონებაზე მისი აუქციონის წესით რეალიზაციის გზით და დადგინდა ამონაგები თანხის განაწილება მხარეთა შორის, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების შესაბამისად.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 პუნქტი განიმარტა შემდეგნაირად: რეალიზაციას ექვემდებარება საკადასტრო კოდში – №... მოქცეული უძრავი ქონება, რომელიც მოიცავს მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებს.

7. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვე-

ტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 03 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

9. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება.

10. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს ქ. თბილისში, ... მდებარე 868 კვ.მ-ის ნახევარზე – 434 კვ.მ-ზე საკუთრების უფლების მქონე პირს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ ამონაწერზე საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმად, მოსარჩელე რეგისტრირებულია სადავო უძრავი ქონებიდან 434 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, რომლის მიმართაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

11. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეთა თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების ნატურით გაყოფის გზით გაუქმება შეუძლებელია. სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის მიერ წარდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 17.02.2019წ. №000999219 დასკვნაზე, რომლის თანახმად, სადავო უძრავი ქონების გამიჯვნა ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე თანამესაკუთრეთა სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად შეუძლებელია, რადგან საკვლევითი ობიექტის რელიეფი (დონეთა სხვაობა საჯარო გზასა და მიწის ნაკვეთს შორის), შენობა-ნაგებობების მდებარეობა და მათზე არსებული ღია ნაწილები (ფანჯრისა და კარის ღიობები) არ იძლევა აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შესაძლებლობას.

12. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგოდ მოპასუხის მიერ წარდგენილი შპს „უ.ქ.ე.ის“ 10.10.2019წ. №19/10-10/11 დასკვნა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დასახელებული დასკვნის პირველ პუნქტში მითითებულ განმარტებაზე, რომ ამ მდგომარეობაში მიწის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა რთულია გარკვეული შენობების დანგრევის გარეშე; ასევე, დასკვნის მე-2 და მე-3 პუნქტების შინაარსზე, რომლის თანახმად, თუ დამკვეთი გარკვეულ შენობებს დაანგრევს, ორივე მხარეს მიეცემა შესაძლებლობა, დამოუკიდებელი შესას-

ვლელი გაიკეთოს მიწის ნაკვეთზე მოსახვედრად ... ქუჩიდან.

13. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი დასკვნით არ დასტურდება საზიარო ქონების ნატურით გაყოფის შესაძლებლობა; იგი არ მიუთითებს იმ პირობაზე, რომ საზიარო საგნის დაყოფა შესაძლებელია ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე; არსებული მოცემულობით ექსპერტი სთავაზობს მხარეს ქონების ორ ტოლ ნაწილად გაყოფისა და მიწის ნაკვეთებთან დამოუკიდებელი მისასვლელის გაკეთების შესაძლებლობას გარკვეული შენობების დანგრევის პირობებში; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი კი არ ითვალისწინებს ნატურით გაყოფის ისეთ კანონისმიერ შესაძლებლობას, როდესაც მხარეები დამატებით კიდევ სხვა ხარჯებს გაიღებდნენ; გარდა ამისა, დამატებითი ხარჯების გაღება მიუთითებს იმაზე, რომ ნივთის ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფა შეუძლებელია, რომ არაფერი ითქვას ასეთი გაყოფის შედეგად მიღებული ნივთების ღირებულების შემცირებაზე. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება, იმავე კოდექსის 964-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს წარმოუშობს საზიარო უფლების საზიარო საგნის რეალიზაციის გზით გაუქმებისა და ამონაგები თანხის თანამესაკუთრეთა შორის, საკუთრებაში არსებული წილების შესაბამისად, განაწილების მოთხოვნის უფლებას.

14. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის აუქციონზე გაყიდვის გზით მოითხოვდა, სწორედ მისი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა იმის დადასტურება, რომ შეუძლებელი იყო საზიარო საგნის ნატურით გაყოფა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მტკიცების ტვირთი დაძლია, ვინაიდან დადასტურებულია, რომ სადავო უძრავი ქონების ნატურით გაყოფა შეუძლებელია.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

16. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძველებზე:

16.1. მოსარჩელეს დავის მიმართ იურიდიული ინტერესი არ აჩნია, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაშიც გადაწყვეტილება არ არის აღსრულებადი შემდეგი გარემოებების გამო: მოპასუხე არის სადავო უძრავი ქონებიდან 434 კვ.მ ფართის მესაკუთრე მასზე აღმართული საც-

ხოვრებელი სახლითა და კიდევ 5 ნაგებობით, ხოლო მოსარჩელე მხოლოდ ცარიელი მიწის – 434 კვ.მ-ის მესაკუთრეა. აღსრულების დაწყებამდე უნდა მოხდეს საერთო ქონების შეფასება, რაც შეუძლებელია დამატებითი სასამართლო დავის გარეშე. მხოლოდ მიწის ნაკვეთის ფასის განსაზღვრა აუდიტის ან ექსპერტის მიერ არ ხდება. მიწის ნაკვეთის ფასი მიბმულია საცხოვრებელი სახლის ფასზე. ამდენად, ცალკე მიწის ნაკვეთის ფასის განსაზღვრის შემთხვევაშიც, ვერავინ წაართმევს მოპასუხეს საცხოვრებელი სახლის ფასზე შედაგების უფლებას და ვერავინ აიძულებს დამატებითი სასამართლო დავის გარეშე საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლებას. მიუხედავად მოპასუხის არაერთი მცდელობისა, სასამართლომ ეს საკითხი არ გამოარკვია;

16.2. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის დებულებათა იგნორირებით ხელყო მოპასუხის საკუთრების უფლება; იმავე დროს უგულებელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეტედენტული გადაწყვეტილებები საქმეებზე: №ას-67-65-2014, №ას-1089-2020, №ას-932-875-2012 და №ას-1665-1562-2012, კერძოდ, გასცდა საზიარო უფლების ობიექტს და აუქციონზე გასაყიდად საცხოვრებელი სახლიც გაიტანა, რომელიც მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაა;

16.3. სასამართლომ დაადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ქონების ნატურით გაყოფა დანახარჯების გარეშე შეუძლებელია, თუმცა არ გამოიკვლია შპს „უ.ქ.ე-ის“ დასკვნა და მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ ყოველგვარი ხარჯის გაღების გარეშე შესაძლებელია საზიარო ქონების გაყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა სტანდარტის დაცვით. მოპასუხე თანახმაა საკუთარი ხარჯებით ნაგებობისგან გაათავისუფლოს 434 კვ.მ მიწის ფართი იგივე დახრილობით, იგივე მისადგომით საჯარო გზასთან და ყველა საკომუნიკაციო საშუალებასთან.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომნების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

19. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხ-

ლის შესაბამისად, საზიარო უფლების საზიარო საგნის რეალიზაციის გზით გაუქმების მართლზომიერება.

20. საკასაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში საზიარო უფლების საზიარო საგნის რეალიზაციის გზით გაუქმება შეუძლებელია, ვინაიდან მხარეთა თანასაკუთრების უფლება ვრცელდება სადავო უძრავი ქონების მიწის ნაკვეთზე, ხოლო მასზე აღმართული შენობა-ნაგებობები მხოლოდ მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენს. კასატორის მტკიცებით, სასამართლო გასცდა საზიარო უფლების ობიექტს, რითაც შეილახა მოპასუხის საკუთრების უფლება.

21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარო და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამდენად, საზიარო უფლების მოწილეებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება.

22. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის (საზიარო უფლებები) წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. იმავე კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ამასთან, აღნიშნული კოდექსი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას – საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გაყიდვის გზით (964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის მართლზომიერებაზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობა.

23. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. ამდენად, დასახელებული სამართლებრივი ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად და 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულე-

ბა. როგორც პირველი, ისე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი. ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა (იხ. მაგ., სუსგ საქმე №ას-67-65-2014, 31 ივლისი, 2014 წელი; №ას-774-741-2014, 20 ივლისი, 2015 წელი; №ას-39-39-2016, 01 მარტი, 2016 წელი; №ას-1389-1309-2017, 30 აპრილი, 2018 წელი).

24. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 17.02.2019წ. №000999219 დასკვნითა (დეტ. იხ. წინამდებარე განჩინების მე-11 პუნქტი) და მოპასუხის მიერ წარდგენილი შპს „უ.ქ.ე-ის“ 10.10.2019წ. №19/10-10/11 საქმე-სპერტო დასკვნით (დეტ. იხ. წინამდებარე განჩინების მე-12 პუნქტი) დგინდება, რომ საზიარო საგნის, სადავო უძრავი ქონების დაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელია. კერძოდ, სადავო უძრავი ქონების ნატურით დაყოფა რეკონსტრუქციის გარეშე ტექნიკურად შეუძლებელია. სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების აუცილებლობა კი, საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მიუთითებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შეუძლებლობაზე (იხ. სუსგ საქმე №ას-1148-1094-2014, 19 მარტი, 2015 წელი). აღნიშნულზე გავლენას ვერ მოახდენს მოპასუხის მზაობა სრულად გასწიოს სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები. თავისთავად ის გარემოება, რომ უძრავი ქონების ნატურით გაყოფისათვის საჭიროა გარკვეული სამუშაოების ჩატარება, გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შესაძლებლობას.

25. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, ზოგადად, საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნის შეუძლებლობა არ უკარგავს პირს უფლებას, საზიარო საგანზე საკუთრების უფლება დაიცვას კანონით გათვალისწინებული სხვა წესით საზიარო საგნის გაყიდვის შედე-

გად ამ უფლების გაუქმებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის თანახმად, თუ ნატურით გაყოფა გამო-რიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგე-ბის განაწილებით. თუმცა, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საზიარო უფლების გაუქმება ასევე შეუძლებელია სა-ზიარო საგნის რეალიზაციის გზით.

26. კერძოდ, წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს მოსარჩელისა და მოპასუხის თანა-საკუთრებას, თუმცა უძრავი ქონებიდან მოსარჩელის საკუთრება-ში ირიცხება მხოლოდ 434 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო მოპასუხის საკუთრებაში 434 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე აღმართული შენო-ბა-ნაგებობები: №1, №2, №3, №4, №5, №6. ამდენად, აღნიშნულ უძრავ ქონებაში მხარეთა საზიარო უფლება ვრცელდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე.

27. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის თანახმად, შენობა-ნაგებობანი მიწის ნაკვეთის არ-სებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იმავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის გა-ნადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე და ცალ-კე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვა-ლისწინებულ შემთხვევებში. ამდენად, ნივთის არსებითი შემად-გენელი ნაწილი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი და ის იზიარებს მთავარი ნივთის სამართლებრივ ბედს. ეს სამართლებ-რივი შედეგი ვრცელდება მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილზეც. შესაბამისად, თუ პირი ყიდულობს მიწის ნაკვეთს, ივა-რაუდება, რომ იგი ყიდულობს ამ მიწასთან დაკავშირებულ შენო-ბა-ნაგებობას და სხვა არსებით შემადგენელ ნაწილებს (იხ. სამო-ქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II (სანივთო (ქონებრივი) სა-მართალი), თბილისი, 2018, მუხლი 150, გვ. 11-15).

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო უძრავი ქონე-ბის შემადგენელი შენობა-ნაგებობები, იქ არსებული მიწის ნაკვე-თის არსებით შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის მიხედვით სა-ზიარო უფლების გაუქმების შემთხვევაში, რეალიზაცია შეეხება როგორც მიწის ნაკვეთს, ისე მასზე მდგომ შენობა-ნაგებობებს, რო-მელიც საზიარო უფლების ობიექტს არ წარმოადგენს და რომელ-ზეც მხოლოდ მოპასუხის საკუთრების უფლება ვრცელდება. საკა-საციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ აღ-

ნიშნული ხელყოფს მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების უფლებას, რაც საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის ფარგლებში დაუშვებელია და გამოორიციხავს სარჩელის დაკმაყოფილებისა და საზიარო უფლების საზიარო საგნის რეალიზაციის გზით გაუქმების შესაძლებლობას.

29. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლება დაცულია მოქმედი კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი პუნქტით დადგენილია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს საკუთრებით მშვიდობიან სარგებლობას. ამასთან, როგორც კონვენციით, ისე – ეროვნული სამართლით (სსკ-ის 170-ე მუხლი) საკუთრების უფლებაში ჩარევა დასაშვებია, თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია პროპორციულობის ტესტი, რომლის თანახმად, ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური, ემსახურებოდეს ნათელი მიზნის მიღწევას და იყოს თანაზომიერი, ანუ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა უნდა იყოს მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

31. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 03 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

32. კასატორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე [საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები] და განმარტავს, რომ აღნიშ-

ნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. იმავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2019 წლის 8 ნოემბრის ცნობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2021 წლის 4 მარტის განჩინება), მთლიანობაში „6“ ფურცლად.

33. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

34. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა საზიარო უფლების გაუქმება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 120 ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

35. მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 150 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე ასევე 150 ლარი. შესაბამისად, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასაზღაურებლად 300 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე წ ი ტ ა :

1. გ. კ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 3 აგვისტოს განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. მ-ნის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ს. მ-ნს (პ/ნ: ...) გ. კ-ვას (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაექისროს 300 (სამასი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. გ. კ-ვას დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2019 წლის 8 ნოემბრის ცნობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2021 წლის 4 მარტის განჩინება), მთლიანობაში „6“ ფურცლად;
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ა ზ ი ა რ ო უ ფ ლ ე ბ ის გ ა უ ქ მ ე ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ

№ას-602-2019

22 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება, ქონების ნატურით გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 09.10.2018 წლის გადაწყვეტილებით ე. კ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, რო-

გორც „მოსარჩელე“) სარჩელი ნ. მ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“) მიმართ საზიარო უფლების გაუქმებისა და ქონების ნატურით გაყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.02.2019 წლის გადაწყვეტილებით – მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 09.10.2018 წლის გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საზიარო უფლება ლანჩხუთის რაიონში, სოფელ ... მდებარე №... (500 კვ.მ), №... (800 კვ.მ) №... (2800 კვ.მ), №... (3000 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე და თითოეული გაიმიჯნა 1/4 და 3/4 ნილების შესაბამისად, როგორც მოცემულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 18.07.2017 წლის №004075317 ექსპერტიზის დასკვნისა და მისი დანართებით. დადგინდა, მიწის ნაკვეთების 3/4 წილი მითითებული ექსპერტიზის დასკვნისა და დანართების შესაბამისად აღირიცხოს მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებაში. სარჩელი ლანჩხუთის რაიონი, სოფელ ... მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და შენობა-ნაგებობაზე საზიარო უფლების გაუქმებისა და ქონების ნატურით გაყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

3.1. საჯარო რეესტრის ამონაწერებით დადგენილია, რომ უძრავი ნივთები: ს/კ.: ..., ..., ..., ..., ... მოსარჩელისა და მოპასუხის თანასაკუთრებაა. მოსარჩელეს ეკუთვნის 3/4 წილი, ხოლო მოპასუხეს – 1/4 წილი. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით ..., განთავსებულია საცხოვრებელი სახლი და დამხმარე სათავსები.

3.2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 04.08.2017 წლის ექსპერტიზის №004482517 დასკვნით შეთავაზებული უძრავი ნივთის (ს/კ №...) მესაკუთრეთა წილების შესაბამისად გაყოფის ორივე ვარიანტი ითვალისწინებს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რისთვისაც საჭიროა პროექტის მომზადება და მის შესაბამისად სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება: (1) საცხოვრებელი სახლიდან (ს/კ №...) შესაძლებელია მოპასუხეს გამოეყოს 1/4 წილი იზოლირებულად

დანართი №1-ში არსებულ სახლის ნახაზების შესაბამისად, (მეორე სართულზე არსებული ოთახებიდან), კერძოდ №2-3 და №2-5 ოთახები საერთო ფართით 17,48 კვ.მ, რაც $(15,99-17,48=-1,49)$ 1,49 კვ.მ-ით მეტია იდეალურ წილზე (I ვარიანტი), 2) საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე დამხმარე სათავსიდან შესაძლებელია მოპასუხეს $\frac{1}{4}$ წილის შესაბამისად იზოლირებულად №1-1-2 სათავსი ფართით 6,12 კვ.მ. (იხ. I და II ვარიანტები), რაც $(6,12-6,12=0)$ შეესაბამება იდეალურ წილს (იხ. დანართი №1 და №3), 3) საცხოვრებელი სახლიდან შესაძლებელია მოპასუხეს გამოეყოს $\frac{1}{4}$ წილი იზოლირებულად დანართი №3-ში არსებული სახლის ნახაზის შესაბამისად მეორე სართულზე არსებული №2-ა №2-1-1 და №2-4-1 სათავსები რეკონსტრუქციით, ოთახების ფუნქციური დანიშნულების შეცვლით (II ვარიანტი). აღნიშნული ვარიანტის მიხედვით მეორე სართულზე მდებარე (№2-1-1 და №2-4-1) ოთახების მთლიანი ფართია 15,99 კვ.მ, რაც $(15,99-15,99=0)$ შეესაბამება $\frac{1}{4}$ იდეალურ წილს, ხოლო მეორე სართულზე მდებარე №2-ა საზაფხულო ფართი შეადგენს 3,61 კვ.მ, რაც $(3,61-0,90=-2,71)$ 2,71 კვ.მ ით მეტია $\frac{1}{4}$ იდეალურ წილზე. 4) ვინაიდან ექსპერტიზის მიერ განისაზღვრა საცხოვრებელი სახლის გაყოფის ორი შესაძლებლობა, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ს/კ №... მინის ნაკვეთზე არსებული განაშენიანებისგან თავისუფალი ფართის გაყოფისათვისაც განისაზღვრა ორი ვარიანტი (იხ. დანართი №2 და №4), რომლის მიხედვით: – მ. მ-ძეს (მოსარჩელის წინამორბედი მესაკუთრე, რომელმაც სადავო უძრავი ნივთები 16.01.2018 წელს გადაიქცა მოსარჩელეზე. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის, შემდეგში მოხსენიებული როგორც „მოსარჩელე“) $\frac{3}{4}$ წილის შესაბამისად შესაძლებელია გამოეყოს 1040,72 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება $\frac{3}{4}$ იდეალურ წილს. მოპასუხის $\frac{1}{4}$ წილის შესაბამისად შესაძლებელია გამოეყოს 346,90 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება $\frac{1}{4}$ იდეალურ წილს).

3.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 18.07.2017 წლის №004075317 დასკვნის თანახმად: ექსპერტიზისათვის წარდგენილ ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე ს/კ.: №..., ს/კ.: №..., ს/კ.: №... და ს/კ.: №... მიწის ნაკვეთებიდან, მოსარჩელეს $\frac{3}{4}$ წილის შესაბამისად შესაძლებელია იზოლირებულად გამოეყოს: ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 375 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს, დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 125 კვ.მ-ს. ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს, დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 200 კვ.მ-ს. ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 2100 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს,

დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 700 კვ.მ-ს. ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 2250 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს, დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 750 კვ.მ-ს. რაც შეეხება ს/კ.: №... მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელი სახლს, სახლის ტექნიკური პასპორტის მიხედვით მოსარჩელის $\frac{3}{4}$ წილის შესაბამისი ფართების გამოყოფა, რეკონსტრუქციის გარეშე ტექნიკურად შეუძლებელია. რეკონსტრუქციის გათვალისწინებით სახლიდან $\frac{3}{4}$ წილის იზოლირებულად გამოყოფა სათავსების ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლის გარეშე ტექნიკურად შეუძლებელია.

3.4. ამდენად, ექსპერტიზის დასკვნებით დგინდება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე ს/კ.: №..., ს/კ.: №..., ს/კ.: №... და ს/კ.: №... მიწის ნაკვეთებიდან შესაძლებელია იზოლირებულად გამოიყოს მოსარჩელის კუთვნილი იდეალური წილი, ხოლო საცხოვრებელ სახლზე (ს/კ ...) მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება, თუ შესრულდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

3.5. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 953-ე, 961-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე საერთო საკუთრება. სსკ-ის 963-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით არ წარმოადგენს მესაკუთრის უპირობო უფლებას. აღნიშნულ უფლებას მესაკუთრე იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოდ დაადასტურებს ნივთის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, რომლის შედეგად საზიარო საგნები უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. სსკ-ის 963-ე მუხლი არ ითვალისწინებს ნატურით გაყოფის ისეთ კანონისმიერ შესაძლებლობას, როდესაც მხარეებს დამატებით გასაღები ექნებათ კიდევ სხვა ხარჯი. დაუშვებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, თუ შეუძლებელია ყველა თანამესაკუთრის საკუთრების უფლების ღირებულების შენარჩუნება იდეალური წილის შესაბამისად.

3.6. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 04.08.2017 წლის №004482517 დასკვნით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მოსარჩელისა და მოპასუხის თანასაკუთრებაში არსებულ №.... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის რეალურად გაყოფა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების შესაბამისად – თითოეული წი-

ლის ღირებულებისა და დანიშნულების შემცირების გარეშე, შეუძლებელია. უძრავი ნივთის ნატურით გაყოფა მხოლოდ სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შემთხვევაშია დასაშვები. შესაბამისად, გაყოფის შემთხვევაში, მხარეებს დასჭირდებათ დამატებითი ხარჯის განევა, რათა საზიარო საგნის გაყოფის შედეგად მიღებულმა ნივთებმა გააგრძელონ მათი დანიშნულების შესაბამისი არსებობა. გაყოფის მეორე ვარიანტის შემთხვევაში გასაყოფი ფართის ნაწილი მეტია იდეალურ წილთან მიმართებით. არ არსებობს ნატურით გაყოფის გზით №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმების საფუძელი.

3.7. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, სასამართლომ საჯარო რეესტრის ამონაწერებითა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 18.07.2017 წლის №004075317 ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე ს/კ №..., ს/კ №..., ს/კ №... და ს/კ №... მიწის ნაკვეთების გაყოფა სრული იზოლირებით, ამონაწერში მითითებული წილობრივი მონაცემების შესაბამის ნაწილებად, მათი ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია. შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა.

საკასაციო საჩივრების მოთხოვნა:

4. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე მხარემ. I საკასაციო საჩივრის ავტორი ითხოვს გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას, ახალი გადანყვეტილებით – სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, ხოლო II საკასაციო საჩივრის ავტორი – მის ნაწილობრივ გაუქმებას, ახალი გადანყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრები დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

6. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას

იმ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

7. საქმეზე დადგენილია და საკასაციო საჩივრებით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

7.1. უძრავი ნივთები საკადასტრო კოდეზით: №..., №..., №..., №... და №... მოსარჩელის და მოპასუხის თანასაკუთრებაა. მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება უძრავი ნივთების 3/4 წილი, ხოლო მოპასუხის საკუთრებაში – 1/4 წილი. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდეზით №..., განთავსებულია საცხოვრებელი სახლი და დამხმარე სათავსები.

7.2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 18.07.2017 წლის №004075317 დასკვნის თანახმად: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთებიდან (საკადასტრო კოდეზი: №..., №..., №..., №...), მოსარჩელეს 3/4 წილის შესაბამისად შესაძლებელია იზოლირებულად გამოეყო: ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 375 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს, დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 125 კვ.მ-ს ; ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს, დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 200 კვ.მ-ს; ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 2100 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს, დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 700 კვ.მ-ს; ს/კ №... მიწის ნაკვეთიდან – 2250 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება იდეალურ წილს, დარჩენილი ტერიტორია შეადგენს 750 კვ.მ-ს. რაც შეეხება №... საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელი სახლს, სახლის ტექნიკური პასპორტის მიხედვით მოსარჩელის 3/4 წილის შესაბამისი ფართის გამოყოფა რეკონსტრუქციის გარეშე ტექნიკურად შეუძლებელია. რეკონსტრუქციის გათვალისწინებით სახლიდან 3/4 წილის იზოლირებულად გამოყოფა სათავსების ფუნქციური დანიშნულების შეცვლის გარეშე, ტექნიკურად შეუძლებელია.

7.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 04.08.2017 წლის ექსპერტიზის №004482517 დასკვნის თანახმად, ექსპერტის მიერ შემოთავაზებული მესაკუთრეთა წილების შესაბამისად უძრავი ნივთის (ს/კ №

....) გაყოფის ორი ვარიანტი, რომლებიც ითვალისწინებს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რისთვისაც საჭიროა მომზადდეს შესაბამისი პროექტი და მის მიხედვით შესრულდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები: (1) საცხოვრებელი სახლიდან (ს/კ № ...) შესაძლებელია მოპასუხეს გამოეყოს $\frac{1}{4}$ წილი იზოლირებულად, დანართი №1-ში არსებულ სახლის ნახაზების შესაბამისად, (მეორე სართულზე არსებული ოთახებიდან), კერძოდ, №2-3 და №2-5 ოთახები საერთო ფართით 17,48 კვ.მ, რაც (15,99-17,48=-1,49) 1,49 კვ.მ-ით მეტია იდეალურ წილზე (I ვარიანტი), 2) საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე დამხმარე სათავსიდან შესაძლებელია მოპასუხეს $\frac{1}{4}$ წილის შესაბამისად იზოლირებულად №1-1-2 სათავსი ფართით 6,12 კვ.მ. (იხ. I და II ვარიანტები), რაც შეესაბამება იდეალურ წილს, 3) საცხოვრებელი სახლიდან შესაძლებელია მოპასუხეს გამოეყოს $\frac{1}{4}$ წილი იზოლირებულად, დანართი №3-ში არსებული სახლის ნახაზის შესაბამისად, მეორე სართულზე არსებული №2-ა №2-1-1 და №2-4-1 სათავსები რეკონსტრუქციით, ოთახების ფუნქციური დანიშნულების შეცვლით (II ვარიანტი). აღნიშნული ვარიანტის მიხედვით, მეორე სართულზე მდებარე (№2-1-1 და №2-4-1) ოთახების მთლიანი ფართია 15,99 კვ.მ, რაც შეესაბამება $\frac{1}{4}$ იდეალურ წილს, ხოლო მეორე სართულზე მდებარე №2-ა საზაფხულო ფართი შეადგენს 3,61 კვ.მ, რაც (3,61-0,90=-2,71) 2,71 კვ.მ ით მეტია $\frac{1}{4}$ იდეალურ წილზე. 4) ვინაიდან ექსპერტიზის მიერ განისაზღვრა საცხოვრებელი სახლის გაყოფის ორი შესაძლებლობა, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ს/კ №... მიწის ნაკვეთზე არსებული განაშენიანებისგან თავისუფალი ფართის გაყოფისთვისაც განისაზღვრა ორი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს $\frac{3}{4}$ წილის შესაბამისად შესაძლებელია გამოეყოს 1040,72 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება $\frac{3}{4}$ იდეალურ წილს. მოპასუხეს $\frac{1}{4}$ წილის შესაბამისად შესაძლებელია გამოეყოს 346,90 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეესაბამება $\frac{1}{4}$ იდეალურ წილს).

7.4. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით დგინდება, რომ საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის ერთგვაროვან წილებად დაყოფით ისე, რომ არ შემცირდეს ნივთის ღირებულება, შესაძლებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №..., №..., №..., №...) და შეუძლებელია საცხოვრებელ სახლზე (ს/კ ...).

8. სარჩელის საგანს წარმოადგენს თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით. საზიარო უფლება, სსკ-ის მიხედვით, განეკუთვნება კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების კატეგორიას. სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარო

და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამდენად, საზიარო უფლების მონილებებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება. მოცემულ შემთხვევაში, მოდავე მხარეები არიან უძრავი ქონების თანამესაკუთრეები, რომელიც წარმოადგენს საზიარო უფლების ობიექტს და მხარეები ერთმანეთთან კანონისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან (სუსგ №ას-1148-1094-2014, 19.03.2015წ.).

9. სსკ-ის 173-ე მუხლის მიხედვით, საერთო საკუთრების ორი ფორმაა მოცემული: საზიარო და წილადი საკუთრება. წილადი საკუთრების თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში. საკუთრების წილი თვითონ არის საკუთრება, სამართლებრივი გაგებით. როგორც წესი, წილად თანასაკუთრებაზე გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი საკუთრების წესები. თანასაკუთრება არის სამოქალაქო კოდექსით აღიარებული ერთადერთი შესაძლებლობა, დაყოფილ იქნეს საკუთრების განკარგვის უფლებამოსილება ერთ ნივთზე; თანაზიარო საკუთრება არსებობს მაშინ, როცა თითოეული თანამესაკუთრის წილი საერთო ქონებაშია იდეალური წილის სახით და, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ივარაუდება, რომ თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის თანაბარი წილი (ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018წ., მუხ.173, ველი 1).

10. სსკ-ის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება სსკ-ის 953-ე-968-ე მუხლები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულ მონილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.

11. სსკ-ის 963-ე მუხლის საფუძველზე, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. ამდენად, საზიარო უფლების ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობა არის ის, რომ საგანი უნდა იყოფოდეს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. დასახელებული ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იუ-

რიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე (სუსგ. №ას-1217-2018, 13.12.2018წ.; №ას-1389-1309-2017, 30.04.2018წ.). ამდენად, საზიარო უფლება შეიძლება გაუქმდეს წილების შესაბამისად ნატურით გაყოფით, თუ შესაძლებელია მისი გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. წილთა ერთგვაროვნება გულისხმობს მათ სამეურნეო დანიშნულებას (იხ. Sprau, in Palandt BGB Komm, 72. Aufl., 2013, §752, Rn. 1,2,3).

12. საზიარო უფლების მქონეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს თავისი იდეალური წილის რეალურად გამოყოფა. ერთადერთი შეზღუდვა, რასაც კანონმდებელი აღნიშნული უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის აწესებს, არის ის, რომ საზიარო უფლების მქონე პირის უფლებით, გააუქმოს საზიარო საკუთრება, არ უნდა შეილახოს სხვა თანაზიარო მესაკუთრის საკუთრების უფლება. ამდენად, დაუშვებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, თუ შეუძლებელია ყველა თანამესაკუთრის საკუთრების უფლების ღირებულების შენარჩუნება საკუთარი იდეალური წილის შესაბამისად. მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის იდეალური წილის იმგვარი გამოყოფა, რომლითაც დაცულია ამ უკანასკნელის საზიარო საგნის გაყოფამდე არსებული მდგომარეობა (ღირებულება), საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით სსკ-ის 963-ე მუხლის კონტექსტში ლეგიტიმურს არ ხდის, თუ დაცული და შენარჩუნებული არ არის სხვა თანამესაკუთრეთა იდეალური წილის მდგომარეობა (ღირებულება) (სუსგ №ას-1977-2018, 22.03.2019წ.; სუსგ №ას-1080-1000-2017, 27.10.2017წ.).

13. საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე – საერთო საკუთრება (სუსგ №ას-1080-1000-2017, 27.10.2017, №ას-754-2021, 02.12.2021წ.).

14. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაბუთებულად შედავებული არ არის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე № ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავი ნივთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე საზიარო უფლების გაუქმება რეკონსტრუქციის გარეშე ტექნიკურად შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია რეკონსტრუქციის გათვალისწინებით გამოყოფა სათავსების ფუნქციური დანიშნულების

შეცვლის გარეშე. პალატა განმარტავს, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების აუცილებლობა მიუთითებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შეუძლებლობაზე (შდრ. სუსგ №ას-1148-1094-2014, 19.03.2015წ.). გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტის მიერ შეთავაზებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება შეცვლის სადავო სახლში არსებული ოთახების მოცულობას და საყოფაცხოვრებო დანიშნულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ საზიარო საგანი დაკარგავს იმ სამომხმარებლო ფუნქციას, რაც გააჩნდა გაყოფამდე. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ სსსკ-ის 963-ე მუხლი უშვებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფას ნივთის ტექნიკურად ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, თუმცა არ შეიცავს არავითარ დათქმას საზიარო საგნის სათანადო გადაკეთების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საზიარო საგნის გაყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი გაყოფის შედეგად არ დაკარგავს თავის ფუნქციურ და სამომხმარებლო დანიშნულებას, რაშიც იგულისხმება ობიექტის გაყოფამდე არსებული საყოფაცხოვრებო დანიშნულება. ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ფულადი ერთეულით გამოხატული ღირებულება (სუსგ №ას-1148-1094-2014, 19.03.2015 წელი). ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა სარჩელი ნატურით გაყოფის გზით №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავი ნივთზე საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე და არ არსებობს მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

15. სააპელაციო სასამართლომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 18.07.2017 წლის №004075317 დასკვნაზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია და მოპასუხის საკასაციო საჩივრით დასაბუთებულად შედაგებული არ არის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №..., №..., №..., №...) გაყოფა სრული იზოლირებით, ამონანერში მითითებული წილობრივი მონაცემების შესაბამის ნაწილებად, მათი ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია.

16. რაც შეეხება მოპასუხის განმარტებას მასზე, რომ ექსპერტიზის დასკვნით მიწის ნაკვეთებიდან მისი წილი ისეა გამოყოფილი, რომ მისთვის სახნავი დანიშნულების მიწებიდან გამოყოფილ ტერიტორიას არ აქვს მისასვლელი გზა, ხოლო ხეხილით განაშენიანებული ნაკვეთებიდან მოპასუხეს გამოეყო ის ნაწილი, რომელზეც ხეები არ ხარობს, რაიმე მტკიცებულება, რაც ზემოაღნიშნულ

გარემოებებს დაადასტურებდა, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არ არის. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესზე და აღნიშნავს, რომ სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურსამართლებრივ შედეგს გამოიწვევს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე დასადგენი გარემოებების თავისებურებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სწორად განკარგა საპროცესო საშუალებები და მიწის ნაკვეთების ნატურით გაყოფის შესაძლებლობის დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა – სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კვლევის წერილობით შედეგი, რაც შეეხება მოპასუხეს, მას ექსპერტიზის დასკვნის საპირისპირო რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რაც დაუსაბუთებელს ხდის მის პრეტენზიას. მოპასუხემ ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო მიწის ნაკვეთების ნატურით გაყოფის შეუძლებლობა. მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

17. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში,

საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

18. საკასაციო საჩივრების უარყოფის გამო, პალატას მიაჩნია, რომ კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.02.2019წ. გადაწყვეტილება.
4. კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

ბანჩინება საქართველოს სასახლით

№ას-536-2019

11 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის
უკან დაბრუნება (ძირითადი სარჩელი), მიუღებელი შემოსავლის
დაკისრება (შეგებებული სარჩელი)

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. ჭ-ის (შემ-
დეგში: მოსარჩელე, შეგებებული სარჩელით მოპასუხე, აპელანტი,
მოვალე ან პირველი კასატორი) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყო-
ფილდა;

1.1. მოსარჩელის სასარგებლოდ რ. ს-ეს (შემდეგში: მოპასუხე:
შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, კრედიტორი ან მეორე კასა-
ტორი) 2000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა;

1.2. ამავე გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელი ნაწილობ-
რივ დაკმაყოფილდა;

1.3. შეგებებული სარჩელის მოპასუხეს შეგებებული მოსარჩე-
ლის სასარგებლოდ 36 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-
პელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ (იხ. პირ-
ველი ქვეპუნქტი), რომლის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ
დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილე-
ბის სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მეორე პუნქტები გაუქ-
მდა; ამ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით
მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

2.1. თავდაპირველი სარჩელი დაკმაყოფილდა; ძირითადი მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს 37 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა;

2.2. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად, 7650 ლარი დაეკისრა;

2.3. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნისათვის გადახდილი თანხის ასანაზღაურებლად 201 ლარი დაეკისრა.

2.4. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დარჩენილ ნაწილში უცვლელი დარჩა.

3. მოცემულ საქმეზე შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებებია დადგენილი:

3.1. მოსარჩელემ, 2012 წლის 21 დეკემბრის ვალის აღიარების ხელწერილით (სხვა მოვალეებთან ერთად), აღიარა მოპასუხის მიმართ 80 938 აშშ დოლარის დავალიანების არსებობა, რომელიც მას 2013 წლის 1 თებერვლამდე უნდა გადაეხადა, თუმცა ამ თანხის გადახდა ვერ შეძლო.

3.2. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, 2013 წლის 25 მარტს, გაფორმდა გამოსყიდვის უფლებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა თბილისში, ... ქუჩა №6-ში მდებარე ბინა №12. უძრავი ქონების გამოსყიდვის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 2014 წლის 31 მარტი, ხოლო უძრავი ქონების ნასყიდობის ღირებულება – 82 556,76 აშშ დოლარით, ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამოსყიდვის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, გამოსასყიდი ფასი განისაზღვრებოდა 115 000 აშშ დოლარის მოცულობით. მხარეთა მიერ, 2014 წლის 21 ივნისს, ცვლილება იქნა შეტანილი ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების ვადა 2014 წლის 31 ოქტომბრამდე გაგრძელდა, ხოლო გამოსასყიდი თანხის ოდენობა 125000 აშშ დოლარით განისაზღვრა და ამავე ხელშეკრულების მე-5 პუნქტით გაიწერა, რომ გადახდის ნების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება ჩაითვლებოდა ვადამდე ადრე შეწყვეტილად, ხოლო გადახდილი თანხები დაბრუნებას არ დაექვემდებარებოდა. ხელშეკრულების გაფორმებისას მოვალემ (მოსარჩელემ) კრედიტორს (მოპასუხეს) 35 000 აშშ დოლარი გადაუხადა, ხოლო დარჩენილი 90000 აშშ დოლარი ეტაპობრივად უნდა გადაეხადა, 2014 წლის 31 ივლისამდე – 40 000 აშშ დოლარი, 2014 წლის 30 სექტემბრამდე – 40 000 აშშ დოლარი და 2014 წლის 31 ოქტომბრამდე – 10 000 აშშ დოლარი;

3.3. ხელშეკრულების ხელმოწერისას მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 35 000 აშშ დოლარი, ხოლო 2014 წლის 30 სექტემბერს – კიდევ 2000 აშშ დოლარი, თუმცა დადგენილ ვადაში მოვალის მიერ მაინც ვერ მოხერხდა უძრავი ქონების გამოსყიდვა, რის გამოც, მხარეთა შეთანხმებით, კრედიტორს (მოპასუხეს) უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცა 2012 წლის 21 დეკემბრის ვალის აღიარების ხელწერილში მითითებული ვალდებულების შეწყვეტის საწესდოდ.

4. მოვალემ სასამართლოში სარჩელი აღძრა 2013 წლის 25 მარტის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელზედაც მოპასუხემ, თავის მხრივ, შეგებებული სარჩელი აღძრა მოვალის უძრავი ქონებიდან გამოსახლების მოთხოვნით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით მოვალის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო კრედიტორის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის გამოსახლების მოთხოვნით დაწყებული სააღსრულებო პროცესის შეჩერების მიზნით, მოვალემ (თავდაპირველმა მოსარჩელემ) სადავო ქონება 2016 წლის 4 აგვისტოს გამოისყიდა.

6. მხარეთა შორის სადავოა 2014 წლის 21 ივნისის გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის (იხ. წინამდებარე განჩინების 3.2 ქვეპუნქტი) კაბალურობა და კანონსაწინააღმდეგობა, რასთან დაკავშირებითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის (მოვალის) მტკიცება და აღნიშნა, რომ ისეთი შინაარსის ეკონომიკური ურთიერთობებისათვის, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებაა (თუნდაც გამოსყიდვის უფლებით), გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების საგანსა და ფასს. პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სადავო უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულება და გამოსყიდვის ფასი ფაქტობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მეტიც – აღნიშნული საერთოდ არ წარმოადგენს სადავო გარემოებას, მოსარჩელე მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულების მე-5 პუნქტის დანაწესის უკანონობას დავობს, რომლითაც დადგენილია, რომ, გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება ჩაითვლებოდა ვადამდე ადრე შეწყვეტილად, ხოლო გადახდილი თანხები დაბრუნებას არ დაექვემდებარებოდა. შესაბამისად, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის სადავო გარემოება ხელშეკრულების საგანთან და ფასთან მიმართებით, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას

კონკრეტული პუნქტი შეაფასოს კაბალურ ან/და კანონსაწინააღმდეგო შინაარსის მატარებელ დებულებად და მიაჩნია, რომ კონკრეტული პუნქტი მხარეთა მიერ ნების ავტონომიის პრინციპის განხორციელების გზით, მათ შორის კონკრეტული შეთანხმების მიღწევის შედეგად განისაზღვრა. პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრებაც, რომ ხსენებული პუნქტი ხელშეკრულებაში მხარეთა ორმხრივი ნებით ჩაიდო და მოპასუხის ერთგვარ გარანტიასა და დაზღვევას წარმოადგენს მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების კვლავ დარღვევის შედეგად წარმოშობილ ზიანთან მიმართებით.

7. განსახილველ საქმეზე მოსარჩელის სააპელაციო სააჩივრის ფარგლებში მსჯელობის დროს სააპელაციო სასამართლომ აღნიშვნა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება და შესაბამისი წინაპირობების განხორციელების დადგენა მნიშვნელოვანია სამართლებრივი შეფასებისათვის, აღნიშნული კი სასამართლოს პრეროგატივაა. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ-ები: №ას-1529-1443-2012; №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016; №ას-737-689-2017, 11.04.2018). ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს – კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უფლებამოსილი და შესრულებაზე ვალდებული, სწო-

რედ, ეს პირები არიან. იგივე დანაწესია ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებშიც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 477-ე-520-ე მუხლები), რომლითაც ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი სწორედ ამ მხარეებს – მყიდველსა და გამყიდველს გააჩნიათ. სსკ-ის 509-ე მუხლის მიხედვით, „თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე“. სამოქალაქო კოდექსი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს უფლებას აძლევს ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ პირობა იმის შესახებ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში გამყიდველს შეუძლია უკან გამოისყიდოს გაყიდული ნივთი. გამოსყიდვა არის გამყიდველის უფლება და არა – მოვალეობა, რადგან ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე, ანუ გამყიდველის სურვილზეა დამოკიდებული გამოისყიდის თუ არა ნივთს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს გამყიდველის უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებით განკარგოს გამოსყიდვის უფლების გამოყენების საკითხი. გამოსყიდვის უფლების რეალიზაცია ცალმხრივი ნების გამოვლენას წარმოადგენს და მისი ნამდვილობა უკავშირდება როგორც ნების სწორ ფორმირებას, ისე – გამოხატვის პროცესის სათანადოდ დასრულებას. ამასთანავე, გამოსყიდვის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს მიღებასავალდებულო ნებას, ხოლო ასეთი ნების ნამდვილობის კიდევ ერთ უმთავრესი ელემენტია ნების ადრესატთან მისვლა. გამოსყიდვის უფლება, სსკ-ის 514-ე მუხლით შეიძლება მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდით იყოს შეზღუდული, ხოლო ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა (იხ. სუსგ №167-155-2015, 14.05.2015 წელი).

8. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ 2014 წლის 21 ივნისს მხარეთა მიერ ცვლილება იქნა შეტანილი ე.წ. გამოსყიდვის ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების ვადა 2014 წლის 31 ოქტომბრამდე გაგრძელდა, ხოლო გამოსასყიდის სახით გადასახდელი თანხის ოდენობა 125 000 აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო იმავე ხელშეკრულების მე-5 პუნქტით აღინიშნა, რომ გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება ჩაითვლებოდა ვადამდე ადრე შეწყვეტილად, ხოლო გადახდილი თანხები დაბრუნებას არ დაექვემდებარებოდა (იხ. წინამდებარე განჩინების 3.2 ქვეპუნქტი);

9. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 509-ე მუხლის (ნორმის დე-

ფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტში) ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ ხელშეკრულების ის ნორმა, რომლითაც გადახდის წესის დარღვევით გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა, ეწინააღმდეგება კანონს. როგორც ზემოთ აღინიშნა, გაყიდული ნივთის გამოსყიდვა გამყიდველის ნებაზე დამოკიდებული ქმედებაა და იგი გამყიდველის მიერ თავისუფალ სანყისზე გამოვლენილი ნების შედეგად უნდა განხორციელდეს. ამდენად, სანქციის დანესება ქმედებაზე, რომელიც ნების ავტონომიურობის პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს და აღნიშნულით თავდაპირველი მესაკუთრის შეზოჭვა, რომელმაც მესაკუთრის უფლებამოსილება განახორციელა – განკარგა ნივთი, არ შეესაბამება კანონმდებლის ნებას და იგი ბათილია (სსკ-ის 509-ე, 54-ე მუხლები). შესაბამისად, ამგვარი შეზღუდვა არ შეიძლება იურიდიულად მხოჭავი იყოს მხარისათვის. ამდენად, მესაკუთრეს (თავდაპირველ მოსარჩელეს, მოვალეს) შეეძლო გადაეხადა უძრავი ქონების ნასყიდობის საფასური და განეხორციელებინა ნივთის გამოსყიდვა, ან სადავო ნივთზე საკუთრების უფლება მოეპოვებინა მყიდველს. დადგენილია, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას მოვალემ (მოსარჩელემ) კრედიტორს (მოპასუხეს) 35 000 აშშ დოლარი გადაუხადა, ხოლო დარჩენილი 90000 აშშ დოლარი ეტაპობრივად უნდა გადაეხადა, 2014 წლის 31 ივლისამდე – 40 000 აშშ დოლარი, 2014 წლის 30 სექტემბრამდე – 40 000 აშშ დოლარი და 2014 წლის 31 ოქტომბრამდე – 10 000 აშშ დოლარი. დადგენილ ვადაში მოსარჩელემ ვერ შეძლო უძრავი ქონების გამოსყიდვა, რის გამოც, მხარეთა შეთანხმებით, მოპასუხეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცა 2012 წლის 21 დეკემბრის ვალის აღიარების ხელწერილში მითითებული ვალდებულების შეწყვეტის სანაცვლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხემ (მყიდველმა, კრედიტორმა) მოიპოვა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება გამყიდველის (მოვალის, მოსარჩელის) მიერ გამოსყიდვის უფლების განუხორციელებლობის გამო;

10. სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების კვლევა სსკ-ის 976-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით განახორციელა, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კონდიქციურ ვალდებულებათა რეგულირებას ეთმობა სსკ-ის 976-ე-991-ე

მუხლები. უსაფუძვლო გამდიდრება სახეზეა, თუ სახეზეა, მოპასუხის გამდიდრება, ამის შესატყვისად მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი და მატერიალურ სიკეთეთა/აქტივების ასეთი გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა. აღსანიშნავია, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ძირითადი დანიშნულება სწორედ დაზარალებულის ხარჯზე, უსაფუძვლოდ გამდიდრებული ან ქონებადაზოგილი შემძენის მიერ დაზარალებულისათვის ქონებრივი დანაკარგის ანაზღაურების უზრუნველყოფაა. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებებიც ერთიან დამოუკიდებელ არასახელშეკრულებო ინსტიტუტს წარმოადგენენ, რომელიც საკუთრების უფლებისა და სხვა ქონებრივი უფლებების დაცვას ემსახურება. ამ სახის ვალდებულების წარმოშობისათვის მნიშვნელოვანია თვით უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი და არა – კონკრეტული საფუძველი, რასაც გამდიდრება მოჰყვა. ასეთ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ გამდიდრებული პირის, როგორც მართლზომიერი ისე არამართლზომიერი მოქმედება. ასევე, დაზარალებულის და მესამე პირთა იგივე სახის მოქმედებები. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანი არის უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად შეძენილი ქონების ამოღება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობისა და სამართლიანობის აღდგენა. ამ მიზნით ქონებრივი შეღავათი იმ პირს უნდა დაუბრუნდეს, რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა, ანუ მისი უსაფუძვლო გამდიდრება. ამ ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულება არის არა ქონებრივი დანაკლისის შევსება, მაგ. ზიანის ანაზღაურება, არამედ ქონებრივი ნაშთის ამოღება, პირის თავდაპირველ ქონებრივ-სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა ანუ გამდიდრების გათანაბრება.

11. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლო გამდიდრების ცნების ნორმის ანალიზის გზით უსაფუძვლო გამდიდრებისათვის დამახასიათებელი შემდეგ ნიშნებზე გაამახვილა ყურადღება: 1. უსაფუძვლო გამდიდრებას ადგილი უნდა ჰქონდეს აუცილებლად სხვა პირის ხარჯზე; 2. უსაფუძვლო გამდიდრების დროს სხვისი ქონების შეძენა (დაზოგვა) ხდება დაზარალებულის ხარჯზე; 3. გამდიდრების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. 4. ტერმინის „ქონება“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო კანონით დაცული მატერიალური სიკეთე, არამედ ყოველგვარი ქონებრივი უფლებები; 5. უსაფუძვლო გამდიდრების დროს, მნიშვნელობა აქვს ობიექტურად დამდგარ შედეგს და არა ამ შედეგის დადგომასთან დაკავშირებული პირების მოქმედებას (ნებას); 6. უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად ვალდებულების წარმოშობას კანონმდებელი უკავშირებს არა მარტო კანონებს, სამარ-

თლებრივ აქტებს, არამედ – სხვადასხვა სახის იურიდიულ ფაქტებსაც. განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდა უძრავი ქონების მყიდველის (მოპასუხის, კრედიტორის) საკუთრებაში გადასვლით, შესაბამისად, გამოვლენილია გამყიდველის მიერ გადაცემული 35 000 აშშ დოლარის უკუქცევის სამართლებრივი წინაპირობები. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულის საწინააღმდეგო მსჯელობა გამოინვევდა ერთი პირის უსაფუძვლო გამდიდრებას მეორის ხარჯზე, რაც კანონმდებლის ნებას ეწინააღმდეგება. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მოსარჩელის (მოვალის) მიერ მოპასუხისათვის (კრედიტორისათვის) ანაზღაურებული თანხა გაცილებით აჭარბებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. მოცემულ კონტექსტში, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2016 წლის 4 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით, მოპასუხემ (კრედიტორმა) ისევ გაყიდა, ხოლო მოსარჩელემ (მოვალემ) იყიდა ქ. თბილისში, ... №6-ში მდებარე №12 ბინა, 147 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ.

12. სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2014 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 4 აგვისტომდე მოსარჩელე (მოვალე) უკანონოდ ფლობდა იმავე პერიოდისათვის მოპასუხის საკუთრებაში რიცხულ ქონებას. როგორც შეგებებული სარჩელის ავტორი (მოპასუხე, კრედიტორი) განმარტავს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების – ბინის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში დროულად გადაცემის შემთხვევაში, იგი გააქირავებდა საცხოვრებელ ფართს და მოგებას მიიღებდა. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება რო-

გორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის, თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, ასევე, თავად „მიუღებელი შემოსავლის“ განმარტება. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ეს არის სარგებელი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული, თუმცა თავად მოგება არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე, რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

13. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ნივთის გაქირავება უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებულ და აპრობირებულ ფორმას წარმოადგენს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, მართებულად დაასკვნა, რომ მოვალის (თავდაპირველი მოსარჩელის) ვალდებულების (უძრავი ქონების გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა მოპასუხისათვის) სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობამ მოპასუხეს (შეგებებული სარჩელის ავტორს, კრედიტორს) ზიანი მიაყენა და მან, 2014 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 4 აგვისტომდე პერიოდისათვის თვეში 1500 ლარის ოდენობით დაზოგა თანხა, რაც ჯამში 36 000 ლარს შეადგენს.

14. ზემოხსენებული მოტივაციით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელემ და მოპასუხემ;

15.2. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლა შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებულ ნაწილში და შეგებებული სარჩელის უარყოფა,

ხოლო შეგებებული სარჩელის ავტორმა (მოპასუხემ) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში, შესაბამისად, მოვალის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

15.3. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელისა (პირველი კასატორი) და მოპასუხის (მეორე კასატორი) საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმების, მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადები დაუსაბუთებელია და ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორებს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვთ წარმოდგენილი.

17. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს როგორც ძირითადი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ისე – შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, რაც პირველი და მეორე კასატორების საკასაციო პრეტენზიების არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრების უარყოფისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

18. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში არსებითად

განიხილავს და ამონმებს საკასაციო საჩივრებში ასახული პრეტენზიების დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

19. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და, აქედან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი სავსებით მართებულად არის განსაზღვრული. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედაცვბული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდაცვბლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცების საგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გა-

მოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტორივად გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

20. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

21. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და განაწილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძველიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული განაწილება მოდავე მხარეებს შორის.

22. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს

შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

23. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტის გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძველის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარე-

მოებზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰან ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ.64) – იხ. შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ.

24. განსახილველ შემთხვევაში თავდაპირველი მოსარჩელე (პირველი კასატორი) მოითხოვს გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და შეგებებული სარჩელის მოპასუხეს (მოკვალეს), კრედიტორის სასარგებლოდ, 36 000 ლარის გადახდა დაეკისრა, როგორც მიუღებელი შემოსავალი. პირველი კასატორის ძირითადი პრეტენზია იმას უკავშირდება, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პერიოდში პირისათვის მიუღებელი შემოსავლის (ქირის) დაკისრება იმ დროს, როდესაც არ იყო მიღებული სასამართლო მიერ საბოლოო გადანყვეტილება, დაუსაბუთებელია, ამასთან, კასატორის მტკიცებით, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ შეგებებული სარჩელის ავტორი გააქირავებდა ამ ქონებას და სწორედ მას ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი. საკასაციო პრეტენზიის გასამყარებლად პირველი კასატორი უთითებს სუსგ-ზე №ას-459-438-2015, 7.10.2015 და მიაჩნია, რომ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევს. კასატორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიუთითებს, რომ მხარის მიერ მოხმობილი გადანყვეტილება ეფუძნება სრულიად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს და განხილული დავა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების 459 000 აშშ დოლარის დაბრუნებას (ასევე სხვა მოთხოვნებს) ეხებოდა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მოცემული საქმის მასალებით დგინდება მყიდველს 459,000 აშშ დოლარი გადახდილი აქვს უძრავი ქონე-

ბის შექმნის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შექმნა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და ამ გზით, სარგებლის მიღება. შესაბამისად, მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი სახეზე არ გვაქვს, რაც ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია“ (იხ. სუსგ №ას-459-438-205, 7.10.2015წ; პ. 8.14). სასამართლოსათვის ყოველ კონკრეტულ საქმეზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია, მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიებისა და მისადაგების გზით, მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება და დასკვნების გამოტანა (იხ. წინამდებარე განჩინების 19-23 პუნქტები).

25. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოვალემ შეუსრულებელი ვალდებულების გამო, რომელიც აღიარებული აქვს ხელწერილით, გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა კრედიტორთან, საბოლოოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და გამოსყიდვის ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მოვალის კუთვნილი უძრავი ქონება საკუთრებად გადაეცა კრედიტორს ვალის აღიარების ხელწერილში მითითებული ვალდებულების შეწყვეტის სანაცვლოდ (იხ. წინამდებარე განჩინების 3.1-3.3 ქვეპუნქტები), შესაბამისად, კრედიტორი (შეგებებული სარჩელის ავტორი) ქონების მესაკუთრედ აღირიცხა საჯარო რეესტრში. ამდენად, კრედიტორს მოვალის ბინის შექმნა კი არ სურდა, არამედ ის გამოსყიდვის ვადის უშედეგოდ გასვლის გამო მიიღო საკუთრებად, რაც იმასაც გულისხმობს, რომ მას საცხოვრებლად არ სურდა ეს ბინა, ხოლო უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ განკარგვის ერთ-ერთი სახეა, მისი გაქირავება და შემოსავლის მიღება, რაც მოცემულ შემთხვევაში სადავო პერიოდში, როდესაც კრედიტორის საკუთრებად ირიცხებოდა უძრავი ქონება ვერ შეძლო ამ უკანასკნელმა, რადგან მოვალე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრობდა სხვის ბინაში. ამდენად, შეგებებული სარჩელის მოთხოვნას გააჩნია ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, რაც მართებულად დაასკვნა პირველი ინსტანციის სასამართლომ, ამ ნაწილში უცვლელად დარჩა გადანყვეტილება საპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე და საკასაციო სასამართლოსაც მიაჩნია, რომ არსებითად სწორი და დასაბუთებულია საპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სარჩელის უცვლელად დატოვების ნაწილში.

26. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარე-

ობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა). სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Total reparation-ის პრინციპი). ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია. სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნა იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში (იხ. სუსგ №ას-630-593-2012, 11.06.2012 წ.) ანალოგიურ დათქმებს შეიცავს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8:101-ე (2) და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (1) მუხლები. მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (lucrum cessans). სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა მოვალეს რომ ვალდებულეა ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა

და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯერონად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (იხ. სუსგ-ები: №ას-307-291-2011, 24.10.2011წ; №ას-6 459-438-2015, 07.10.2015წ; №ას-180-2020.08.04.2021წ; №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-91-2021, 22.04.2021წ; №ას-243-2021, 04.06.2021).

27. პირველი კასატორის პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან საქმეზე დადგენილია, რომ 2014 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 4 აგვისტომდე მოსარჩელე (მოვალე) უკანონოდ ფლობდა იმავე პერიოდისათვის მოპასუხის საკუთრებაში რიცხულ ქონებას. ამასთან, სამართალწარმოების მიმდინარეობა თავისთავად არ წარმოადგენს პუბლიცირებულ უფლებათა (საჯარო) რეესტრში მესაკუთრის უფლებაზე ჩანაწერის გაუქმების საფუძველს. კასატორის პრეტენზიის პასუხად საკასაციო სასამართლო იმასაც განმარტავს, რომ იმ დაშვებითაც, რომ დადგენილ ვადაში გამოესყიდა გამყიდველს (ამ დავის მოვალეს) ნასყიდობის საგანი მყიდველისაგან (კრედიტორისაგან), ამ უკანასკნელს მაინც ჰქონდა უფლება, რომ გამოსყიდვამდე პერიოდში, ანუ გამყიდველის მიერ ამ უფლების რეალიზაციამდე, ნასყიდობის საგნის გამოყენებით მიღებული სარგებელი მიეღო, რადგან „გამოსყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებასა და გამოსყიდვის უფლებას შორის პერიოდში ეკუთვნის მიღებული სარგებელი“ (იხ. სოფიო ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი – www.gecc.ge, მუხლი 509, ველი 3). მოცემულ საქმეზე კი კრედიტორმა მისი საკუთრებით არამართლზომიერად სარგებლობის პერიოდისათვის იმ თანხის გადახდა მოითხოვა, რასაც გაქირავების შემთხვევაში მიიღებდა.

28. მეორე კასატორის (შეგებებული მოსარჩელის) საკასაციო პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ უსაფუძვლოა თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან სასამართლომ დაარღვია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები. სამოქალაქო დავის საგანს წარმოადგენდა 2014 წლის 21 ივნისის ხელშეკრულების მე-5 პუნქტი (იხ. წინამდებარე განჩი-

ნების 3.2 ქვეპუნქტი), რომელიც სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე უნდა განიმარტოს, ეს უმნიშვნელოვანესია დავის გადასაწყვეტად; ხელშეკრულების მხარეები ფიზიკური პირები არიან, ეს არ არის ე.წ. სამომხმარებლო ხელშეკრულება, შესაბამისად. არც ერთი მხარე არ არის დომინანტი მეორესთან მიმართებით და მე-5 პუნქტში სწორედ ნების ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე გაითვალისწინებს ხელშეკრულება მხარეებმა ის პირობები, რაც სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია. კასატორი უთითებს სსკ-ის 319-ე მუხლზე და განმარტავს, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პირობა, რაც მე-5 პუნქტში აისახა, არ უკავშირდება სსკ-ის 976-ე მუხლით განსაზღვრულ წინაპირობებს და მისი გამოყენება მოცემულ საქმეზე არარელევანტურია; კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოვალის (თავდაპირველი მოსარჩელის) მიერ კრედიტორისათვის (მოპასუხის, იმავდროულად შეგებებული სარჩელის ავტორისათვის) გადახდილი 2000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, ამ ნაწილში არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია, რის გამოც, ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი კანონიერ ძალაში შევიდა. მოვალემ მხოლოდ 35 000 აშშ დოლარის ნაწილში გაასაჩივრა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მას არ მოუთხოვია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება და გადაწყვეტილების გამოტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო გაცდა საჩივრის მოთხოვნას, გააუქმა პირველი ინსტანციის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია სსსკ-ის 377-ე და 384-ე.

29. საკასაციო სასამართლო არსებითი განხილვის შედეგად არ იზიარებს მეორე კასატორის საკასაციო საჩივრის საფუძველებს და მიაჩნია, რომ საკასაციო პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს მოვალის სააპელაციო საჩივარზე, რომელშიც მკაფიოდ და არაორაზროვნად არის ჩამოყალიბებული სააპელაციო მოთხოვნა „გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება შ. ქ-ის სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და დაკმაყოფილდეს შ. ქ-ის სარჩელი სრულად, ხოლო რ. ს-ძის შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე“, გარდა სააპელაციო მოთხოვნისა სააპელაციო საჩივარში ვრცლად არის განვითარებული მსჯელობა მოპასუხისაგან 37 000 აშშ დოლარის, როგორც კრედიტორის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადახდილი თანხის, დაბრუნების თაობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საქმე განხილული აქვს აპე-

ლანტის მოთხოვნის საფუძველზე და გასაჩივრებულ ფარგლებში, სასამართლოს არ დაურღვევია გადაწყვეტილების შემონებისა და შეცვლის ფარგლებისათვის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები და მეორე კასატორის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

30. მეორე კასატორის პრეტენზია უკავშირდება მისთვის დაკისრებული თანხის გადახდას კონდიციური ნორმების საფუძველზე, რაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-5 პუნქტის შინაარსის შეფასებას მოითხოვს მხარეთა მიერ გამოვლენილი თავისუფალი და ავტონომიური ნების ფარგლებში. საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, რაც სსკ-ის 509-ე-515-ე მუხლებით წესრიგდება. სსკ-ის 509-ე მუხლზე მითითებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს გამყიდველის უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებით განკარგოს გამოსყიდვის უფლების გამოყენების საკითხი. გამოსყიდვის უფლების რეალიზაცია ცალმხრივი ნების გამოვლენას წარმოადგენს და მისი ნამდვილობა უკავშირდება როგორც ნების სწორ ფორმირებას, ისე გამოხატვის პროცესის სათანადოდ დასრულებას. ამასთანავე, გამოსყიდვის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს რა მიღებასავალდებულო ნებას, ასეთი ნების ნამდვილობის კიდევ ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ნების ადრესატთან მისვლა, რამდენადაც, გამოსყიდვის უფლება, სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლით შეიძლება მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდით იყოს შეზღუდული, ხოლო ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“ (სუსგ №ას-167-155-2015, 14.05.2015წ.), შესაბამისად, სსკ-ის 509-ე მუხლით გამყიდველისათვის ნასყიდობის ხელშეკრულებით მინიჭებული გამოსყიდვა არის უფლება და არა ვალდებულება (შეად. სუსგ-ებს: №ას-132-124-2015, 29.04.2015წ.; №ას-871-821-2015, 05.02.2016წ.; №ას-56-54-2016, 15.03.2016წ.; №ას-694-665-2016, 31.03.2017წ.), ეს კანონმდებლის მკაფიოდ და არაორაზროვნად ჩამოყალიბებული მოწესრიგებაა, რასაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს 513-ე მუხლი, რომლის თანახმად „თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია“. ამდენად, ნებაზე დამოკიდებული უფლების განხორციელების ე.წ. „სანქცირება“ ნებისმიერი ფორმით დაუშვებე-

ლია, განსახილველ შემთხვევაში, კანონსაწინააღმდეგო და ბათილია მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-5 პუნქტი (იხ. წინამდებარე განჩინების 3.2 ქვეპუნქტი), რომლითაც უკანონოდ განისაზღვრა გამყიდველის ნებაზე დამოკიდებული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში თანხის იმ ნაწილის დაუბრუნებლობა, რაც ფაქტობრივად იქნებოდა გადახდილი, რაც გამოსყიდვის უფლების სამართლებრივ ბუნებას ეწინააღმდეგება, რადგან თანხის გადახდა გამოსყიდვის უფლების განხორციელების წინაპირობაა და მხარეები გამოსასყიდი თანხის რამდენიმე ეტაპად გადახდაზე შეთანხმდნენ. დასახელებული პუნქტი გარიგების ბათილი ნაწილია, რომელიც მთელი გარიგების ბათილობაზე არ ახდენს გავლენას (სსკ-ის 509-ე, 510-ე, 514-ე, 515-ე, 50-ე, 51-ე, 54-ე, 62-ე მუხლები) და გადახდილი თანხის სრული ოდენობით უკუქცევის ვალდებულებას წარმოშობს სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

31. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „კონდიქციური დანაწესების (სსკ-ის 976-ე-991-ე მუხლები) გამოყენების უმთავრესი წინაპირობა მის სუბსიდიურობაში ვლინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესები მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო მოვლენათა დინამიკის გათვალისწინებით დაასკვნის, რომ გამორიცხულია სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება (მაგ: პოსესორული ან ვინდიკაციური სარჩელები (სანივთო სამართალი), სარჩელი ვალდებულების შესრულების შესახებ (როგორც პირველადი, ისე – მეორადი მოთხოვნები) და სხვა) – (იხ. სუსგ-ები №ას-774-723-2017, 11.10.2017წ.; №ას-794-794-2018, 11.09.2018წ; №ას-1021-2019, 20.12.2019წ.). კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა გამოიკვეთოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება სამართლებრივ საფუძველს უნდა იყოს მოკლებული, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რისი შედეგია უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად მათი ნების საწინააღმდეგოდ, ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძველით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულის-

ხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, ასევე, აუცილებელია გამდიდრება სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც, ერთი პირის ქონება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე იზრდება (იხ., მ. ახალაძე „უსაფუძვლო გამდიდრება“ /2005-2018წ.-ის პირველი ნახევარი/, თბილისი, 2018; გვ: 16-17).

32. საკასაციო სასამართლოს შეფასებით უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, რაც უზრუნველყოფს არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტია ის, რომ ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. განსახილველ შემთხვევაში, მეორე კასატორის, როგორც ბინის მყიდველის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა იმ თანხის ნაწილი, რომელიც უძრავი ქონების, გამოსყიდვის უფლებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაიდო მყიდველსა და გამყიდველს შორის, რადგან ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო გამოსყიდვის თანხის სრულად გადახდა მყიდველისათვის, ხოლო მყიდველის ქონებრივ სფეროში დარჩა არა მხოლოდ გამოუსყიდველი უძრავი ქონება, რომელიც საკუთრებად დაირეგისტრირა, არამედ გამოსასყიდად გადახდილი თანხის ნაწილიც, რომელიც ხელშეკრულების მე-5 პუნქტის, როგორც ბათილი ნაწილის, მიხედვით, არ შეიძლება მყიდველის ქონებრივ სფეროში დარჩეს, რადგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მის გამდიდრებას იწვევს (მყიდველმა მიიღო როგორც ქონება, ისე ქონების გამოსასყიდი ფულადი თანხის ნაწილი), რაც უნდა დაუბრუნდეს გამყიდველს. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. შესაბამისად, შეცილების განხორციელების მომენტიდან, მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენა ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა (შე-

ად. სუსგ-ებს: №ას-251-2021, 11.06.2021წ; №ას-1392-2020, 03.06.2021წ; №ას-173-2021, 31.05.2021წ; №ას-1766-2019, 19.05.2021წ; №ას-64-2019, 05.03.2021წ.).

33. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასებით საკასაციო საჩივრებში წარმოდგენილი არც ერთი არგუმენტი არ განაპირობებს მხარეთათვის სასარგებლო სამართლებრივი შედეგის დადგომას, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებითი განხილვის შედეგადაც კი არ გამოვლინდა საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების წინაპირობა, რაც საკასაციო განაცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

34. სსსკ-ის 55.2-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრების უარყოფის გამო კასატორების მიერ გადახდილი ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში დარჩება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. რ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირობა კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველზე

გადაწყვეტილება საქართველოს სასახლით

№ას-802-2020

21 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: მინდობილობების, ნასყიდობისა და ჩუქების
ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ქონების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. ი-მა, მ. თ-მა, ა. ა-მა, გ. ჯ-მა, ი. გ-ძემ, ა. მ-ძემ (ნ. მ-ძის
უფლებამონაცვლე), რ. გ-მა, მ. გ-ვამ, ვ. ს-მა, მ. ლ-მა და ი. ი-მა (შემ-
დგომ – მოსარჩელები, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრეს
სასამართლოში დ. ა-ის (შემდგომ – თავდაპირველი მოპასუხე), ჯ.
ხ-ისა (შემდგომ – პირველი მოპასუხე) და თ. ხ-ის (შემდგომ – მეორე
მოპასუხე, ასევე პირველი და მეორე მოპასუხე ერთობლივად
მოხსენიებული როგორც მოპასუხეები, აპელანტები, კასატორები)
მიმართ 2005 წლის 15, 18, 22 და 25 ივლისის სასამართლო წესით და-
მონმებული მინდობილობების, 2005 წლის 28 ივლისის შპს „დ-სა“
და მოსარჩელებს შორის დადებული №7413 უძრავი ქონების ნას-
ყიდობის ხელშეკრულების, 2005 წლის 29 სექტემბერს მეორე მო-
პასუხესა და მოსარჩელებს შორის დადებული №1-6118 უძრავი
ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2014 წლის 11 თებერ-
ვალს პირველი და მეორე მოპასუხეს შორის დადებული ჩუქების
ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და, მოპასუხეთათვის 140 001
ლარის გადახდის სანაცვლოდ, ქ. თელავში, ... გამზირზე მდებარე
უძრავი ქონების (ს/კ ...) მოსარჩელეთათვის დაბრუნების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძველები

2. მოსარჩელეთა განმარტებით, სასამართლომ ბათილად ცნო
ბაზრის პირდაპირი წესით ქონების თ. დ-თვის მიყიდვას თაობაზე
გამგეობის უკანონო გადაწყვეტილება და, მოსარჩელები, რომ-
ლებიც ბაზრის კოლექტივის თანამშრომლები იყვნენ, მიჩნეულ იქ-
ნენ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირებად. ამავე დროს
თელავის აგრარული ბაზარი გადაეცა „ცეკავშირს“. ცეკავშირის

გამგეობამ 2004 წლის 1 ივნისს №11/2 დადგენილებით ბაზარი გადასცა ბაზრის კოლექტივის უპირატესი შესყიდვის უფლებით, თუმცა თ. დ-ი არ დაემორჩილა გადაწყვეტილებას და ბაზარში არ შეუშვა თანამშრომლები. აღნიშნულის შემდგომ დავის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღო კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ – თავდაპირველმა მოპასუხემ, რომელმაც აიძულა მოსარჩელები, ბაზარი მიეყიდათ პირველი მოპასუხისათვის და შემდეგ მისი შვილის – მეორე მოპასუხისათვის. თავდაპირველი მოსარჩელის მუქარის შემდეგ, პირველმა მოპასუხემ 2005 წლის 28 ივლისის სანოტარო აქტით შეისყიდა 140 000 ლარად ბაზარი. კვლავ თავდაპირველი მოპასუხის ზენოლის შედეგად 2005 წლის 29 სექტემბრის სანოტარო აქტით სადავო ქონება გადაეცა მეორე მოპასუხეს. ამდენად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ხელშეკრულებები და ქონება დაუბრუნდეს მოსარჩელებს.

მოპასუხის შესაგებელი

3. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ სადავო გარიგებები კანონიერია. ამასთან, გასულია მათი გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა.

4. თავდაპირველ მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; 2005 წლის 29 სექტემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და 2014 წლის 11 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულება ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელეთა ქონების განკარგვის ნაწილში; სადავო უძრავი ქონებიდან 11/15 ნაწილი საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელებს. სასარჩელო მოთხოვნები 2005 წლის 15, 18, 22 და 25 ივლისის სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობების, 2005 წლის 28 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მოპასუხეებისთვის 140 001 ლარის გადახდის სანაცვლოდ სადავო უძრავი ქონების სრულად გადაცემის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მოპასუხეებმა გაასაჩივრეს.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 მაისის საოქმო განჩინებით სარჩელზე უარის თქმის თაობაზე მ. ლ-ისა და ი. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მოსარჩელების მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, მათ ნაწილში გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება (საქ-

მე №2/9458-17) და მ. ღ-ისა და ი. ი-ის სარჩელზე მოპასუხეების მიმართ მინდობილობების, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე შეწყდა საქმისწარმოება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია, რომ სადავო გარიგების დადებას წინ უძღვოდა მათ მიმართ იძულება, თუმცა სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ სადავო გარიგებები ბათილია არა იძულების, არამედ მართლწინააღმდეგობისა და ამორალურობის საფუძველზე.

10. პალატის მითითებით, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელები წლების განმავლობაში მუშაობდნენ თელავის აგრარულ ბაზარში. 1998 წელს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ თელავის აგრარული ბაზარი აუქციონის წესით გაიჭანა გასაყიდად, რის შემდეგაც მოსარჩელებმა მიმართეს თელავის გამგეობას ბაზრის შეძენის თაობაზე, თუმცა ბაზარი გამგეობამ მიჰყიდა თ. ღ-ს 140 000 ლარად. მოსარჩელებმა ბაზრის გამოსყიდვის მიზნით დავა დაიწყეს სასამართლოს გზით. ცეკავშირის გამგეობის 2004 წლის 1 ივლისის დადგენილების შესაბამისად, სასამართლოს 2001 წლის 6 ივლისის, 2002 წლის 4 იანვრისა და 2002 წლის 30 დეკემბრის განჩინებების აღსრულების მიზნით, დაკმაყოფილდა უპირატესი უფლებით აგრარული ბაზრის 140 000 ლარად შესყიდვის თაობაზე თელავის აგრარული ბაზრის კოლექტივის მოთხოვნა. ბაზრის შესყიდვის მიზნით გადახდილი 140 000 ლარი დაუბრუნდა თ. ღ-ს.

11. დადგენილი იყო ისიც, რომ 2005 წლის 15, 18, 22 და 25 ივლისს მოსარჩელეთა და პირველ მოპასუხეს შორის სანოტარო წესით დამოწმდა და გაიცა №1-4446, №1-4447, №1-4448, №1-4449, №1-4450, №14451, №1-4452, №1-4482, №1-4594, №1-4596, №1-4597, №1-4600, №1-4607, №1-4636, №1-4637 მინდობილობები, რომელთაც ამ უკანასკნელს უფლება მიეცა, მოსარჩელეთა სახელით შეესყიდა და მათ სახელზე გაეფორმებინა ნებისმიერი მოძრავი და უძრავი ქონება. 2005 წლის 28 ივლისის №1-7413 გარიგებით სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება 140 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა თხუთმეტმა ფიზიკურმა პირმა, მათ შორის, მოსარჩელებმა. 2005 წლის 29 სექტემბერს, მხარეებს შორის გაფორ-

მდა №1-6118 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მეორე მოპასუხემ 140 000 ლარად შეისყიდა 4615 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობანი, რომელთა განაშენიანების ფართი 1358 კვ.მ-ია.

12. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მიუხედავად, მოსარჩელეთა მიერ 2005 წლის 29 სექტემბრის გარიგების ბათილობის საფუძვლებზე (იძულებაზე) მითითება, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელები წლების განმავლობაში მუშაობდნენ თელავის აგრარულ ბაზარში და სასამართლო წესით დავობდნენ მის საკუთრებაში შენარჩუნებაზე, ქმნიდა პრეზუმფციას, რომ გარიგების დადებისას მოსარჩელები საკუთარი ინტერესებისა და ნების ავტონომიურობის პრინციპის დაცვით არ მოქმედებდნენ. უფრო მეტიც, სადავო გარიგების დადებისას ვლინდებოდა იმგვარი ვითარება, რამაც აიძულა ისინი, გაეყიდათ სადავო უძრავი ქონება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო თავად მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებები, რომელთა ნაწილმაც საქმის სააპელაციო წესით განხილვისას განაცხადა, რომ საერთოდ არ იცნობდნენ მოპასუხეებს და თელავის აგრარული ბაზარი წარმოადგენდა მათი საარსებო საშუალების ერთადერთ წყაროს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელები სადავო გარიგების დადებისას არ მოქმედებდნენ თავიანთი ნების შესაბამისად. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ, მართალია, სააპელაციო განხილვისას მოსარჩელებმა ვერ გაიხსენეს კონკრეტული ფაქტი, სადაც იძულება დადასტურდებოდა, თუმცა საეჭვოა და გასაჩივრებული გარიგებების ნაკლზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ქონება, რომელზეც წლების განმავლობაში არაერთი დავა მიმდინარეობდა და მოსარჩელებმა თავიანთი ძალისხმევით დაიბრუნეს, ყველა მოსარჩელის ერთდროული მოქმედებით გადავიდა კვლავ აპელანტების საკუთრებაში. პალატის მითითებით, მართალია, საქმეში წარმოდგენილ განაჩენში დეტალურად არ არის აღწერილი რა ფორმით აიძულეს მოსარჩელები, როდესაც განაჩენში მოხსენიებული ყველა მოსარჩელე თავად არ შეხვედრია თავდაპირველ მოპასუხეს, თუმცა სასამართლომ ყველა მტკიცებულების ერთობლივად შეფასებით დაასკვნა, რომ სადავო გარიგებები არ შეესაბამებოდა სამოქალაქო კანონდებლობით განმტკიცებულ თავისუფლებისა და მორალურობის პრინციპებს.

13. სააპელაციო პალატის დასკვნით, ვლინდებოდა ნასყიდობის გარიგების ბათილობის საფუძველი, ვინაიდან არანამდვილი ნება ფორმირდა გარკვეული გარემოების არსებობის შედეგად. ამასთან, პალატამ დამატებითი ყურადღება მიაქცია თელავის რაიონული სა-

სამართლოს 2013 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, რომლის შესაბამისადაც, თავდაპირველი მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. განაჩენის თანახმად, სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2005 წლის ივლისში კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ – თავდაპირველმა მოპასუხემ, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად, პირველი მოპასუხის სასარგებლოდ, მუქარის საშუალებით შესყიდვის უპირატესი უფლების მქონე თელავის ბაზრის შრომითი კოლექტივი აიძულა და გააცემინა მინდობილობები შპს „დ-იდან“ შრომითი კოლექტივის სახელით თელავის ბაზრის შესასყიდად. გამოსყიდვის შემდეგ კი, საკუთარი შვილისათვის – მეორე მოპასუხისათვის შრომითი კოლექტივის თელავის ბაზარი საკუთრებაში გადააცემინა, რამაც თელავის ბაზრის შრომითი კოლექტივის წევრების ინტერესები არსებითად დაარღვია.

14. ამდენად, სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა მოწინააღმდეგე მხარეთა ახსნა-განმარტებები, საქმის ფაქტობრივი გარემოებები მასზე, რომ მათი საარსებო საშუალება იყო აგრარული ბაზარი, რის შესაძენადაც ისინი წლების განმავლობაში დავობდნენ, ასევე – თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენი, მიაჩნია, რომ 2005 წლის 29 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით დაირღვა კანონით დადგენილი წესები, აკრძალვები, და საჯარო წესრიგი, ვინაიდან გარიგება დაიდო არა თავისუფალი ნების პირობებში, არამედ მოსარჩელეთა მიერ არანამდვილი ნების გამოხატვის შედეგად, რის გამოც 2005 წლის 29 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება, ბათილად მიიჩნია.

15. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ 2014 წლის 11 თებერვლის გარიგება მოჩვენებითი ხასიათისაა და მისი შედგენისას მხარეთა განზრახვას არ წარმოადგენდა ხელშეკრულებაში მითითებული შედეგის მიღწევა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველ და მეორე მოპასუხეს შორის სადავო ჩუქების ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 2 სექტემბრის სასამართლოს განაჩენის შემდგომ. უდავო იყო ისიც, რომ გარიგების მონაწილე მხარეები ოჯახის წევრები, მამა-შვილი არიან. მხარეთა ნათესაური კავშირისა და სადავო გარიგების შედგენის პერიოდის საფუძველზე სასამართლოს ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ სადავო გარიგების მხარეების მიზანს წარმოადგენდა უძრავი ქონების მესაკუთრის მხოლოდ ფორმალური ცვლილება, გარიგება

მიზნად არ ისახავდა შესაბამისი იურიდიული შედეგების წარმოშობას და მოჩვენებითი იყო.

16. პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება, რომ 2005 წლის 15, 18, 22 და 25 ივლისის სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობებისა და 2005 წლის 28 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარი გამორიცხავდა ზემოაღნიშნული გარიგებების ბათილად ცნობასაც. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მინდობილობებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა ვერ წარმოშობდა ვერანაირ იურიდიულ შედეგს მოსარჩელე მხარისათვის იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ ბათილად ცნო 2005 წლის 29 სექტემბრის ნასყიდობისა და 2014 წლის 11 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულებები.

17. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გარიგების შეცილების ხანდაზმულობაზე აპელანტის მსჯელობა არ წარმოადგენდა სამართლებრივად ვარგის პრეტენზიას, რამდენადაც შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადები განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია. გარიგების შეცილების ერთწლიანი ვადა კი, ვრცელდება იძულებით დადებულ გარიგებაზე (სსკ-ის 89-ე მუხლი). მოცემულ საქმეზე სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველსა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი). მატერიალური უფლების შეცილების ვადა ვრცელდება მხოლოდ საცილო გარიგებებზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ვინაიდან ამკარაა უცილოდ ბათილი გარიგება, მასზე შეცილების ვადის გავრცელება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის, რის გამოც გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა. ამდენად, ხანდაზმულობაზე აპელანტის შედაგება დაუსაბუთებელი იყო.

კასატორების მოთხოვნა და საფუძვლები:

18. ზემოაღნიშნული განჩინება მოპასუხეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვეს.

19. სააპელაციო საჩივრის მონინააღმდეგე იყო 11 მოსარჩელე, საიდანაც ორმა პირმა უარი თქვა სარჩელზე და მათ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 8 მაისის განჩინებით სარჩელზე უარის თქმის თაობაზე მ. ლ-ისა და ი. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და ძალაშია შესული. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული, საბოლოო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება აღნიშნულ საოქმო განჩინებას, რადგან სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სადავო უძრავი ქონებიდან 11 მოსარჩელეს მიეკუთვნა 11/15 ნაწილი.

20. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2013 წლის 2 სექტემბრის განაჩენში დაზარალებულად მიჩნეულია ცხრა პირი. შესაბამისად, განაჩენში არ არის ნახსენები სამი მოსარჩელე: ი-ლი, ი-ლი და გ-ვა, საიდანაც მხოლოდ ორმა მოსარჩელემ – ი-ლმა და გ-ვამ თქვა უარი სარჩელზე. აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და მიაკუთვნა ქონება იმ პირებს, ვინც განაჩენში არც არის ნახსენები, რაც სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ შეუძლებია.

21. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის იძულების ნორმები და არასწორად გამოიყენა სსკ-ის 54-ე მუხლი, რითაც შეენიშნა დედა უზუნაესი სასამართლოს ბოლო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც 54-ე მუხლი დამოუკიდებლად არ გამოიყენება. №664-635-2016 საქმეზე უზუნაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში მოსარჩელეთა სარჩელის საფუძველია იძულება, რაც შესაძლებელ გარიგებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეყენებინა არა სასარჩელო ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები, არამედ სსკ-ის 89-ე მუხლი. საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელეთა მხრიდან მოპასუხეთა მიმართ შეცილება, რაც სარჩელზე უარის თქმის საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ განაჩენის მიმართ თქვა, რომ მოსარჩელეთა პოზიციით, მართალია, გარიგების დადებას წინ უძღვოდა იძულება, თუმცა პალატა არ იზიარებს მოსარჩელეთა პოზიციას, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეფასებით, გარიგება იძულებით არ დადებულა. ამასთან, სასამართლომ არ აქვს შეფასებული იძულების რეალური ხასიათი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლისა. უფრო მეტიც, განსახილველ შემთხვევაში იძულებაზე საუბარი უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან, სადავო ხელშეკრულების დადებისას, ანუ 2005 წლის 29 სექტემბერს, იძულების განმარტებული პირი – თავდაპირველი მოპასუხე დაკავებული თანამდებობიდან უკვე განთავისუფლებული იყო. ამდენად, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა იძულების საფუძველზე სრულიად ალოგიკურია.

22. განჩინება წინააღმდეგობრივია. მართალია, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია იძულებასთან დაკავშირებით, მაგრამ მიუთითა, რომ მოსარჩელები იძულებული გახდნენ, დაედოთ გარიგება. სასამართლო იძულების მტკიცებულებად არ მიიჩნევს განაჩენს, მაგრამ უთითებს, რომ ყველა მტკიცებულებების ერთობლიობით, თითქოს გარიგება ნაკლიანია, თუმცა განაჩენის

გარდა საქმეში სხვა მტკიცებულება, რომელიც იძულებაზე ან გარიგების სხვა ნაკლზე უთითებდეს, არ არის. ერთი მხრივ, სასამართლო იძულების მტკიცებულებად არ მიიჩნევა განაჩენს, ხოლო, მეორე მხრივ, ყურადღებას ამახვილებს განაჩენზე. ამ განაჩენზე დაყრდნობით სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა, მაგრამ არ მიუთითებს, რომელი კანონი და აკრძალვა დაირღვა სადავო გარიგებით.

23. მართალია, მოსარჩელები დავობდნენ უძრავ ქონებაზე, რაც დადასტურებულია საქმის მასალებით, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ პირველ მოპასუხესთან გარიგების დადების დროსაც მოსარჩელები საკუთარი ინტერესებისა და ავტონომიურობის დაცვით არ მოქმედებდნენ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელია. სინამდვილეში, შრომითმა კოლექტივმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებისას გამოსყიდვის თანხა – 140 000 ლარი ვერ გადაიხადა. ეს თანხა უკვე გადახდილი ჰქონდა პირველ მოპასუხეს. რეალურად, მოსარჩელებს შემდგომში ეს თანხა უნდა გადაეხადათ პირველი მოპასუხისათვის. სწორედ ამიტომ, შრომითმა კოლექტივმა შემდგომში ამ უკანასკნელზე გასცა მინდობილობები და, ამ თანხის სანაცვლოდ, გადასცა სადავო უძრავი ქონება საკუთრებაში მის შვილს – მეორე მოპასუხეს.

24. ჩუქება დაიდო მამასა და შვილს შორის, რაც ამ ჩუქებას ვერ გახდის მოჩვენებითს. ამის მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეებს ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობის მტკიცების ტვირთი, როცა მისი მოჩვენებითობა მოსარჩელებს უნდა დაემტკიცებინათ. ასევე, სასამართლო ჩუქების ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს განაჩენზე მაშინ, როცა ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ამ განაჩენს არ მიიჩნევა იძულების მტკიცებულებად.

სამოტივაციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

26. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საა-

პელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

27. მოსარჩლეები მოითხოვენ მოპასუხეთათვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნებას იმ საფუძველით, რომ ქონება ბათილი გარიგების საფუძველზე განიკარგა. ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და 979.1 მუხლი (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით).

28. სსკ-ის 976-ე მუხლი მოიცავს შემთხვევებს, რომელშიც პირი ასრულებს არარსებულ ვალდებულებას, ასევე – ბათილი ან არ-შემდგარი ხელშეკრულებების უკუქცევის შემთხვევებს. ზემოხსენებული ნორმის პირველი ნაწილი ადგენს მოთხოვნის უფლების წინაპირობებს. მოთხოვნის უფლების მოცულობა კი გამომდინარეობს სსკ-ის 979-ე-981-ე მუხლებიდან. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების წინაპირობებია: ა) მიმღებისათვის რალაციის გადაცემა (გადაცემა წარმოადგენს მოქმედებას, როდესაც მიმღებს გადაეცემა ან მის მიმართ განხორციელდება გარკვეული სახის შესრულება შეგნებულად და ნებაყოფლობით); ბ) შესრულების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა; გ) მიმღების გამდიდრება.

29. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ქონების მიმღებისათვის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი თავიდანვე არარსებობდა, რადგან ქონების გადაცემის ხელშეკრულება ბათილია სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე (ბათილია გარიგება, რომელიც აღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს). კასატორთა პრეტენზიის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 54-ე მუხლი, რადგან უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნორმა დამოუკიდებლად არ გამოიყენება.

30. სსკ-ის 54-ე მუხლთან მიმართებით პალატა განმარტავს, რომ ნორმა გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“, რომელთა დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას. ნორმით გათვალისწინებული შეზ-

ღუდვები გამოიყენება ყველა, როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების მიმართ (შდრ. სუსგ №ას-1097-2021, 25.05.2022წ.; №ას-1548-2019, 14.02.2020წ). მათი საწინააღმდეგო შინაარსი ნების ნამდვილობის დამაბრკოლებელი ფაქტორია. რაც შეეხება მის დამოუკიდებლად გამოყენებას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი გამოიყენება ისეთ ნორმებთან ერთობლიობით, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავს. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის შეფასებით, მოპასუხეთა ქმედება დამატებით სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების პრინციპსაც არღვევს (შდრ. სუსგ №ას-212-201-2017, 15.05.2017წ.; №ას-225-215-2016; №ას-761-729-2016; №ას-1215-2018, 29.03.2019წ.; №ას-1273-2020, 18.02.2021წ.; №ას-337-337-2018, 31.01.2022წ.).

31. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელები წლების განმავლობაში მუშაობდნენ თელავის აგრარულ ბაზარში. 1998 წელს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ თელავის აგრარული ბაზარი აუქციონის წესით გაიჩანა გასაყიდად, რის შემდეგაც, მოსარჩელებმა მიმართეს თელავის გამგეობას ბაზრის შექმნის თაობაზე, თუმცა აგრარული ბაზარი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიჰყიდა თ. დ-ს, 140 000 ლარად. მოსარჩელებმა აღნიშნული ბაზრის გამოსყიდვის მიზნით დავა დაინყეს სასამართლოს გზით. ცეკავშირის გამგეობის 2004 წლის 1 ივლისის დადგენილების შესაბამისად, სასამართლოს 2001 წლის 6 ივლისის, 2002 წლის 4 იანვრისა და 2002 წლის 30 დეკემბრის განჩინებების აღსრულების მიზნით, დაკმაყოფილდა უპირატესი უფლებებით აგრარული ბაზრის 140 000 ლარად შესყიდვის თაობაზე თელავის აგრარული ბაზრის კოლექტივის მოთხოვნა, ხოლო ბაზრის შესყიდვის მიზნით გადახდილი 140 000 ლარი დაუბრუნდა თ. დ-ს. 2005 წლის 15, 18, 22 და 25 ივლისს მოსარჩელებსა და პირველ მოპასუხეს შორის სანოტარო წესით დამონმდა და გაიცა მინდობილობები, რომელთაც ამ უკანასკნელს უფლება მიეცა, მოსარჩეულთა სახელით შეესყიდა და მათ სახელზე გადაეფორმებინა ნებისმიერი სახის მოძრავი და უძრავი ქონება. 2005 წლის 28 ივლისის №1-7413 გარიგებით სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება 140 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა თხუთმეტმა ფიზიკურმა პირმა, მათ შორის – მოსარჩელებმა, რის შემდეგაც, 2005 წლის 29 სექტემბერს, მხარეებს შორის გაფორმდა №1-6118 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მეორე მოპასუხემ 140 000 ლარად შეისყიდა 4615 კვ.მ მიწის ნაკვეთი და

მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობანი (1358 კვ.მ).

32. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა და კასატორებს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, რომ მოსარჩელეები წლების განმავლობაში მუშაობდნენ თელავის აგრარულ ბაზარში, რაც მათთვის საარსებო წყარო იყო, ისინი სასამართლო წესით დავობდნენ მის საკუთრებად შენარჩუნებაზე. ამასთან, სასამართლომ მხედველობაში მიიღო თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 2 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენი, რომლის შესაბამისადაც, თავდაპირველი მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. განაჩენის თანახმად, 2005 წლის ივლისში კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად, პირველი მოპასუხის სასარგებლოდ, კერძოდ, მუქარის საშუალებით შესყიდვის უპირატესი უფლების მქონე თელავის ბაზრის შრომითი კოლექტივი აიძულა და გააცემინა მინდობილობები პირველი მოპასუხის სახელზე, შპს „ს. დ-იდან“ შრომითი კოლექტივის სახელით თელავის ბაზრის შესასყიდად. გამოსყიდვის შემდეგ კი, შრომითი კოლექტივის თელავის ბაზარი საკუთრებაში გადააცემინა პირველი მოპასუხის შვილის – მეორე მოპასუხისათვის, რამაც თელავის ბაზრის შრომითი კოლექტივის წევრების ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. ამდენად, პალატამ დაასკვნა, რომ სადავო გარიგებები ბათილი იყო, რამდენადაც არ იკვეთებოდა მოსარჩელეთა ნამდვილი ნება, გაესხვისებინათ სადავო ქონება. საკასაციო სასამართლო იზიარებს ამ შეფასებას და მიუთითებს, რომ გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ამასთან, სამართლებრივი შედეგისათვის მნიშვნელოვანია ნების ნამდვილობა, რომლის შეფასების დროსაც ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ კომპონენტზე: ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნების ნაკლის გამო (სუსგ №ას-1215-2018, 29.03.2019წ.;

№ას-679-2021, 18.01.2022წ.)

33. კასატორთა პრეტენზიის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გარიგებები მართლწინააღმდეგობისა და ამორალურობის საფუძველზე ბათილი იყო, მაგრამ არ მიუთითებს, რომელი კანონი და აკრძალვა დაირღვა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწინააღმდეგობის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე – მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწინააღმდეგობას არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვის აფერხებს (შდრ. სუსგ №ას-212-201-2017, 15.05.2017წ.; №ას-1114-2020, 24.12.2020წ.). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიის საფუძველზე საკასაციო პალატა იზიარებს სადავო გარიგებათა ბათილობის, როგორც მართლწინააღმდეგო და სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების (მათ შორის კეთილსინდისიერების) საწინააღმდეგო გარიგებების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას.

34. საკასაციო სასამართლო იზიარებს ჩუქების ხელშეკრულების მოწვევებითობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას (სსკ-ის 56-ე მუხლი). სადავო ჩუქების ხელშეკრულების მხარეები არიან ოჯახის წევრები (მამა-შვილი). იმ პირობებში, როდესაც დასაჩუქრებული და მჩუქებლები არიან ერთი ოჯახის წევრები, რომელთათვისაც ცნობილია მოსარჩელეთა უფლებების შესახებ, პრეზუმირებულია, რომ ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და საწინააღმდეგო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, ქონების განკარგვა ვერ შეფასდება კეთილსინდისიერ, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში გამოვლენილ ნებად, რის გამოც ჩუქების ხელშეკრულება მართებულად იქნა ცნობილი ბათილად.

35. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, გარიგების ბათილობის ხანდაზმულობაზე კასატორთა მსჯელობა არ წარმოადგენს სამართლებრივად ვარგის პრეტენზიას, გამომდინარე იქიდან, რომ

შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადები განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 54-ე, 976-ე და 979-ე მუხლები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან ესაა უცილოდ ბათილი გარიგება, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა. შესაბამისად, ხანდაზმულობაზე კასატორის ზემოთ მითითებული პრეტენზიას სამართლებრივად საფუძველი არ გააჩნია.

36. კასატორთა პრეტენზიის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ საბოლოო განჩინებით ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელებს სადავო უძრავი ქონებიდან მიეკუთვნათ 11/15 ნაწილი, მაშინ, როდესაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორმა მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, რის გამოც მოსარჩელებს 9/15 უნდა მიჰკუთვნებოდათ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორთა აღნიშნული პრეტენზია დასაბუთებულია. დადგენილია, რომ გარიგებით სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება 140 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა თხუთმეტმა ფიზიკურმა პირმა. სარჩელი სადავო ქონების დაბრუნების მოთხოვნით წარადგინა 11 პირმა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით – სადავო უძრავი ქონებიდან 11/15 ნაწილი საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელებს. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 8 მაისის განჩინებით – სარჩელზე უარის თქმის თაობაზე მ. ლ-ისა და ი. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მათ სარჩელზე შეწყდა საქმისწარმოება. გასაჩივრებული განჩინებით კი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო უძრავი ქონებიდან 11/15 ნაწილი საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელებს. შესაბამისად, სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 273-ე მუხლის საფუძველზე მ. ლ-ისა და ი. ი-ის სარჩელზე საქმისწარმოების შეწყვეტის გამო ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინება და მოსარჩელების საკუთრებაში უნდა გადაეცეთ, სადავო უძრავი ქონებიდან 9/15 ნაწილი.

37. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო

მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 29 სექტემბერს შედგენილი №1-6118 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე – 2014 წლის 11 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულება მ. ლ-ისა და ი. ი-ის ქონების განკარგვის ნაწილში; გასაჩივრებული განჩინება სადავო უძრავი ქონებიდან 9/15 ნაწილის მოსარჩლეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში ძალაში უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 411-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ჯ. და თ. ხ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 29 სექტემბერს შედგენილი №1-6118 უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე 2014 წლის 11 თებერვალს თ. ხ-სა და ჯ. ხ-ს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება მ. ლ-ისა და ი. ი-ის ქონების განკარგვის ნაწილში;
3. ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინება ქ. თელავში, ... №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან 9/15 ნაწილის მოსარჩლეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირობა კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-442-2021

23 თებერვალი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: გადახდილი თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა (შემდგომში – „მოსარჩელე“, „შემსყიდველი“ ან „კასატორი“) და შპს „ს-კ. კ. ხ-ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მიმწოდებელი“ ან „კომპანია“) შორის 31.12.2014წ. გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2.1/30/514 ხელშეკრულება (იხ. ტომი 1; ს.ფ. 21-29). ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენდა: ქ. თბილისში, ... დასახლებასთან არსებული სარკინიგზო გზაგამტარისა და ხიდი-აკვედუკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც განსაზღვრულია მიმწოდებლის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, თან ერთვის ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (ხელშეკრულების 2.1. პუნქტი). ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 4 462 000 ლარს (ხელშეკრულების 2.4. პუნქტი).

2. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, გაცემული 2014 წლის 31 დეკემბერს სს „თ. ბ-ის“ მიერ, თანხით 223 100 ლარი, რომლის მოქმედების ვადაა 2016 წლის 09 მარტის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების 5.3 პუნქტის მიხედვით, სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2,5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5%-ის გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრისა და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

4. ხელშეკრულების 8.4 პუნქტის თანახმად, წინასწარი ანგარიშ-სწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია საავანსო თანხის იდენტიური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დანესებულების მიერ) წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას), ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 40%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

5. ხელშეკრულების 8.5 პუნქტის მიხედვით, წინასწარი გადახდის თანხების (ავანსი) დაკავება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 04.09.2014წ. №508 ბრძანების შესაბამისად – „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების განევაძედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამონმების შესახებ“.

6. ხელშეკრულების 10.5 პუნქტის თანახმად, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში: მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში; მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში...; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7. ხელშეკრულების 10.6 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის 10.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8. „ U.C. B. L.“-ის მიერ გაიცა საავანსო გარანტია 900 000 ლარის, ხოლო „ S.C. C. (2009) L. L.G.“-ის მიერ 890 000 ლარის ოდენობით.

9. მოსარჩელემ მოპასუხეს 2015 წლის 05 თებერვალს ავანსის სახით ჩაურიცხა 900 000 ლარი, ხოლო, 2015 წლის 04 მარტს 890 000 ლარი, საიდანაც მოპასუხემ 5 200 ლარი უკან დაუბრუნა მოსარჩელეს. აღნიშნულის შედეგად ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 884 800 ლარი, ხოლო ორივე გარანტიის საფუძველზე ჩარიცხულმა საავანსო თანხამ ჯამში შეადგინა 1 784 800 ლარი.

10. მოპასუხემ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ჯამში შეასრულა 384 888,54 ლარის ღირებულების სამუშაო. კერძოდ:

– 2015 წლის 09 მარტს – 39 420,62 ლარის;

- 2015 წლის 02 აპრილს – 55 789,90 ლარის;
- 2015 წლის 05 მაისს – 15 668,38 ლარის;
- 2015 წლის 29 ივნისს – 230 047,98 ლარის;
- 2015 წლის 10 აგვისტოს – 43 961,66 ლარის (იხ. მიღება-ჩაბარების აქტები და შესრულებული სამუშაოების აქტები).

11. მოსარჩელემ მოპასუხეს 2015 წლის 10 სექტემბრის წერილით აცნობა ვალდებულებების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე და მოსთხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს გადახდა.

12. გარანტორებმა – „ U.C. B. L.“-მ და „ S.C. C. (2009) L. L.G.“-მ, მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, მას არ ჩაურიცხეს საბანკო გარანტიის თანხები.

13. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის ავანსად გადახდილი თანხიდან შეუსრულებელი სამუშაოების პროპორციული თანხის – 1 526 437,85 ლარის დაბრუნება.

14. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

14.1. მხარეთა შორის 2014 წლის 31 დეკემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2.1/30/514 ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... დასახლებასთან არსებული სარკინიგზო გზაგამტარისა და ხიდი – აკვედუკის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შესახებ, რომლის ღირებულება შეადგენდა 4 462 000 ლარს;

14.2. საბანკო გარანტიების საფუძველზე, მოსარჩელემ მოპასუხეს 2015 წლის 05 თებერვალს ავანსის სახით ჩაურიცხა ჯამში 1 784 800 ლარი;

14.3. მოპასუხის მიერ შესრულებული სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ დღე-ს ჩათვლით შეადგინა 384 888,54 ლარი;

14.4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 04.09.2014წ. №508 ბრძანებით დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებიდან ფაქტობრივი ხარჯების განევაშდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამონმების წესი“. აღნიშნული წესის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ის ფარგლებში ავანსად გადახდის შემთხვევაში, საავანსო თანხის გამოქვითვა უნდა განხორციელდეს საავანსო თანხის პირდაპირპროპორციულად ყოველი შესრულების ანაზღაურებისას;

14.5. მოცემულ შემთხვევაში საავანსო თანხა განისაზღვრა 1 784 800 ლარით, რაც ხელშეკრულების ღირებულების 40%-ს შეადგენს. ამდენად, დასაკავებელი ავანსი წარმოადგენს შესრულებუ-

ლი სამუშაოს 40%-ს;

14.6. შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტებით დადასტურებული შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან მოსარჩელის მიერ დაკავებულ იქნა ზემოაღნიშნული 40%, ასევე, ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული, სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მინოდებული სამუშაოს ღირებულების 5%. ჯამში მოსარჩელის მიერ დაკავებულმა საავანსო თანხამ შეადგინა 258 362,15 ლარი, საიდანაც 19 244,43 ლარი შეადგენს სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად – მინოდებული სამუშაოს 5%-ს;

14.7. მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა მხოლოდ ნაწილობრივ, ისიც ვადაგადაცილებით, რის გამოც 2015 წლის 10 სექტემბრის №5/8517 წერილით ცალმხრივად შეწყდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება;

14.8. ხელშეკრულების 10.6 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, საავანსო თანხა – 1 784 800 ლარი შემცირდა 258 362,15 ლარით, რის შედეგადაც მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 1 526 437,85 ლარს;

14.9. მოსარჩელემ გარანტორებს მოსთხოვა გარანტიით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა, თუმცა მათ მიერ თანხის ანაზღაურება არ მომხდარა;

14.10. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება კომპანიის დამფუძნებლის მიმართ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე კომპანიის დამფუძნებელს წარედგინა ბრალი.

15. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მოპასუხემ არაერთხელ მიმართა მოსარჩელეს და მოითხოვა შიდა გრაფიკის შეცვლა, რაც მას მისცემდა შესაძლებლობას შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა მოსარჩელემ არ გაითვალისწინა მოპასუხის მოთხოვნა და ხელშეკრულება შეწყვიტა. გარდა ამისა, დავალიანების ოდენობა შეადგენს არა 1 526 437,85 ლარს, არამედ 1 303 337,85 ლარს, რადგან 2014 წლის 30 დეკემბერს მოპასუხემ მოსარჩელეს გარანტიის სახით ჩაურიცხა 228 417 ლარი, რაც უნდა გამოაკლდეს ძირითად დავალიანებას.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 399 911,46 ლარის გადახდა.

17. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

19. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-12 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

20. სააპელაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ იყო გამხდარი საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოება, რომ მოპასუხის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაო არ იყო ნაკლიანი (სსსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამასთან, 10.09.2015წ. წერილიდან დგინდება, რომ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების შესრულება. ხოლო, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ შემსყიდველს მოპასუხის მიმართ ჰქონდა პრეტენზია შესრულებული სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებით. მოსარჩელეს არც სარჩელში მიუთითებია ამ ფაქტობრივ გარემოებაზე), შესაბამისად, ვინაიდან, ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად, თანხის დაკავება ხდებოდა სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად, შესრულებული სამუშაოს ხარისხის ნაკლის არარსებობის პირობებში, შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან, 384 888,54 ლარიდან თანხის ნაწილის დაკავების უფლებამოსილება შემსყიდველს, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, არ გააჩნდა.

21. სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშვა წარდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრებოდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების, ხოლო მოსარჩელეს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება; ხელშეკრულების 10.5 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მენარდის, მოპასუხის მიერ სამუშაოების ვადების გადაცილების გამო, მოსარ-

ჩელემ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 10.6 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრა მიმწოდებლისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება; დადგენილია ასევე, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის მენარდეს შესრულებული ჰქონდა 384 888,54 ლარის ღირებულების სამუშაო.

22. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მითითება, რომ მოპასუხეს მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულების 40% უნდა აუნაზღაურდეს, ვინაიდან, მისი განმარტებით, აღნიშნულ დათქმას არ ითვალისწინებს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ეს პირობა არც კანონიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებიდან წინასწარ გადახდილ თანხას – 1 784 800 ლარსა და მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას – 384 888,54 ლარს შორის სხვაობა – 1 399 911,46 ლარი, იყო ის თანხა, რაც შემკვეთმა, მოსარჩელემ გადაიხადა სანაცვლო ვალდებულების შესრულების გარეშე და რაც სამოქალაქო კოდექსის 385-ე და 976-ე მუხლების საფუძველზე, უკან დაბრუნებას ექვემდებარებოდა.

23. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

24. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძველებზე:

24.1. სააპელაციო სასამართლომ არასრულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასათანადოდ გამოიკვლია დადგენილი ფაქტები და საქმის მასალები;

24.2. 04.09.2014წ. №508 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების განევაგმდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამონებების ნესის“ პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ პირველ ოთხ მიღება-ჩაბარების აქტთან მიმართებით (№1-1; №2-1; №1-3; №1-2) სრულად მოხდა თანხის დაკავება, შემდგომ ორ მიღება-ჩაბარების აქტთან მიმართებით (№1-4; №2-2) დაკავდა მხოლოდ საავანსო თანხის 40% და ასევე სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად – მიწოდებული სამუშაოს 5%, ხოლო ბოლო მი-

ლება-ჩაბარების აქტთან მიმართებით (№1-5) მოსარჩელემ კვლავ სრულად დააკავა თანხა. საერთო ჯამში, მოსარჩელემ მოპასუხეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან – 384 888,54 ლარიდან აუნაზღაურა 126 526,39 ლარი;

24.3. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში მოპასუხეს ჩაერიცხა არა მხოლოდ 1 784 800 ლარი (აგანსი), არამედ ასევე 384 888,54 ლარიდან 126 526,39 ლარი (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი), ჯამში 1 911 326,39 ლარი;

24.4. ამდენად, სხვაობა მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოს ღირებულებასა და მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ჩარიცხულ თანხას შორის უნდა დადგინდეს არა 1 784 800 ლარსა და 384 888,54 ლარს შორის სხვაობიდან, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა, არამედ 1 911 326,39 ლარსა და 384 888,54 ლარს შორის სხვაობიდან, რაც შეადგენს 1 526 437,85 ლარს;

24.5. არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ შეფასებულა მოპასუხისათვის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან – 384 888,54 ლარიდან 126 526,39 ლარის ანაზღაურების ფაქტი. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება აღნიშნულ ნაწილში უკანონოა და არ გამომდინარეობს საქმეში დაცული მტკიცებულებების ობიექტური შეფასებიდან;

24.6. დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულების 40%-ის ანაზღაურების პირობაზე, რამდენადაც მოსარჩელე აღნიშნულზე საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე მიუთითებდა. ამასთან, როგორც საქმეში წარდგენილი დოკუმენტებით დგინდება, 04.09.2014წ. №508 ბრძანებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული წესის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განისაზღვრა 40%-ის დაკავება და არა ანაზღაურება, შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნულ ნაწილშიც არასწორად გამოიკვლია და დაადგინა საქმის გარემოებები;

24.7. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შეწყდა ცალმხრივად. მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად და ჯეროვნად არ იქნა შესრულებული, შესაბამისად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი არ შედგენილა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მითითება შესრულებული სამუშაოების ხარისხზე მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს;

24.8. გარდა აღნიშნულისა, სასამართლო ხელშეკრულების 5.3 პუნქტზე მითითებით განმარტავს, რომ შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან 384 888,54 ლარიდან თანხის ნაწილის დაკავების

უფლებამოსილება შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე არ გააჩნდა. აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად დაკავებული 5%-ის დაბრუნების წინაპირობებს და ოდენობას, შესაბამისად, თუნდაც სასამართლოს აღნიშნული განმარტების გაზიარების შემთხვევაში, თანხის რა ნაწილზე მიუთითებს სასამართლო გასაჩივრებული განჩინებიდან არ დგინდება;

24.9. მოპასუხემ შეასრულა 384 888,54 ლარის ღირებულების სამუშაო და აღნიშნული ღირებულებიდან მას აუნაზღაურდა 126 526,39 ლარი, შესაბამისად, მოპასუხისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეადგენს 258 362,16 ლარს, რომელიც შედგება 04.09.2014წ. №508 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად დაკავებული თანხისგან;

24.10. სასამართლომ ასევე შეფასების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ მოთხოვნილ თანხასთან დაკავშირებით გაფორმებულ იქნა საპროცესო შეთანხმება (უფლებამოსილ პირთან), რომლის ფარგლებშიც მხარეს შესაბამისი განაწილვადების ფარგლებში დადგენილი ოდენობით უნდა აენაზღაურებუნა 1 526 437,85 ლარი. ამ პირობის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ თანხმობაც იქნა გაცემული, თუმცა მხარემ აღნიშნული საპროცესო შეთანხმება დაარღვია, რის გამოც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს წარმოებაშია აღნიშნული საპროცესო შეთანხმების გაუქმების საკითხი.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

27. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის წარდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი ავანსის აუთვისებელი ნაწილის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ საქმე №ას-1529-1443-2012, 09 დეკემბერი, 2013 წელი; დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი, §187).

29. მოცემულ შემთხვევაში აუთვისებელი ავანსის დაბრუნების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლი [ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი] და 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი [პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში].

30. კასატორი დავობს, რომ მან მოპასუხეს ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან – 384 888,54 ლარიდან აუნაზღაურა 126 526,39 ლარი, თუმცა ეს გარემოება არცერთი ინსტანციის სასამართლოს შეუფასებია. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ჩარიცხული თანხის ოდენობა შეადგენს 1 784 800 ლარსა და 126 526,39 ლარს, ჯამში 1 911 326,39 ლარს და აუთვისებელი ავანსის ოდენობა სწორედ აღნიშნულ თანხასა და მოპასუხის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების სხვაობიდან უნდა დადგინდეს.

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას

ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოს-
თხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ
ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ
არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

32. აღნიშნული სამართლებრივი ნორმის მიზნიდან გამომდინა-
რეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ კონდიქციური ვალდე-
ბულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამ-
დიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნ-
და იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ
არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა
აქვს იმ გარემოებას თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდ-
რების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრე-
ბულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან
განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს
მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა
ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციე-
ლებული მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღ-
მდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებ-
რივი საფუძვლით სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვა-
ნია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს
ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სი-
კეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის
არსებობის გარეშე. აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის
ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეო-
რე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე (იხ. სუსგ საქმე
№ას-360-342-2015, 03 ივნისი, 2015 წელი).

33. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სამოქალა-
ქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა
(სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი)
ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. მხარეები სრულიად
თავისუფალნი არიან და თავად წყვეტენ, თუ რომელი ფაქტები უნ-
და დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებუ-
ლებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სასამართლო
ამ პროცესში ვერ ჩაერევა. სათანადო ფაქტების მიუთითებლობა
და შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობა კი მხარისათ-
ვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

34. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მოსარჩელემ/შემ-
სყიდველმა მოპასუხეს/მიმწოდებელს მათ შორის დადებული სა-
ხელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ავან-
სის სახით ჩაურიცხა 1 784 800 ლარი; დადგენილია ასევე, რომ აღ-
ნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მოპასუხეს

ხელშეკრულების ფარგლებში ჯამში შესრულებული ჰქონდა 384 888,54 ლარის ღირებულების სამუშაო. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა აუთენტიკელი ავანსის სახით 1 399 911,46 ლარის გადახდა, რომელიც, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, წარმოადგენს სხვაობას მოსარჩელის მიერ გადახდილ ავანსსა (1 784 800 ლარი) და მოპასუხის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას (384 888,54 ლარი) შორის. კასატორის მტკიცებით, მან მოპასუხეს ჩაურიცხა არა მხოლოდ ავანსი 1 784 800 ლარის ოდენობით, არამედ 126 526,39 ლარი, რომელიც წარმოადგენს შესრულებული სამუშაოების ღირებულების – 384 888,54 ლარის ნაწილს, შესაბამისად, სწორედ ამ თანხების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო აუთენტიკელი ავანსის გამოანგარიშება. მოსარჩელე ამ გარემოებაზე სააპელაციო საჩივარშიც მიუთითებდა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ისე დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში, რომ აღნიშნული სააპელაციო პრეტენზია არ გამოუკვლევია და ეს ფაქტობრივი გარემოება არ დაუდგენია, რაც საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

35. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

36. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა გა-

მოიკვლიოს და დადგინოს გარდა ავანსისა, გადაუხადა თუ არა მოსარჩელემ მოპასუხეს ასევე ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულების – 384 888,54 ლარის ნაწილი – 126 526,39 ლარი.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

38. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

განმარტება

საქართველოს სასახელით

№ას-1506-2019

07 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს... „ს...-ოს“ (შემდგომში – „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა მისთვის არამიზნობრივად გამოყენებული თანხის – 2 138 300 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. „საქართველო-სომხეთის 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 03.11.2006წ. №515 განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მოსარჩელისთვის განსაზღვრული საერთო ასიგნებებიდან საკრედიტო რესურსად 8 000 000 ლარის გამოყოფა და ამ უკანასკნელთან ერთად მოპასუხესთან სათანადო სასესხო ხელშეკრულების გაფორმება;

2.2. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2006 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა მიზნობრივი სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხეს სესხის სახით გამოეყო 8 000 000 ლარი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „...-“ სარეაბილიტაციო სამუშაოთა დასაფინანსებლად. სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2013 წელი. ხელშეკრულებით განისაზღვრა სარგებელი – წლიური 7%;

2.3. ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო სესხის სახით გამოყოფილი თანხა მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნისთვის გამოეყენე-

ბინა;

2.4. 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარ სამმართველოში დაინიშნა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე და ჩატარებული გამოძიებით დადგინდა (05.08.2010წ. დადგენილება), რომ მოპასუხის ყოფილმა ხელმძღვანელებმა მოახდინეს მოპასუხისათვის სესხის სახით გამოყოფილი 8 000 000 ლარიდან 2 138 300 ლარის არამიზნობრივად ხარჯვა, რითაც მოპასუხემ დაარღვია სესხის ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტი და მოსარჩელეს ზიანი მიაყენა;

2.5. მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ ზიანი მიადგა არამიზნობრივად დახარჯული თანხის დროულად დაუბრუნებლობით. კერძოდ, მოპასუხეს სადავო თანხა 2006 წელსვე რომ დაებრუნებინა, იგი ამ თანხას სახელმწიფო ენერგოსისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, სხვა ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციისთვის გამოიყენებდა.

3. საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც დაეთანხა მოსარჩელის მოთხოვნას.

4. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ზიანის არსებობის ფაქტი.

6. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა არამიზნობრივად გამოყენებული თანხის, 2 138 300 ლარის გადახდა.

8. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 997-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 309²⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ დაზარალებულად ცნობის შესახებ 05.08.2010წ. დადგენი-

ლებაზე და 21.03.2011წ. განაჩენზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია როგორც ბრალის არსებობის, ისე 2 138 300 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი.

9. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

10.1. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს წინამდებარე დავის გადასაწყვეტად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 997-ე მუხლები არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მითითებული ნორმებით დელიქტური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ზიანის მიმყენებელ პირს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის განმარტებისა და სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის მიხედვით, სესხის სადავო თანხა არამიზნობრივად დახარჯეს (გაფლანგეს) სანარმოს დირექტორებმა, შესაბამისად, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა სანარმოს ვერ დაეკისრება, ვინაიდან მოსარჩელისათვის ზიანი მას არ მიუყენებია.

10.2. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა შესრულების კონდიქციიდან გამომდინარეობს. მისი განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სესხი მიზნობრივი იყო და ეს გარემოება სესხის გაცემის არსებით პირობას წარმოადგენდა (სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები). აქედან გამომდინარე, სესხის არამიზნობრივად დახარჯვის მომენტიდან კრედიტორი აღარაა ვალდებული, მოვალეს არამიზნობრივად დახარჯული სესხით სარგებლობის უფლება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე მისცეს. შესაბამისად, ამ საფუძველზე კრედიტორის ვალდებულება წყდება (სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს სადავო თანხის ფლობის სამართლებრივი საფუძველი აღარ გააჩნდა და შეძენილი უკან უნდა დაებრუნებინა (სსკ-ის 979.1 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ დაუბრუნა მოსარჩელეს არამიზნობრივად დახარჯული სესხი, შესაბამისად, მას ამ თანხის განმეორებით მოთხოვნის უფლება აღარ აქვს, თუმცა შეუძლია, მოითხოვოს ფულად ვალზე პროცენტის გადახდა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 981.2 მუხლით. ამასთან, მართალია, მოპასუხემ სადავო თანხასთან ერ-

თად მოსარჩელეს პროცენტიც (წლიური 7%) გადაუხადა, მაგრამ ასეთი შეღავათიანი პროცენტით მოპასუხეს მხოლოდ მაშინ შეეძლო ესარგებლა, თუ სესხს მიზნობრივად დახარჯავდა. დადგენილია, რომ მოსარჩელემ სესხი არამიზნობრივად დახარჯა, ამიტომ ამ მომენტიდან, უსაფუძვლოდ ფლობდა რა მოსარჩელის კუთვნილ ფულს, მოპასუხე მოსარჩელის ხარჯზე ზოგავდა თავის ქონებას იმით, რომ არ იხდიდა საპროცენტო სარგებელს, სულ ცოცა, საბანკო კრედიტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით. აქედან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში გამდიდრების ოდენობა საბანკო კრედიტისათვის სადავო პერიოდში დადგენილი საშუალო საბაზრო ფასისა და მოპასუხის მიერ გადახდილი წლიური საპროცენტო სარგებლის სხვაობის ტოლი იქნება. ამასთან, გამდიდრების საბოლოო მოცულობა იმაზეც იქნება დამოკიდებული, იცოდა თუ არა მოპასუხემ ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო თუ არა, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განსახორციელებლად სადავო თანხა საჭირო აღარ იყო. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ხარვეზის თაობაზე მოპასუხემ იცოდა, მაშინ იგი პასუხს აგებს სწორედ ამ ცნობის მიღების მომენტიდან, ხოლო, თუ არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა – მაშინ პასუხისმგებლობა დაეკისრება სარჩელის შეტანის მომენტიდან. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებები უნდა დაედგინა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში – ასევე „მოსარჩელე“, „მოსარჩელის უფლებამონაცვლე“ ან „კასატორი“).

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

13. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელის მტკიცებით მოპასუხისათვის სესხის სახით გამოყოფილი 8 000 000 ლარიდან არამიზნობრივად დახარჯული 2 138 300 ლარი მაშინვე რომ დაბრუნებულიყო, ან შემდგომ პერიოდში, გამოიყენებოდა სხვა შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ზიანია ის 2 138 300 ლარის სამუშაოები, რომლის ჩატარებაც მოსარჩელემ ვერ შეძლო იმიტომ, რომ თანხა არ ჰქონდა. მათ იმ წელს 2 138 300 ლარი რომ არ მიეცათ, შეძლებდნენ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.

14. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, არსებული მოთხოვნის ფარგლებში, არ არის წარდგენილი სათანადო ფორმით, რომ განისაზღვროს მისი სამართლებრივი საფუძველი. მსგავსი შინაარსით უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას ანესრიგებს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, თუმცა სარჩელი არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას სავალდებულო წინაპირობების სახით, რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს მოთხოვნა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების ფარგლებში შეეფასებინა. თუ მოსარჩელე ცდილობს უფლების დაცვას ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, მას სავალდებულო წესით უნდა მიეთითებინა ის აუცილებელი წინაპირობები, რომლებიც აღნიშნული მუხლის ნორმატიულ შინაარსს ქმნიან, კერძოდ, ზიანი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სარჩელი ამ ნაწილში მხოლოდ მშრალი მოთხოვნის სახით არის დეკლარირებული. დასახელებული წინაპირობებიდან ერთ-ერთის არარსებობა კი, გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის წარმატებას.

15. სააპელაციო პალატის მითითებით, მიუღებელი შემოსავალი, ისევე როგორც ზიანი, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ მოსარჩელემ არამხოლოდ ზიანის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ წარადგინა, არამედ მან სრულყოფილად ვერ განახორციელა მოსარჩელის სტადია, კერძოდ, ცალსახად ვერ მიუთითა სად უნდა მიმართულიყო ის თანხა, რომელიც არამიზნობრივად იქნა გამოყენებული, რა ოდენობით მატერიალური სარგებელი იქნებოდა მიღებული. ვალდებულების შეუსრულებლობა, თავისთავად, ზიანის მომტანია მხარისთვის, რადგან კრედიტორს ყოველთვის აქვს შესრულების მოლოდინი და ის მისთვის ყოველთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევამ კრედიტორს დამატებითი ზიანი მიაყენა. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანი დგება, როდესაც ვალდებულების შესრულებით კრედიტორს გარკვეული შემოსავლის წყარო გაუჩნდებოდა, დამატებით მატერიალურ სიკეთეს შეიძენდა, რაც ვერ განხორციელდა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საყურადღებოა და აღნიშნულს არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ მოსარჩელეს 2 138 300 ლარი მიღებული აქვს, კერძოდ, მოპასუხემ სესხი სარგებელთან ერთად მოსარჩელეს სრულად დაუბრუნა ხელშეკრულებით შეთანხმებული გრაფიკის

მიხედვით. ამდენად, სასამართლო სხდომაზე გაკეთებული შემდეგი მითითება „ჩვენ იმ წელს 2 138 300 ლარი რომ არ მიგვეცა, შევძლებდით სხვა ღონისძიებების დაფინანსებას“ წარმოადგენს აბსტრაქტულ, დაუსაბუთებელ პოზიციას, რაც ზიანის არსებობასთან დაკავშირებით ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა.

16. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უზენაესი სასამართლოს მითითებების გაზიარების შემთხვევაშიც, მოსარჩელეს არც სსკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მართლწესრიგის პირობებში ჰქონდა წარმატების პერსპექტივა, რადგან მის მიერ საქმის წარმოების სათანადო ეტაპზე არ მომხდარა დასახელებული ნორმით დადგენილ წინაპირობებზე მითითება. აპელანტი ზიანის არსებობას უკავშირებდა არა სადავო თანხაზე მისაღებ პროცენტს, არამედ „სხვა ღონისძიების“ დაფინანსებას და აქედან გამომდინარე შემოსავლის მიღებას. ამასთან, არ ირკვევა მისაღები სარგებლის ოდენობად 2 138 300 ლარი რაზე დაყრდნობით შეიძლება იქნეს მიჩნეული.

17. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ასახულ შემდეგ მოსაზრებაზე – „სესხის არამიზნობრივად დახარჯვის მომენტიდან კრედიტორი აღარაა ვალდებული, არამიზნობრივად დახარჯული სესხით სარგებლობის უფლება მისცეს მოვალეს ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე. შესაბამისად, ამ საფუძველით კრედიტორის ვალდებულება წყდება (სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს სადავო თანხის ფლობის სამართლებრივი საფუძველი აღარ გააჩნდა და შეძენილი უკან უნდა დაებრუნებინა (სსკ-ის 979.1 მუხლი)“ და განმარტა, რომ არამიზნობრივად დახარჯული თანხის გამო განსაზღვრული ვადის გასვლამდე ხელშეკრულების დასრულება აღმჭურველი უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას უფლებამოსილ პირს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. მოცემულ შემთხვევაში მხარეს დასახელებული უფლებით არ უსარგებლია და ამჟამად მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულია, ვალდებულება შეწყვეტილია მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების გზით (სსკ-ის 427-ე მუხლი).

18. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ მოთხოვნილი 2 138 300 ლარი წარმოადგენს

სსკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სარგებელს, წარდგენილი სარჩელის გათვალისწინებით, შეუძლებელია მიუღებელი სარგებლის ოდენობად მოთხოვნილი თანხის მიჩნევა. არც მოსარჩელის ახსნა განმარტებიდან და არც წარდგენილი მტკიცებულებებიდან არ ირკვევა, თუ სად განათავსებდა სადავო თანხას კრედიტორი (მაგალითად, რომელიმე საბანკო დაწესებულების ანგარიშზე, დეპოზიტზე და ა.შ.), რა პერიოდითა და საპროცენტო განაკვეთით, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით მომხდარიყო მიუღებელი სარგებლის დათვლა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, რომელსაც კანონმდებლობით მკაცრად აქვს განსაზღვრული საქმიანობა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ხარჯვა. შესაბამისად, რამდენად გააჩნია მას საბიუჯეტო თანხების საბანკო ანგარიშებზე სარგებლის მიღების მიზნით განთავსების საშუალება, დასაბუთებული ფაქტობრივი მოცემულობისა და წარდგენილი მტკიცებულებების პირობებში უნდა შეფასდეს, რაც განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ განუხორციელებია.

19. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მითითების გათვალისწინება გამოიწვევდა სარჩელის ფაქტობრივი ნაწილის შეცვლას და ახალი მტკიცებულებების წარდგენის საჭიროებას, რომლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა არ არსებობდა.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასამართლო მოკლებული იყო საპროცესო-სამართლებრივ შესაძლებლობას მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დავა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლით დადგენილი ნორმატიული წინაპირობების შესაბამისად განეხილა. უკვე არსებული შედავების შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით კი მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის და, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

21. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მოსარჩელის უფლებამონაცვლემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

22. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

22.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.10.2015წ. განჩინების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევა-

ში სახეზე იყო არა დელიქტური ურთიერთობის, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენების წინაპირობა. კერძოდ, სახეზე იყო მოპასუხის გამდიდრების ფაქტი, თუმცა გამდიდრების ოდენობა და ხანგრძლივობა წარმოადგენდა ფაქტობრივ გარემოებას, რომელსაც საკასაციო სასამართლო, მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვერ დაადგენდა. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის სააპელაციო წესით განხილვისას უნდა დადგენილიყო საბანკო კრედიტისათვის სადავო პერიოდში განსაზღვრულ საბაზრო ფასსა და მოპასუხის მიერ გადახდილ წლიურ საპროცენტო სარგებელს შორის სხვაობა და თანხის არამიზნობრივად გამოყენების თაობაზე მოპასუხის მიერ შეტყობის მომენტი. სწორედ ამ გარემოებების გამოკვლევის მიზნით დაბრუნდა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში, თუმცა ეს გარემოებები სააპელაციო სასამართლოს კვლევის საგანი არ გამხდარა. მან იმსჯელა თანხის ოდენობაზე, როგორც მოსარჩელის მიერ მიღებულ და არა მოპასუხის მიერ დაზოგილ სარგებელზე და, შესაბამისად, მოპასუხის გამდიდრების ფაქტზე;

22.2. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანობის კუთხით შეაფასა, შესაბამისად, ვინაიდან 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას უზენაესი სასამართლოს მითითება სავალდებულოა სასამართლოსთვის, რაც სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

25. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ მსჯელობის საგანია მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის მართლზომიერება.

26. კასატორი დავობს, რომ სააპელაციო სასამართლომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეაფასა სა-

კასაციო სასამართლოს 29.10.2015წ. განჩინებაში არსებული მითითებების შესაბამისად.

27. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ საქმე №ას-1529-1443-2012, 09 დეკემბერი, 2013 წელი; დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი, §187).

28. საკასაციო სასამართლოს არაერთ განჩინებაში/გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. ხოლო, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენ-

ლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს (იხ. სუსგ საქმე №ას-515-515-2018, 06 ივლისი, 2018 წელი; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი; №ას-1366-2019, 16 ივნისი, 2020 წელი)

29. ამდენად, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

30. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

31. საკასაციო სასამართლო, ასევე, განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა (სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. მხარეები სრულიად თავისუფალნი არიან და თავად წყვეტენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სასამართლო ამ პროცესში ვერ ჩაერევა. სათანადო ფაქტების მიუთითებლობა და შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობა კი მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

32. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ თავის 29.10.2015წ. განჩინებაში, რომლითაც წინამდებარე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს, აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეში სასარჩელო მოთხოვნა შესრულების

კონდიქციიდან გამომდინარეობს. ამასთან, დაადგინა, რომ ვინაიდან მოპასუხემ სრულად, დადგენილ ვადაში დაუბრუნა მოსარჩელეს სესხი და მასზე დარიცხული პროცენტები, მოსარჩელეს აღნიშნული თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია, თუმცა მას შეუძლია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981.2 მუხლის შესაბამისად, მოითხოვოს ფულად ვალზე პროცენტი – კრედიტისთვის სადავო პერიოდში დადგენილ საშუალო საბაზრო ფასსა და მოპასუხის მიერ გადახდილ წლიურ საპროცენტო სარგებელს შორის სხვაობის სახით. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს ეს ფაქტობრივი გარემოება და მოპასუხის მიერ თანხის არამინზობრივად გამოყენების თაობაზე შეტყობის მომენტი უნდა დაედგინა.

33. საქმის მასალების შესწავლით დგინდება, რომ მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა ამგვარად არ დაუყენებია და მოპასუხისათვის პროცენტის გადახდის დაკისრება არ მოუთხოვია. მოსარჩელეს მოთხოვნა არც შემდგომ დაუზუსტებია. კერძოდ, მის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების სახით – 2 138 300 ლარის გადახდის დაკისრება. მოსარჩელე მისი მოთხოვნის საფუძველად იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ მოპასუხის მიერ სესხად მიღებული 8 000 000 ლარიდან არამინზობრივად დახარჯული 2 138 300 ლარის დროულად დაბრუნების შემთხვევაში, იგი ამ თანხას სხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებდა.

34. ამრიგად, სარჩელი არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981.2 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელ აუცილებელ ფაქტობრივ შემადგენლობაზე მითითებას, რაც აღნიშნული სამართლებრივი ნორმის საფუძველზე მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა საკმარისი ფაქტები, რომლებიც სასამართლოს მათი სამართლის ნორმასთან სუბსუმირების შესაძლებლობას მისცემდა.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შედეგობრივად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგიერთ ნაწილში შესაბამის დასაბუთებას არ შეიცავს, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

36. მოპასუხემ საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მტკიცებულება. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე [საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში].

ბებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. იმავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (მოპასუხის წარმომადგენლის, მ. ქ-ის მიერ 19.10.2020წ. წარმოდგენილ განცხადებაზე დართული მტკიცებულება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 22 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ა.გ...), მთლიანობაში „17“ ფურცლად.

37. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი;

3. სს ... „ს-ოს“ დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (სს ... „ს-ოს“ წარმომადგენლის, მ. ქ-ის მიერ 19.10.2020წ. წარმოდგენილ განცხადებაზე დართული მტკიცებულება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 22 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ა.გ...), მთლიანობაში „17“ ფურცლად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. უსაფუძვლო გამდიდრება

სსპის საპროცედურული სიკეთის ხელყოფის შედეგები

განმარტება

საქართველოს სასამართლო სისტემაში

№ას-538-538-2018

26 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ლ-ემ“ (შემდეგში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა შპს „კ-ის“ (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ა) დაევალოს მოპასუხეს გამოათავისუფლოს მისი კუთვნილი მოძრავი ქონებისაგან, კერძოდ, 17788,32 ლარის აქტივისაგან (საქონელი), 5721,38 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგისაგან და 3527,63 ლარის ალკოჰოლური სასმელი – არაყი „ბ-სგან“, ქ. ფოთი, სამხრეთი მოლის ტერიტორიაზე არსებული, მოსარჩელის კუთვნილი ფართი (ს.კ ...); ბ) მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 11632 ლარისა და 2015 წლის 10 ნოემბრიდან, ფართის გამოთავისუფლებამდე, ყოველთვიურად 400 ლარის გადახდა.

2. მოძრავი ქონებისაგან მოსარჩელის ფართის გამოთავისუფლების მოთხოვნა დასაბუთებულია შემდეგი გარემოებებით: სს „ი-ის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების 19/10/2010წ. გადანწყვეტილებით (ოქმი №2), განხორციელდა საზოგადოების გაყოფით რეორგანიზაცია და დასახელებული სააქციო საზოგადოება დაიყო ორ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად: შპს „შ-ია“ და შპს „კ-ი“, რომელთა რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში განხორციელდა 2011 წლის 02 სექტემბერს (გადანწყვეტილება №...). „ი-ის“ გაყოფით რეორგანიზაციის შედეგად, შპს „კ-ს“ სხვა ქონებასთან ერთად გადაეცა მოძრავი ქონება: 17788,32 ლარის აქტივი (საქონელი), 5721,38 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგი და 3527,63 ლარის ალკოჰოლური სასმელი – არაყი „ბ-ე“ რომელიც 2011 წლის 02 სექტემბრის მდგომარეობით დასაწყობებული იყო ქ. ფოთ-

ში, სამხრეთ მოლის ტერიტორიაზე არსებულ სასაწყობო შენობა-ში. ზემოაღნიშნული უძრავი ქონება – 2924 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ ...), მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, სს „ი-ის“ რეორგანიზაციის შედეგად, მიეკუთვნა შპს „შ-იას“. მოპასუხემ არ მოახდინა მისი კუთვნილი დასახელებული მოძრავი ქონების გატანა და ამ ქონების შენახვის მიზნით, 2011 წლის 02 სექტემბრიდან უკანონოდ სარგებლობდა შპს „შ-იის“ უძრავი ქონებით. მოპასუხეს არაერთხელ წერილობით ეცნობა აღნიშნულის შესახებ და წაეყენა მოთხოვნა ქონების გატანისა და შენახვის საფასურის გადახდის შესახებ, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. ქ. ფოთი, სამხრეთ მოლის ტერიტორიაზე მდებარე ზემოაღნიშნული უძრავი ქონება 2015 წლის 18 მაისიდან მიეკუთვნა მოსარჩელეს, ხოლო მოპასუხის კუთვნილი დასახელებული მოძრავი ქონება, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე, კვლავინდებურად განთავსებულია დასახელებულ საწყობში და ამდენად, მოპასუხე, დღემდე, უკანონოდ სარგებლობს მოსარჩელის საწყობით. 29/09/2015წ. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით, შპს „ჯ-მა“, შპს „ი-მა“ და შპს „მ-მ“ თავისი წილი მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ, დაუთმეს მოსარჩელეს.

3. თანხის დაკისრების ნაწილში, სარჩელი დასაბუთებულია შემდეგ გარემოებებზე მითითებით: მოპასუხემ არც მისთვის მიკუთვნილებული მოძრავი ქონება გაიტანა მოსარჩელის საწყობიდან და არც ქონების შენახვაზე შესაბამისი ურთიერთობა დაამყარა მოსარჩელესთან. მიზარების ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, მოპასუხეს სულ მცირე, უნდა გადაეხადა თვეში 200 ლარი. ამდენად, შპს „შ-ის“ წარმოშობიდან (2011 წლის 02 სექტემბერი) დღე-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმებამდე (2012 წლის 10 სექტემბერი) დარიცხული თანხა შეადგენს 2832 ლარს. ამ დროიდან, შპს „შ-ის“ რეორგანიზაციამდე (2014 წლის 18 მაისი) – 6300 ლარს, ხოლო შპს „ლ-ეს“ წარმოშობიდან (2015 წლის 18 მაისი) 2015 წლის 10 ნოემბრამდე – 2500 ლარს. სულ, ჯამში გადასახდელი თანხა შეადგენს 11632 ლარს.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საბოლოო გამყოფი ბალანსის შესაბამისად, 17788.32 ლარის მოძრავი ქონება და 5721.38 ლარის სასაქონლო მატერიალური მარაგი გადაეცა შპს „შ-ას“. შესაბამისად, აღნიშნული მარაგები არ არის მოპასუხის საკუთრება. რაც შეეხება, 3527.63 ლარის ღირებულების არაყს, მოსარჩელეს არა აქვს წარმოდგენილი ამ ქონების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება. თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, მოპასუხემ მიუთითა მოთხოვნის დაუსაბუთებლობასა და ხანდაზმულობაზე.

5. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. დაევალა მოპასუხეს მისი კუთვნილი მოძრავი ქონებისაგან, კერძოდ, 3527,26 ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელის არაყი „ბ-საგან“, მოსარჩელის კუთვნილი ფართის გამოთავისუფლება. დაეკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 6608 ლარის, ასევე, 2016 წლის 14 ივნისიდან, მოპასუხის მიერ, მოსარჩელის კუთვნილი ფართის გამოთავისუფლებამდე, ყოველთვიურად, 118 ლარის გადახდა.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9. დადგენილია, რომ სს ი-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების 19/10/2010წ. გადაწყვეტილებით (ოქმი №2) სააქციო საზოგადოება ნატურით გაიყო ორ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად: შპს „შ-ია“ და შპს „კ-ი“. ამის შედეგად, ქ. ფოთში, სამხრეთ მოლის ტერიტორიაზე არსებულ სასაწყობო შენობა (ს.კ ...), სადაც განთავსებულია სადაო მოძრავი ქონება მიეკუთვნა, შპს „შ-იას“. 2015 წლის 18 მაისს დასრულდა შპს „შ-ის“ რეორგანიზაცია, რის შედეგადაც, სამენარმეო რეესტრში დარეგისტრირდნენ: შპს „ლ-ე“, შპს „ჯ-ის“, შპს „მ-ე“ და შპს „ი-ი“. ქ. ფოთში, სამხრეთ მოლის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება 2015 წლის 18 მაისიდან მიეკუთვნა მოსარჩელეს. სს ი-ის 2010 წლის 1 ივლისის საბოლოო გამყოფი ბალანსით საზოგადოების გაყოფის შედეგად 3527,63 ლარის ღირებულების განუზღუდელი არაყი მიეკუთვნა მოპასუხეს. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით, შპს „ჯ-მა“, შპს „ი-მა“ და შპს „მ-მ“ თავისი წილი მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ დაუთმეს მოსარჩელეს.

10. ქ. ფოთი, სამხრეთ მოლის ტერიტორიაზე არსებული 30 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის საიჯარო ქირა შეადგენს 118 ლარს.

11. მოსარჩელემ რამოდენიმეჯერ მოსთხოვა მოპასუხეს კუთვნილი ფართიდან ქონების გატანა, მაგრამ მოპასუხის ქონება, ამჟამადაც, განთავსებულია მოსარჩელის კუთვნილ საწყობში.

12. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს ი. – საზღვაო ვაჭრობის საბოლოო გამყოფი ბალანსით ე.წ. აქციონერთა მე-

ორე ჯგუფს, ე.ი. აპელანტს 3527,63 ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელი გადაეცა. 2012 წლის 3 მაისს აპელანტმა წერილით მიმართა „აქციონერთა მეორე ჯგუფის“ მიერ შექმნილ საწარმოს, შპს „შ-იას“ და ზემოხსენებული ქონების, განუზაფხებელი არაყი „ბ-ეს“ გადაცემა მოითხოვა. 2012 წლის 17 მაისს შპს „შ-იამ“, ამ ქონების მიწოდებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მისი მიწოდების (დატვირთვა, ტრანსპორტირება, გადმოტვირთვა) ვალდებულება არ ეკისრებოდა. ამავდროულად, აპელანტს ქონების „გატანა“, ფართის გათავისუფლება და შენახვის საფასურის ანაზღაურება მოსთხოვა.

13. 2012 წლის 25 მაისს აპელანტმა შპს „შ-იას“ ასევე წერილობით უპასუხა და განუმარტა, რომ არაყი „ბ-ეს“ გადაცემა სწორედ მას ევალდებოდა, ამის გამო, ან ქონება უნდა გადაეცა, ან მისი ღირებულება, 3529,63 ლარი გადაეხადა. მოგვიანებით, მხარეებმა ერთმანეთს წერილობით კიდევ რამდენჯერმე მიმართეს და, მათ შორის, არყის სამართლებრივ ბედზე დავობდნენ.

14. ამ მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზით დგინდება, რომ საბოლოო გამყოფი ბალანსით აპელანტს, სწორედ, არაყი „ბ-ე“ გადაეცა და იგი მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. ზემოხსენებულ გარემოებას ამტკიცებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 18 სექტემბრის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მოსარჩელის კუთვნილ ნაგებობაში განთავსებული არის, სწორედ, არყის „ბ-ე“ ბოთლები. ამასთან, ეს არაყი დღევანდელ ბაზარზე აღარ იწარმოება. ამრიგად, პალატამ დაადგინა, რომ ქონება, რომლისაგანაც მოსარჩელე კუთვნილი ფართის გათავისუფლებას ითხოვს, სწორედ ის „ალკოჰოლური სასმელია“, რომელიც აპელანტს საბოლოო გამყოფი ბალანსით გადაეცა.

15. დადგენილია, რომ სადავო ალკოჰოლური სასმელი 2010 წლის 19 ოქტომბრამდე ეკუთვნოდა სს ი-ას. ამ საწარმოს ნატურით გაყოფის შედეგად სადავო ქონებაზე უფლებები გადაეცა აპელანტს. ამ დროისათვის, მოქმედი რედაქციით მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის.

16. აქედან გამომდინარეობს, რომ გაყოფის შედეგად წარმოშობილი სანარმო, პარტნიორთა შეთანხმების ფარგლებში, თავდაპირველი სანარმოს უფლებამონაცვლეა. ამის შესაბამისად, აპელანტს ქონებაზე გადაეცა ის უფლებები, რაც სს ი-ას ჰქონდა. ე.ი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე იგი სადავო ქონების მესაკუთრეა.

17. ამდენად, დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელის კუთვნილ ფართში, მისი ნების გარეშე, განთავსებულია აპელანტის კუთვნილი ქონება.

18. ამის გამო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა მოთხოვნა ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ იყო ვალდებული აპელანტისათვის ქონება მიეწოდებინა.

19. დადგენილი იქნა, რომ 2010 წლის 19 ოქტომბრის კრების ოქმით, ე.ი. ხელშეკრულებით მხარეებს ქონების მიწოდების, ე.ი. ვალდებულების შესრულების ადგილი არ განუსაზღვრავთ. ამასთან, რადგან სადავო ქონება მოსარჩელის მფლობელობაში იყო, აპელანტისათვის მისი გადაცემის ვალდებულება სწორედ მას ჰქონდა. ამის შესაბამისად, ამ ვალდებულებაში მოვალე მოსარჩელე იყო.

20. სსკ-ის 362-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს: გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის სანარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ – მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

21. რადგან მოსარჩელეს აპელანტისთვის 3527,63 ლარის ღირებულების არაყი, ე.ი. გვარეობით განსაზღვრული საგანი უნდა მიეწოდებინა, ხელშეკრულების შესრულების ადგილი განსაზღვრული არ იყო და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობდა, მიწოდება მოვალის, ე.ი. მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა მომხდარიყო. ეს კი, ნიშნავს, რომ ქონების დატვირთვას, ტრანსპორტირებასა და გადმოტვირთვაზე უარს მოსარჩელე სავსებით საფუძვლიანად აცხადებდა და ეს ვალდებულება, სწორედ, აპელანტს ეკისრებოდა.

22. სადავო ქონება მოსარჩელეს აპელანტისათვის მის მისამართზე კი არ უნდა მიეწოდებინა, არამედ თავად აპელანტი უნდა გამოცხადებულიყო მოსარჩელის მისამართზე პროდუქციის მისაღებად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპე-

ლანტი მონინალმდევე მხარის ქონებით სარგებლობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თუმცა, ამავდროულად, სარგებლობის წარმოშობის საფუძველი მართლსაწინააღმდეგო არ არის.

23. ამის გამო, სააპელაციო საამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს დაზოგილი თანხის ანაზღაურება მართებულად დააკისრა.

24. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 18 სექტემბრის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის კუთვნილ ფართში განთავსებულია 1329 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი და მას, ფაქტობრივად, დაკავებული აქვს 13,5 კვ.მ. ფართი. მართალია, განსაკუთრებული წესით განთავსების შემთხვევაში, ეს ფართი შეიძლება შემცირდეს 5,76 კვ.მდე, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, პალატის აზრით, ამ რაოდენობის შუშის ბოთლის განთავსება მთლიანი ფართობის სხვა დანიშნულებით გამოყენებას შეუძლებელს ხდის. ამის გამო, პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაც სწორად გამოიანგარიშა.

25. სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ (აპელანტი).

26. საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

27. კასატორი აღნიშნავს, რომ დავის განხილვის დროს, მოპასუხე მიუთითებდა, რომ მისთვის უცნობი იყო არყის რეალურად არსებობის და იმის შესახებ, რომ აღნიშნული საქონელი იმყოფებოდა მოსარჩელისათვის მიკუთვნილ ფართში. კასატორის მიუთითებით, ეს გარემოება მისთვის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული და წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნიდან გახდა ცნობილი. მხარეთა შორის დიდი ხანია მიმდინარეობს დავა, რომელიც საწარმოთა რეორგანიზაციას შეეხება. რეორგანიზაციის შემდეგ სადავო საქონელი – არაყი მიეკუთვნა მოპასუხეს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ იძლეოდა რეალურად ქონების გადამოწმების შესაძლებლობას, მოპასუხის მოთხოვნა ქონების მისთვის გადაცემის შესახებ მხოლოდ წერილობითი ფორმით შეიძლებოდა დაფიქსირებულიყო. მოსარჩელე კი, მხოლოდ ქირის გადახდის სანაცვლოდ იძლეოდა პირობას, რომ სადავო ქონება მოპასუხეს გადასცემდა. ამ მოცემულობაში, მოპასუხისთვის პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო ქონების მოსარჩელის ფართში განთავსების დადგენა.

28. რაც შეეხება ქირის თანხას, კასატორი აღნიშნავს, რომ ექ-

სპერტიზის დასკვნით, სასამართლომ დაადგინა, რომ ქონების განთავსება შესაძლებელი იყო 5.76 კვ.მ ფართობში, რეალურად ქონება განთავსებულია 13.50 კვ.მ ფართობში. სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა 30 კვ.მ ფართობის საიჯარო ქირის ანაზღაურება. თუკი ქონება შესაძლებელია განთავსდეს 5 კვ. ფართობში, რეალურად განთავსებულია 13კვ. ფართობში, მხარეს რა საფუძვლით ეკისრება ქირა 30 კვ.მ ფართობის მოცდენისთვის. კასატორის მითითებით, არაფერი უშლიდა ხელს მოსარჩელეს, რომ საქონელი განეთავსებინა 5კვ.მ ფართობში და ესარგებლა თავისუფალი ფართობით და ამით, აეცილებინა ის ზიანი, რომელიც თურმე ადგებოდა მოპასუხის მოქმედებით. მოსარჩელემ თავად შეუწყო ხელი ზიანის დადგომას (სსკ-ის 415-ე მუხლი). ამ მოცემულობაში, არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია შერეულ ბრალზე ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის.

29. კასატორი არ ეთანხმება დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ქონების განთავსება 5.76 კვ.მ ფართობში მაინც გამორიცხავდა საწყობის თავისუფალი ნაწილის (ფართობის) დანიშნულებისამებრ გამოყენებას და მიაჩნია, რომ ამ გარემოების დადგენისას სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რას დააყრდნო დასკვნა.

სარეზოლუციო ნაწილი:

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

31. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

32. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

33. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

34. საკასაციო სასამართლო შეზღუდულია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპის დასრულების დროისათვის წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

35. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიუკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე, ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი დანის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია, თავის თავში, მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის დოკუმას, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, მხარეებთან მიმართებით უზრუნველყოფილ იქნა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, როგორც აღინიშნა, სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მიღებული განმარტებების ფარგლებში.

36. საკასაციო სასამართლო, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიების გაცნობის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ, როგორც საპროცესო სამართლებრივი, ასევე მატერიალურსამართლებრივი ნორმების არასწორ გამოყენებას.

37. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ფართის მოცდენის გამო, მოპასუხისათვის ქირის დაკისრების ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, რადგანაც, მოპასუხისათვის მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მისი საქონელი (არაყი) ნამდვილად იმყოფებოდა მოსარჩელის საწყობში, რაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დაინიშნა ექსპერტიზა და ექსპერტიზის დასკვნა ცნობილი გახდა მოპასუხისათვის.

38. კასატორის მოსაზრებით, რომც დგინდებოდეს, რომ მოსარჩელის საწყობში განთავსებულია მოპასუხის საქონელი, არამარ-

თღზომიერია მოპასუხისათვის სანყობის დანარჩენი ფართის მოცდენის გამო, ზიანის დაკისრება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამაში ბრალი მიუძღვის მოსარჩელესაც და უკიდურეს შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ემსჯელა შერეულ ბრალზე და მეორეც, თუკი დადგენილია, რომ მოპასუხის საქონელი განთავსებულია სანყობის მხოლოდ ერთ ნაწილში, რატომ გამოირიცხა სანყობის დანარჩენი ნაწილის დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და აქედან ზიანის შემცირების შესაძლებლობა.

39. საკასაციო პალატა პირველ რიგში, იმსჯელებს კასატორის იმ პრეტენზიაზე, რომელიც დაკავშირებულია მოპასუხის საქონლის (არაყი) მოსარჩელის სანყობში განთავსებასა და თანხის განსაზღვრასთან.

40. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მოპასუხისაგან სანყობის მოცდენისათვის მოითხოვდა ზიანის სახით იმ თანხას, რასაც სანყობში მსგავსი ოდენობის საქონლის შენახვის შემთხვევაში, მიიღებდა ყოველთვიურად. მოსარჩელის მითითებით ესაა ყოველთვიურად 400 ლარი.

41. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საიჯარო ხელშეკრულებების თანახმად, ქ. ფოთი, სამხრეთ მოლის ტერიტორიაზე არსებული 30 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის საიჯარო ქირა შეადგენს 118 ლარს. აღნიშნული გარემოება სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის 1 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებებით (პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების პ. 3.1.7).

42. გასაჩივრებული განჩინებით უცვლელადაა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ კუთვნილი ფართის გამოთავისუფლებამდე, ყოველთვიურად 118 ლარის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ/კასატორმა სადავო გახადა სააპელაციო საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება.

43. დადგენილია, რომ სს ი. – საზღვაო ვაჭრობის საბოლოო გამოყოფი ბალანსით ე.წ. აქციონერთა მეორე ჯგუფს, ე.ი. აპელანტს/კასატორი 3527,63 ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელი გადაეცა.

44. 2012 წლის 3 მაისს აპელანტმა/კასატორმა წერილით მიმართა „აქციონერთა მეორე ჯგუფის“ მიერ შექმნილ საწარმოს, შპს შიას და ზემოხსენებული ქონების, განუბაჟებელი არაყი „ბ-ეს“ გადაცემა მოითხოვა.

45. 2012 წლის 17 მაისს შპს შ-იამ ამ ქონების მიწოდებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მისი მიწოდების (დატვირთვა, ტრანსპორტირება, გადმოტვირთვა) ვალდებულება არ ეკისრებოდა.

ამავდროულად, აპელანტს ქონების „გატანა“, ფართის გათავისუფლება და შენახვის საფასურის ანაზღაურება მოსთხოვა.

46. 2012 წლის 25 მაისს აპელანტმა შპს შ-იას ასევე წერილობით უპასუხა და განუმარტა, რომ არაყი „ბ-ეს“ გადაცემა სწორედ მას ევალებოდა, ამის გამო, ან ქონება უნდა გადაეცა, ან მისი ღირებულება, 3529,63 ლარი გადაეხადა. მოგვიანებით, მხარეებმა ერთმანეთს წერილობით კიდევ რამდენჯერმე მიმართეს და, მათ შორის, არყის სამართლებრივ ბედზე დავობდნენ.

47. სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მოცემული საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს ინიციატივით საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა.

48. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 18 სექტემბრის დასკვნით, დადგენილია, რომ მოსარჩელის კუთვნილ ნაგებობაში განთავსებული არის არყის „ბ-ე“ ბოთლები (სადავო საქონელი). ბოთლები, სულ 1329 ცალი) განთავსებულია 13,5 კვ.მ ფართობზე.

49. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საბოლოო გამყოფი ბალანსით აპელანტს/კასატორს, სწორედ, არაყი „ბ-ე“ გადაეცა და იგი მოსარჩელის ტერიტორიაზეა განთავსებული, რის თაობაზეც, მოპასუხე ინფორმირებული იყო.

50. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია ვერ წარმოადგინა იმ გარემოების უარსაყოფად, რომ მოპასუხე ინფორმირებული არ იყო იმის შესახებ, რომ სადავო საქონელი განთავსებული იყო მოსარჩელისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე. კასატორის მითითებით, მოსარჩელე არ იძლეოდა რეალურად ქონების გადამონმების შესაძლებლობას, მოპასუხის მოთხოვნა ქონების მისთვის გადაცემის შესახებ მხოლოდ წერილობითი ფორმით შეიძლებოდა დაფიქსირებულიყო. მოსარჩელე კი, მხოლოდ ქირის გადახდის სანაცვლოდ იძლეოდა პირობას, რომ სადავო ქონებას მოპასუხეს გადასცემდა. ამ მოცემულობაში, მოპასუხისთვის პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო ქონების მოსარჩელის ფართში განთავსების ფაქტის დადგენა.

51. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს –

ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალ-წარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

52. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

53. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

54. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის

178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

55. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

56. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები. პირველ რიგში, მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცებების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

57. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია

გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

58. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

59. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვანადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

60. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვანადობის პრინციპების მოთხოვნა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

61. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარ-

ჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება-დადასტურება.

62. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადანყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი).

64. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად დასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა სარჩელის საგა-

ნი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

65. სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობას უარყოფა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 4.1 მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მო-

საზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადანყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს თავის მხრივ შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოებას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადანყვეტილებას, თუ მან არ მოუხმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადანყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე №2/6/746).

67. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი.

68. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხა-

რეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

69. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

70. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუს-

წრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკასა თუ დოქტრინაში შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას უთანაბრდება (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ), ანუ სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას – მოსამართლე სარჩელში მითითებულ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეუდავებლად (დამტკიცებულად) მიიჩნევს, ამასთან, თუ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხე ვერ განახორციელებს ფაქტობრივ შედავებას, მათ შორის მტკიცებულებათა წარდგენას (სსსკ-ის 232-ე მუხლი), შესაბამისად, მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შედავების უფლება რჩება. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები – დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის წინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოიწურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუ-

დოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

71. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაქნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

72. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

73. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედეგებს. კვალიფიციური შედეგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედეგებას არსებით შედეგებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედეგება, ერთი მხრივ, შეიძლება გამოიციხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედეგება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

74. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამონმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე

სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემონმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

75. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

76. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადანწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები;

77. თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი.

78. საკასაციო პალატა განსახილველ საქმეზე ყურადღებას გამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: სარჩელში, დავის საგნის მოკლედ მიმოხილვაში მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მოპასუხე უკანონოდ სარგებლობს მოსარჩელის საწყობით, რადგან მოსარჩელისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე განლაგებულია მოპასუხისათვის მიკუთვნებული საქონელი – არაყი „ბ-ე“-ს ბოთლები (დამატებით იხ., წინამდებარე განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარე-

მოებები პპ: 43-46). მოპასუხემ წარდგენილ შესაგებელში ამ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით დასაბუთებული შედაგება არ წარადგინა. დადგენილი იქნა ისიც, რომ 2010 წლის 19 ოქტომბრის კრების ოქმით, ე.ი. ხელშეკრულებით მხარეებს ქონების მიწოდების, ე.ი. ვალდებულების შესრულების ადგილი არ განუსაზღვრავთ. ამასთან, რადგან სადავო ქონება მოსარჩელის მფლობელობაში იყო, აპელანტისათვის მისი გადაცემის ვალდებულება სწორედ მას ჰქონდა. ამის შესაბამისად, ამ ვალდებულებაში მოვალე მოსარჩელე იყო (წინამდებარე განჩინების პ.19). ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის შედაგებას, რომ კასატორისთვის მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნის გაცნობის შედეგად გახდა ცნობილი, რომ სადავო საქონელი – არაყი „ბ-ე“-ს ბოთლები – ნამდვილად იმყოფება მოსარჩელისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე და ამიტომ, მოპასუხეს (კასატორი) მოსარჩელის კუთვნილი საწყობის მოცდენისათვის პასუხისმგებლობა არ უნდა დაჰკისრებოდა.

79. რაც შეეხება კასატორის შედაგებას იმ ნაწილში, რომელშიც მითითებულია, რომ თუკი – არაყი „ბ-ე“-ს ბოთლების განლაგება შესაძლებელი იყო გაცილებით ნაკლებ ფართობზე, როგორც ეს ექსპერტიზის დასკვნაშია მითითებული (5.76 კვ.მ ფართობზე), მაშინ რატომ განისაზღვრა ზიანის ოდენობა საწყობის უფრო მეტი ფართობის მოცდენისათვის.

80. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიას არ იზიარებს და მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრვ გარემოებაზე, რომლის მიხედვით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, საქმის გარემოებათა გამოკვლევის მიზნით დაინიშნა ექსპერტიზა, რომელსაც დაევსა შემდეგი შინაარსის კითხვები: არის თუ არა მოსარჩელის საწყობში განთავსებული მოპასუხის კუთვნილი საქონელი (არყის ბოთლები „ბ-ე“); რა ფართობი უკავია მათ; რა ფართობი არის საჭირო რომ ბოთლებმა ყველაზე ნაკლები ტერიტორია დაკავოს ისე, რომ არ დაზიანდეს.

81. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 18 სექტემბრის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის კუთვნილ ფართში განთავსებულია 1329 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი და მას, ფაქტობრივად, დაკავებული აქვს 13,5 კვ.მ. ფართი. განსაკუთრებული წესით განთავსების შემთხვევაში, ეს ფართი შეიძლება შემცირდეს 5,76 კვ.მ-დ.

82. პირველ რიგში, საკასაციო პალატა პროცესუალური კუთხით შეაფასებს წარმოდგენილი მტკიცებულების იურიდიულ ძალასა და შინაარსს, რათა მისი მეშვეობით იმსჯელოს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მართებულობაზე:

83. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა, ესაა მტკიცებულების ერთ-ერთი სახე, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქმის გარემოებათა დასადგენად. იმის მიხედვით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოებაა დასადგენი, შესაძლებელია ჩატარდეს ტრადიციული და არატრადიციული ექსპერტიზა, მათ შორისაა, სასაქონლო, ფინანსური, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზები და სხვა. ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილება აქვთ იმ საექსპერტო ორგანოებს, რომელთა საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. შესაბამისად, როდესაც საუბარია ექსპერტიზის დასკვნაზე, როგორც სსსკ-ით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მტკიცებულებაზე (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი) იგულისხმება კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების მქონე საექსპერტო ორგანოს მიერ ჩატარებული ექსპერტის წერილობითი შედეგი (დასკვნა). თავად ექსპერტი კი, პროცესის მონაწილე დამხმარე სუბიექტია, რომელიც ფლობს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში. მის მიერ შედგენილ დასკვნაში გადმოცემულია გამოკვლევების შინაარსი, შედეგები და პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებზე. სსსკ-ის 162-ე მუხლის ნორმატიული გაგებით, მტკიცების ამ საშუალებით შესაძლებელია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა, ხოლო ამგვარი მტკიცებულების გარეშე, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ექსპერტიზის საჭიროება საქმეზე დასადგენი გარემოებების თავისებურებიდან გამომდინარეობს. ექსპერტიზის დასკვნა, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კვლევის წერილობითი შედეგი პასუხს სცემს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით მხარეთა ანდა სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებს. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარების ინიცირება და დასკვნის სასამართლოში წარდგენა მხარის საპროცესო უფლებაა. ზოგიერთ შემთხვევებში კი, სასამართლო თავადაც არის უფლებამოსილი დანიშნოს ექსპერტიზა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სადავო გარემოების გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია (სსსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილი). ცხადია, აქ მოიაზრება ობიექტური საჭიროება და არა პროცესის რომელიმე მხარის (მოსარჩელე, მოპასუხე, მე-3 პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) მხარდაჭერა მათთვის განკუთვნილ მტკიცებით საქმიანობაში. უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა უშუალოდ გამომდინარეობს დავის მომწესრიგებელი მატერიალურსამარ-

თლებრივი დანაწესებიდან, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, ექსპერტიზის დანიშვნა განპირობებულია საქმის პროცედურული ასპექტებით. საბოლოოდ, სასამართლო განსაზღვრავს ექსპერტის დასკვნის იურიდიულ ძალას და ამ მტკიცებულების შეფასების შედეგად ადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, ერთი მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობის შეფასება დამოკიდებულია მეორე მხარის კვალიფიციურ შედავებაზე. ცხადია, აქ მხოლოდ მონინალმდევე მხარის ზეპირსიტყვიერი, ექსპერტიზის დასკვნის სანინალმდეგო მოსაზრება არ იგულისხმება. ექსპერტიზის თუნდაც სავარაუდო დასკვნა, აბათილებს მოპასუხის მარტოოდენ ზეპირ განმარტებას, რადგან სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სპეციალისტის მოსაზრებას სადავო ურთიერთობის ფაქტობრივ სამართლებრივი დასაბუთებისას, უთუოდ ენიჭება გარკვეული უპირატესობა მაშინ, როდესაც მონინალმდევე ვერ აბათილებს ობიექტური მტკიცებულებებით სადავო გარემოებებს (შეადრ: სუსგ №ას-1078-1015-2015, 13.01.2016. პ.27.2). ამდენად, ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გაბათილების ვალდებულება, მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონეა (იხ., ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, გვ: 97-99,102, 106-107, 115-120. რედაქტორები: ზურაბ ძლიერაშვილი, ნუნუ კვანტალიანი).

84. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ მოპასუხის კუთვნილი საქონლის (არყის ბოთლები „ბ-ე“) მოსარჩელის ტერიტორიაზე (საწყობში) განთავსებით, რასაც რეალურად უკავია 13,5 კვ.მ. ფართი, გამოიციხავს დარჩენილი 30კვ.მ ფართის დანიშნულებით გამოყენებას. საქმის მასალებით არც ის დასტურდება, რომ მოსარჩელის კუთვნილი ფართის თავისუფალი ნაწილი ცალკე გაქირავებაუნარიანი იყო. შესაბამისად, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო, არ იზიარებს კასატორის (მოპასუხის) პრეტენზიას, რომ მოსარჩელეს (ფართის მესაკუთრე) თავადაც შეეძლო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული წესით დაეღაგებინა საქონელი (არყის ბოთლები „ბ-ე“) საწყობის შედარებით მცირე ტერიტორიაზე, რითაც მესაკუთრე (მოსარჩელე) შეძლებდა საწყობის დარჩენილი ფართობი გამოეყენებინა დანიშნულების მიხედვით.

85. უარსაყოფია კასატორის შედავების ის ნაწილიც, რომელიც მხარეთა შერეულ ბრალს შეეხება, კერძოდ, შერეული ბრალი კასატორის მოსაზრებით, იმიტომაა სახეზე, რომ მოსარჩელემ (ფარ-

თის მესაკუთრე) (არყის ბოთლები „ბ-ე“) არ დაალაგა საწყობის შედარებით მცირე ტერიტორიაზე და ამით არ შეამცირა ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნულის შესახებ კასატორს (მოპასუხე) შესაგებელში არ მიუთითებია, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 18 სექტემბრის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის კუთვნილ ფართში განთავსებულია 1329 ბოთლი ალკოჰოლური სასმეელი და მას, ფაქტობრივად, დაკავებული აქვს 13,5 კვ.მ. ფართი. მართალია, განსაკუთრებული წესით განთავსების შემთხვევაში, ეს ფართი შეიძლება შემცირდეს 5,76 კვ.მდე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის აზრით, ამ რაოდენობის შუშის ბოთლის განთავსება მთლიანი ფართობის სხვა დანიშნულებით გამოყენებას შეუძლებელს ხდის იხ., (წინამდებარე განჩინების პ.24).

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ვალდებულების შესრულების ადგილს. ვალდებულება უნდა შესრულდეს სათანადო ადგილას (*locus opportunus*). ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. ეს ადგილი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ადგილისაგან, სადაც შესრულების შედეგი დგება (შედეგის ადგილი). ამასთან, უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც „ვალდებულების შესრულების ადგილი“ და „შედეგის“ ადგილი ერთმანეთს ემთხვევა. ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულებიდან გამომდინარე მოქმედება. საუბარია სივრცეში მეტად თუნაკლებად განსაზღვრულ პუნქტზე. ეს შეიძლება იყოს განსაზღვრული შენობა ან განსაზღვრული დასახლებული პუნქტი (ქალაქი, სოფელი, ქუჩა) ან რეგიონი, ან სულაც სახელმწიფო. საქმე უნდა ეხებოდეს ადგილს, სადაც მოვალე განახორციელებს თავისი ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო უკანასკნელ მოქმედებას. ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუ სად განახორციელა მოვალემ შესრულებისათვის საჭირო მოსამზადებელი ქმედებები. (იხ. თამარ ზარანდია, სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005, გვ.4). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი წესიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების ადგილთან მიმართებით, შესრულება უნდა შეესაბამებოდეს ვალდებულების შინაარსს და გამომდინარეობდეს იმ საფუძვლიდან, რომელმაც ვალდებულება წარმოშვა. ვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება მრავალგვარი იყოს. კერძოდ, როგორცაა: ა) მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესრულების ადგილი; ბ) კანონით განსაზღვრული შესრულების ადგილი და სხვა. ყველაზე

უფრო ხშირად ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა ხდება მხარეთა შეთანხმებით. ამ დებულების საფუძველი სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპია. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც ნების (კერძო ავტონომიის) გამოვლინება, გულისხმობს კერძო პირების უფლებას, დადონ ნებისმიერი შინაარსის შეთანხმება. ვალდებულების შესრულების ადგილის თავისუფალი განსაზღვრა ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებაში მოიაზრება. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ შეთანხმდნენ იმ ადგილზე, სადაც მოხდება ვალდებულების შესრულება. მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს გარკვევით გამოხატული (პირდაპირი) ან ნაგულისხმევი (არაპირდაპირი). პირდაპირია შესრულების ადგილის განსაზღვრა, თუკი შეთანხმებაში მითითებულია კონკრეტული ადგილი, სადაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება. მაგალითად, ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს გარკვეულ მისამართზე. ნაგულისხმევი შესრულების ადგილის შემთხვევაში შესრულების ადგილი არაპირდაპირაა განსაზღვრული. ამ შემთხვევაში დგება ნაგულისხმევი განზრახვის სწორი ინტერპრეტაციის საკითხი. შესრულების ადგილის დასადგენად მხედველობაში მიიღება ყველა არსებითი გარემოება, მათ შორის, სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის ტრადიციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებათა სამართლებრივი მოწესრიგებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა შინაარსისაა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ინდივიდუალური ურთიერთობა. როგორც წესი, მხარეთა ნების უპირატესობის გამო, შესრულების ადგილის დადგენისას კანონისმიერი მოწესრიგება უკანა პლანზე ინაცვლებს. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია დადგინდეს ვალდებულების შესრულების კანონით განსაზღვრული ადგილის გამოყენების ფარგლები. ის შემთხვევები, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება კანონის მიერ, არცთუ ისე ხშირია. მაგალითად, დეპონირების დროს, შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით. მიზარებული ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღწეულია შეთანხმება სხვა ადგილზე დაბრუნების შესახებ (სსკ-ის 772-ე მუხლი). კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი არა მხოლოდ არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, არამედ, არც იგულისხმება და ამასთან, ვერც თავად ვალდებულების არსიდან ირკვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც

საც ვალდებულების შესრულების ადგილი მხარეთა მიერ არ არის განსაზღვრული, ეს ხარვეზი სწორდება კანონის დისპოზიციური ნორმებით: შესრულების ადგილი დამოკიდებულია მოვალის საქმიანობასა და ვალდებულების საგნის ხასიათზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, სრულიად იზიარებს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებისა და პრაქტიკის მიღწევებს და, სსკ-ის 362-ე მუხლში მიუთითებს, რომ: ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა; ბ) გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში, მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

87. შესაბამისად, საკასაციო პალატა საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სრულად იზიარებს წინამდებარე განჩინების 3.22-ში მითითებულ სააპელაციო პალატის მოსაზრებას სადავო მოძრავი ნივთის მიწოდების ადგილთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე დაკისრებას. ამ ვითარებაში, არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით – უფრო მეტად, თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი – „თანაბრალებულობა“ (Oetker, in Münch Komm BGB/ §254. Bd 2a. Rn. 10.; Heinrichs, in Palandt BGB Komm., §254. Rn.15.; Schiemann, in Staudinger BGB Komm., §254. Rn.67.; Grüneberg in Bamberger/Roth., BGB Komm., §254. Bd. 1. Rn.11. 19.). საკასაციო პა-

ლატა დაუსაბუთებლობის გამო, არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით სსკ-ის 415-ე მუხლის მოწესრიგების გამოყენების შესახებ და სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინების 23-ე მუხლში განვითარებულ მოსაზრებას, სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის, ე.წ. „ზიანის გათანაბრება“ გამოყენების შესახებ. კერძოდ, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი (სუსგ №ას-472-448-2013,5 დეკემბერი, 2013).

88. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს წინამდებარე განჩინების 3.23-ში მითითებულ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ ზიანის გათანაბრებასთან დაკავშირებით, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკა.

89. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

90. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

91. ვინაიდან საკასაციო საჩივარი უარყოფილია, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სსპინი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგად

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-275-2020

16 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „ა-მ-მ-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“ ან „მენარდე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ე.ს-სის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „შემკვეთი“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის, ამ უკანასკნელის უკანონო მფლობელობაში არსებული, 936 კვ.მ. ფართის რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილის მოსარჩელისთვის საკუთარი ხარჯით დაბრუნების დავალება, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, მისი ღირებულების ანაზღაურება 49 701.60 ლარის ოდენობით.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. 16.02.2009 წელს მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება, მოპასუხის კუთვნილ ტერიტორიაზე, 3000 კვ.მ. ფართობზე, სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმირების რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის შესახებ. ხელშეკრულების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ შეიძინა და მოპასუხის ტერიტორიაზე შეიტანა 984 კვ.მ. ორმაგი არმირების რკინა-ბეტონის ფილა, საიდანაც

დააგო 193.4 კვ.მ. ფილა. ამის შემდეგ, მოპასუხემ მოსარჩელეს შეაჩერებინა სამუშაოები და საკუთარი კორპუსის ასაშენებლად მიითვისა ფილების ნაწილი. 10.06.2009 წელს მოპასუხემ გადაიხადა იმ პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოების ღირებულება 330620 ლარის ოდენობით. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხემ მოსარჩელეს არ მისცა სამუშაოების დასრულების შესაძლებლობა, ხოლო 12.09.2012 წელს უკან დაუბრუნა ფილების მცირე ნაწილი – 48 კვ.მ-ის ოდენობით.

2.2. მოსარჩელის კუთვნილი რკინა-ბეტონის ფილების საერთო ღირებულება შეადგენს 49701.60 ლარს.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ მის მიერ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელემ მოპასუხის ტერიტორიაზე შეიტანა 984 კვ.მ. ბეტონის ფილა, საიდანაც მოსარჩელემ დააგო 193.4 კვ.მ.; მოპასუხემ საკუთარი ინტერესებისთვის მოიხმარა 316.6 კვ.მ.; 48 კვ.მ. კი, მოპასუხემ მოსარჩელეს დაუბრუნა.

3.2. 09.01.2012 წლის წერილით მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა და დაუდასტურა ამ უკანასკნელის მიერ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში 193.4 კვ.მ. ფილის დაგება-გახარჯვა, ასევე მოპასუხის მიერ თავისი პირადი ინტერესებისთვის 316.6 კვ.მ. ფილის მოხმარება-გახარჯვა. დარჩენილი 426 კვ.მ. ფილაც მოპასუხემ გამოიყენა საკუთარი ინტერესებისთვის (კორპუსის მშენებლობისას), რაც მოსარჩელისათვის ჯერ კიდევ 2013 წელს იყო ცნობილი.

3.3. ნივთი, რომლის დაბრუნებასაც მოსარჩელე ითხოვს, 2013 წლიდან აღარ არსებობს. აღნიშნულის შესახებ მოსარჩელისათვის ჯერ კიდევ 2013 წელს იყო ცნობილი. ნივთის დაბრუნების ნაცვლად, მისი ღირებულების მოთხოვნის უფლება, როგორც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, ისე სახელშეკრულებო მოთხოვნის კუთხით ან სხვა მოთხოვნის სახით, ხანდაზმულია.

4. 06.03.2019 წლის სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 936 კვ.მ. ფართის რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილის ღირებულების – 49 701.60 ლარის, დაკისრება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩუქრული ნაწილი და საფუძვლები:

5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2019 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

5.1. მხარეთა შორის 16.02.2009 წელს გაფორმდა №157/25 ხელ-

შეკრულება, მოპასუხის კუთვნილ ტერიტორიაზე, 3000 კვ.მ. ფართობზე, სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმირების ბეტონის საფარის მოწყობის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 242 000 აშშ დოლარით, დღგ-ს გარეშე. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ მოპასუხის ტერიტორიაზე შეიტანა 984 კვ.მ. ბეტონის ფილა, საიდანაც დააგო 193.4 კვ.მ. ფილა. მოპასუხემ საკუთარი ინტერესებისათვის მოიხმარა 316.6 კვ.მ., ასევე კორპუსის მშენებლობისათვის გამოიყენა 426 კვ.მ., ხოლო 48 კვ.მ., 12.09.2012 წელს, დაუბრუნა მოსარჩელეს. მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია 936 კვ.მ. ფართის რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილის ღირებულება – 49 701.60 ლარი, აღნიშნული ასევე დადასტურებულია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით.

5.2. 09.01.2012 წლის წერილით მოპასუხის დირექტორმა მოსარჩელეს მისი 12.09.2011 წლის წერილის პასუხად აცნობა, რომ მათ მიერ შეტანილი 984 კვ.მ. ბეტონის ფილიდან 316.6 კვ.მ. მოიხმარეს თავად, რასაც დაინერდნენ მასალის სახით, 474 კვ.მ. დაგების გარეშე იყო განთავსებული ქარხნის ტერიტორიაზე და წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებას, ხოლო 193.4 კვ.მ. დაგებული იყო თავად მოსარჩელის მიერ. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ დარჩენილი 474 კვ.მ. ფილაც მოპასუხემ საბოლოოდ გამოიყენა საკუთარი მიზნებისათვის, რის შესახებაც 2013 წელს იცოდა მოსარჩელემ.

5.3. 2013 წლისათვის მოსარჩელემ უკვე იცოდა, რომ მოპასუხე მას ვერ დაუბრუნებდა მის მიერ ხელშეკრულების შესრულების მიზნით შექმნილ ფილებს, რადგან მათი ნაწილი თავად დააგო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნაწილი კი შემკვეთმა გამოიყენა საკუთარი მიზნებისათვის. ამდენად, 2013 წელს მას უკვე შეეძლო მოეთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოპასუხისათვის, თუმცა სარჩელი სასამართლოში შემოიტანა მხოლოდ 31.03.2017 წელს. ვინაიდან მხარეებს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს გაშვებული აქვს. აღნიშნული კი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

6. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.11.2019 წლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 936 კვ.მ. რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილის ღირებულება 49701.60 ლარის ოდენობით. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ განუხლები საადვოკატო მომსახურების თანხა 500 ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

7.1. მხარეთა შორის 16.02.2009 წელს გაფორმდა №157/25 ხელშეკრულება მოპასუხის კუთვნილ ტერიტორიაზე, 3000 კვ.მ. ფართობზე, სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმირების ბეტონის საფარის მოწყობის შესახებ, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებას. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ მოპასუხის ტერიტორიაზე შეიტანა 936 კვ.მ. ფართის რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილები, რომლითაც უნდა გაეკეთებინა ბეტონის საფარი. ამასთან, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ აღნიშნული ფილების ღირებულება იყო 49 701.60 ლარი.

7.2. 09.01.2012 წელს მოპასუხის ღირეიტორმა მოსარჩელეს აცნობა, რომ ამ უკანასკნელის მიერ მოპასუხის ტერიტორიაზე შეტანილი 984 კვ.მ. ბეტონის ფილიდან 316.6 კვ.მ. თავად მოიხმარეს, რასაც დაინერდნენ მასალის სახით; 474 კვ.მ. იყო განთავსებული ქარხნის ტერიტორიაზე და წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებას.

7.3. მოპასუხემ მოსარჩელეს შეუნყვიტა ნარდობის ხელშეკრულება, თუმცა ზემოაღნიშნული ფილები მისთვის არ დაუბრუნებია. აღნიშნული ფილები დღეისათვის დამოუკიდებელ საგნად აღარ არსებობს, რადგან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ მოპასუხემ ისინი გამოიყენა საფარის მოწყობისათვის.

7.4. 2013 წლის მაისში მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ სასამართლოში დაიწყო დავა. აღნიშნულ დავაში მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა №157/25 ნარდობის ხელშეკრულების უკანონოდ (ვადაზე ადრე) შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებულ დავაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 03.06.2016 წელს. 2013 წლის მაისში აღძრული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მხარეთა შორის სადავო არ ყოფილა №157/25 ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით მოსარჩელის მიერ მოპასუხის ტერიტორიაზე შეტანილი 936 კვ.მ. ფარ-

თის რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილების დაბრუნების ან/და მისი ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხი. სწორედ ამ დავის დასრულების შემდეგ, 31.03.2017 წელს მოითხოვა მოსარჩელემ მის მიერ მოპასუხის ტერიტორიაზე შეტანილი თავისი მოძრავი ნივთის უკან დაბრუნება.

7.5. მოპასუხეს სადავოდ არასდროს გაუხდია ის ფაქტი, რომ 936 კვ.მ. რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილები ეკუთვნოდა მოსარჩელეს. შესაბამისად, მოსარჩელეს მითითებული მოძრავი ნივთის დაბრუნების ან/და მისი ღირებულების ანაზღაურების უფლება გააჩნდა ნებისმიერ დროს. აღნიშნული მოთხოვნა მოსარჩელემ დააყენა სწორედ ვინდიკაციური სარჩელით, ხოლო ასეთი სარჩელით დაყენებული მოთხოვნის მფლობელს ყოველთვის აქვს სხვისი უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთის გამოთხოვის უფლება.

7.6. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 170.1, 172.1, 408.1, 409-ე მუხლებით და მიუთითა, რომ, რადგან სადავო 936 კვ.მ. ფართის რკინა-ბეტონის ორმაგი არმირების ფილები დღეისათვის დამოუკიდებელ საგანად აღარ არსებობს, ამასთან, ფილების ღირებულება მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია, ამასთან, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის 49701.60 ლარის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანია. სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე მოპასუხის მითითებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება.

7.7. სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემული დავის გადანყვეტისას ასევე შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი). უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუმოთხოვნას არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ან სხვა რაიმე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები. შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო, 10-წლიანი ვადა, რაც მოსარჩელეს დაცული აქვს.

საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

8. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი

გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

8.1. მოპასუხის ტერიტორიაზე შეტანილი 193.4 კვ.მ. ფილა მოსარჩელემ მომსახურების განევისას/სამუშაოს შესრულებისას გამოიყენა. შესაბამისად, არ შეიძლება მისი ღირებულება მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების ან უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით დაეკისროს. ამ ფილების ღირებულების ანაზღაურებაზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რაც მოსარჩელეს გაშვებული აქვს.

8.2. 49701.60 ლარი იყო ფილების ღირებულება მათი შეძენისას. მოპასუხის მიერ ფილების გამოყენების მომენტში მათი საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

8.3. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადანყვეტილება არასწორად დააფუძნა სსკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილს. ნივთი, რომელიც შესაძლოა იმყოფებოდეს მოპასუხის მფლობელობაში და რომლის მოთხოვნის უფლებაც შეიძლებოდა მესაკუთრეს ჰქონოდა, 2013 წლიდან დამოუკიდებელ საგნად აღარ არსებობს. მოპასუხის მიერ ფილების დარჩენილი ნაწილის საკუთარი მიზნებისთვის გახარჯვის შესახებ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო 2013 წელს. მათი ღირებულების მოთხოვნაზე ასევე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც უნდა აითვალოს 2013 წლიდან. მოსარჩელეს იგი გაშვებული აქვს, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 09.11.2021 წლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე (სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადანყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნა-

ნილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

11. დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

11.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 16.02.2009 წელს გაფორმდა №157/25 ნარდობის ხელშეკრულება მოპასუხის კუთვნილ ტერიტორიაზე, 3000 კვ.მ. ფართობზე, სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმირების ბეტონის საფარის მოწყობის შესახებ.

11.2. ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ მოპასუხის ტერიტორიაზე შეიტანა 984 კვ.მ. ფართის რკინაბეტონის ორმაგი არმირების ფილა, საიდანაც: მოსარჩელემ სამუშაოს შესრულების ფარგლებში თავად დააგო 193.4 კვ.მ.; 12.09.2012 წელს მოპასუხემ 48 კვ.მ. დაუბრუნა მოსარჩელეს; დანარჩენი კი მოპასუხემ მოიხმარა საკუთარი ინტერესებისთვის, მათ შორის, კორპუსის მშენებლობისთვის, რაც მოსარჩელისათვის ცნობილი იყო 2013 წელს.

11.3. 936 კვ.მ. ფართის არმირების ფილის ღირებულება იყო 49 701.60 ლარი.

11.4. 2013 წელს მოსარჩელისათვის ცნობილი იყო შემკვეთის/მოპასუხის უარი ნარდობის ხელშეკრულებაზე.

11.5. მოპასუხეს არა აქვს გადახდილი 936 კვ.მ. არმირების ფილის ღირებულება.

12. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთი-

ერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სსსკ-ის მე-3, მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019წ.).

13. 16.02.2009 წელს მხარეთა შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება. ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსესუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი (სუსგ №ას-1166-2019, 06.04.2020წ.). სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. მენარდე სამუშაოს ასრულებს საკუთარი ან შემკვეთის მასალით.

14. 16.02.2009 წლის ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ მოპასუხე საწარმოს ტერიტორიაზე შეიტანა 984 კვ.მ. ფილა, საიდანაც 48 კვ.მ. ფილა, 12.09.2012 წელს, მოპასუხემ დაუბრუნა მოსარჩელეს. სარჩელით მოთხოვნილია სწორედ დარჩენილი 936 კვ.მ. (984 – 48) ფართის ფილის ღირებულების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება. სარჩელს მოპასუხე უპირისპირებს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ შესაგებელს და უთითებს სარჩელის ხანდაზმულობაზე (სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილი).

15. ზემოაღნიშნული 936 კვ.მ. ფილიდან მოსარჩელემ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთის ტერიტორიაზე დააგო 193.4 კვ.მ. ფილა, 742.6 კვ.მ. ფილა კი მოპასუხემ მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე მოიხმარა საკუთარი ინტერესებისთვის. გამომდინარე აქედან, მენარდეს შემკვეთის მიმართ, ერთ შემთხვევაში – 193.4 კვ.მ., ხოლო მეორე შემთხვევაში – 742.6 კვ.მ. ფილის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით.

16. საკასაციო პალატა თავდაპირველად შეაფასებს მოსარჩე-

ლის მიერ მოპასუხის ტერიტორიაზე დაგებული 193.4 კვ.მ. ფილის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის განხორციელებადაბას.

17. დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხის ტერიტორიაზე 193.4 კვ.მ. ფილის დაგების შემდეგ, შემკვეთმა უარი თქვა ნარდობის ხელშეკრულებაზე, რისი უფლებაც მას სსკ-ის 636-ე მუხლის (შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი) თანახმად, ჰქონდა. მოხმობილი ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის, რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (სუსგ საქმე №ას-697-663-2015, 15.12.2015წ.). მიუხედავად იმისა, მასალის ღირებულება გათვალისწინებულია შესრულებული სამუშაოს ფასში, ხარჯთაღრიცხვა შეიცავს მონაცემებს გამოყენებული მასალის ღირებულებაზე (ასეთ დროს მოთხოვნის საფუძველია სსკ-ის 636-ე მუხლი) თუ ცალკე შეთანხმებით ექვემდებარება ანაზღაურებას (ასეთ დროს მოთხოვნის საფუძველია სსკ-ის 477-ე მუხლი (სუსგ №ას-722-2019, 29.11.2019წ.)), დამკვეთს ხელშეკრულების მოშლისას ეკისრება მიწოდებული და მიზნობრივად გამოყენებული მასალის ღირებულების ანაზღაურება.

18. მოცემულ შემთხვევაში, 193.4 კვ.მ. ფილა შედიოდა მოსარჩელის მიერ მოპასუხე სანარმოს ტერიტორიაზე შეტანილ 984 კვ.მ. ფილაში და ეკუთვნოდა მენარდეს, რომელიც მან შემკვეთის სასარგებლოდ და მასთან შეთანხმებით გამოიყენა სამუშაოს შესრულებისას. აღნიშნულ მოთხოვნაზე სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ვრცელდება (სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს).

19. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია, საკუთარი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეცი-

ფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილი). სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულია რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (სუსგ №ას-1191-2019, 04.12.2019წ.).

20. ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულირებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; სუსგ №ას-986-2019, 16.10.2019წ.).

21. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის 2013 წელს უკვე ცნობილი იყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. წინამდებარე სარჩელი კი სასამართლოს წარედგინა 31.03.2017 წელს, ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით. შესაბამისად, საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორს, რომ ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

22. რაც შეეხება 742.6 კვ.მ. ფილის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მოპასუხის მიერ მასალის მესაკუთრესთან შეუთანხმებლად, საკუთარი მიზნებისთვის გახარჯული 742.6 კვ.მ. ფილის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნაზეც 3-წლიანი ხან-

დაზმულობის ვადა უნდა გავრცელდეს.

23. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად შეიტანა ფილები მოპასუხის ტერიტორიაზე, თუმცა მათი გამოყენება ვერ მოასწრო, რადგან მოპასუხემ ხელშეკრულება მოშალა. შესაბამისად, მოპასუხის მიერ მათი გამოყენებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს, როგორც მასალის მესაკუთრეს, ექნებოდა მათი დაბრუნების (უკან გატანის) უფლება. რადგან მოსარჩელის კუთვნილი 742.6 კვ.მ. ფილა შემკვეთმა საკუთარი ინტერესებისთვის, მათ შორის კორპუსის მშენებლობისთვის, მოიხმარა მასალის მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე, ის დამოუკიდებელ საგნად აღარ არსებობს, რაც მოსარჩელისათვის ცნობილია 2013 წლიდან.

24. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი 742.6 კვ.მ. ფილის ხელყოფის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 982.1 (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი), მუხლიდან გამომდინარეობს.

25. სსკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან (იხ. სუსგ საქმე №ას-472-448-2013, 05.12.2013წ.).

26. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის კუთვნილი 742.6 კვ.მ. ფილა მოპასუხემ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოიყენა, რასაც შედეგად მოჰყვა მოპასუხის გამდიდრება მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისის ხარჯზე. ამრიგად, განხორციელებულია სსკ-ის 982-ე მუხლით გათვალისწინებული

სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა. ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნისთვის სსკ-ით განსაზღვრული არ არის ხანდაზმულობის სპეციალური ვადა, ამ ურთიერთობაზე, სსკ-ის 128.3 მუხლით გათვალისწინებული, ხანდაზმულობის საერთო, 10-წლიანი ვადა ვრცელდება (მდრ. სუსგ №ას-445-420-2014, 22.04.2015წ.; №ას-1005-949-2015, 11.03.2016წ.), რაც განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს დაცული აქვს. ამრიგად, მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს მის მიერ გახარჯული 742.6 კვ.მ. ფილის ღირებულება. იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ 936 კვ.მ. ფილის ღირებულება იყო 49 701.60 ლარი, 742.6 კვ.მ. ფილის ღირებულება 39 432,06 ლარს ($49\ 701.60 : 936 = 53.1 \times 742.6$) შეადგენს.

27. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.11.2019 წლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრება 39 432,06 ლარის გადახდა.

28. მოსარჩელე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას ითხოვდა მის მიერ იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 500 ლარის, მონინალმდევე მხარისათვის დაკისრებას. საქმის მასალებით დასტურდება ადვოკატის მომსახურებისთვის, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ოდენობით, ხარჯის რეალურად განევის ფაქტი; სარჩელი 39 432,06 ლარის ფარგლებში დაკმაყოფილებულია; მოსარჩელე კი ამ თანხის დაახლოებით 1.3%-ს ითხოვს, რაც სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის (იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა) შესაბამისად, განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათ-

ვალისწინებით, საესეებით გონივრული და სამართლიანია. ამრიგად, მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

29. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა), მე-2 (ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას) და მე-3 (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც) ნაწილების თანახმად, უნდა შეიცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილება. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის, ისევე როგორც სააპელაციო საჩივრის, ფასი 49 701,6 ლარს შეადგენს. წინამდებარე გადანყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე, სარჩელი და სააპელაციო საჩივარი 39 432,06 ლარის ფარგლებში, ანუ 79,34%-ით დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1491,05 ლარისა და 1988 ლარის 79,34%-ის, საერთო ჯამში – 2760,28 ლარის გადახდა. ამასთან, ვინაიდან მოპასუხის საკასაციო საჩივარი 20,66%-ით დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2485,08 ლარის 20,66%, ანუ 513,42 ლარის ანაზღაურება. ზემოაღნიშნული თანხების გაქვითვის შედეგად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების სახით უნდა დაეკისროს 2246,8 ლარის გადახდა. გარდა ამისა, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, საერთო ჯამში, 250 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლებით და

ბ ა ლ ა ნ ს ი ზ ი ა :

1. შპს „ე. ს-სის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.11.2019წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ა-მ-მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
4. შპს „ე.ს-სს“ შპს „ა-მ-მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 39 432,06 ლარის გადახდა.
5. შპს „ე.ს-სს“ შპს „ა-მ-მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით.
6. შპს „ე.ს-სს“ შპს „ა-მ-მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზღაურება 2246,8 ლარის ოდენობით.
7. შპს „ა-მ-მ-ს“ (ს/ნ: ...) უკან დაუბრუნდეს ლ. ყ-ძის (პ/ნ: ...) მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, საერთო ჯამში 250 ლარი (საგადახდო დავალება №..., გადახდის თარიღი 29.10.2018წ., გადახდილი თანხა – 100 ლარი; საგადახდო დავალება №..., გადახდის თარიღი 14.05.2019წ., გადახდილი თანხა – 150 ლარი) შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსპის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-479-2020

14 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ე. კ-დომ (ა. ა-ძისა და ლ. პ-ის უფლებამონაცვლე) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. დ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „პირველი მოპასუხე“), ე. დ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეორე მოპასუხე“), შ. დ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მესამე მოპასუხე“), რ. გ-ძისა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეოთხე მოპასუხე“) და ნ. კ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეხუთე მოპასუხე“) (შემდეგში ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მოპასუხეები“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის, მდებარე: ქ. ბათუმი, ... (ს/კ: ...) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „სადავო უძრავი ნივთი“), გამოთხოვა და გამონთავისუფლებულ მდგომარეობაში მესაკუთრისათვის გადაცემა;

1.2. პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2700 აშშ დოლარის გადახდის სოლიდარულად დაკისრება 2014 წლის 1 ივნისიდან 2015 წლის 1 მარტის ჩათვლით პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით;

1.3. მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების – 2015 წლის 1 მარტიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე – ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები:

30.10.2013 წელს ა. ა-ძემ შეიძინა სადავო უძრავი ნივთი, რომელიც დატვირთული იყო იპოთეკის უფლებით. 10.06.2014 წელს ბი-

ნაში შესახლდნენ იპოთეკარები – პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეები და, ბინის მესაკუთრესთან შეუთანხმებლად, დაიწყეს ბინაში ცხოვრება. 01.03.2015 წლიდან მათ შეუერთდათ მეორე იპოთეკარი – მეოთხე მოპასუხე, მეხუთე მოპასუხესთან ერთად. 21.03.2016 წელს ა. ა-ძემ სადავო უძრავი ნივთი არსებულ მდგომარეობაში გაასხვისა ლ. პ-ძე. მოპასუხეები დღემდე არამართლზომიერად სარგებლობენ ბინით, რომლის ქირაფნობის თანხა, აუდიტის დასკვნის თანახმად, ყოველთვიურად 300 აშშ დოლარს შეადგენს, რის გამოც ისინი ვალდებული არიან, აანაზღაურონ ზიანი და გამოათავისუფლონ სადავო უძრავი ნივთი.

3. მოპასუხეთა პოზიცია:

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მათ სადავო უძრავი ნივთი ა. ა-ძის, ლ. პ-ისა და მოსარჩელის თანხმობითა და მითითებით დაიკავეს მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების მიერ 30.11.2013 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე. აღნიშნული ხელშეკრულებით ა. ა-ძემ იპოთეკარებისთვის – პირველი და მეოთხე მოპასუხეებისათვის 35000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება იკისრა. მოპასუხეები ბინას გამოათავისუფლებენ აღნიშნული თანხის დაბრუნების შემდეგ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 02.05.2019 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან, მათი გამოსახლების გზით, გამოთხოვილ იქნა სადავო უძრავი ნივთი და დადგინდა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მისი მესაკუთრისათვის გადაცემა. სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის ნაწილში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

4.1. მოსარჩელემ, 18.09.2013 წლის აუქციონზე სადავო უძრავი ნივთის შეძენის შემდეგ, დაიკავა ძველი მესაკუთრის (ო-ძე) ადგილი, იგი გახდა საკუთრების გადასვლის მომენტისათვის ამ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. შესაბამისად, 27.09.2013 წელს საჯარო რეესტრში მოსარჩელე დარეგისტრირდა სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ, ხოლო მეოთხე და პირველი მოპასუხეები კი დარეგისტრირდნენ ქონების იპოთეკარებად.

4.2. ა. ა-ძემ 31.10.2013 წელს გადახდის გადავადებით უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელი-საგან შეიძინა საცხოვრებელი ბინა, მდებარე: ქ. ბათუმი, ..., ნასყი-

დობის თანხა უნდა გადახდილიყო 14.04.2014 წლამდე. აღნიშნული ბინა ა. ა-ძის მიერ შეძენის დროისთვის იყო იპოთეკით დატვირთული, იპოთეკარები იყვნენ მეოთხე და პირველი მოპასუხეები. ა. ა-ძემ აღნიშნული უძრავი ქონება შეიძინა 40 000 აშშ დოლარად. მყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ იპოთეკარებს თავად გადაუხდინა და იპოთეკის თანხას – 35 000 აშშ დოლარს, რაც არ შეუსრულებია.

4.3. 10.06.2014 წელს აღნიშნულ ბინაში ცხოვრება დაიწყო პირველმა, მეორე და მესამე მოპასუხეებმა, ხოლო 01.03.2015 წლიდან – მეოთხე და მეხუთე მოპასუხეებმა.

4.4. 21.03.2016 წლის შეთანხმებების საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 30.03.2016 წლის საოქმო განჩინებით, ა. ა-ძის უფლებამონაცვლედ დაშვებულ იქნა ლ. პ-ი, როგორც იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრე. 01.11.2018 წელს ა. ა-ძე და მოსარჩელე შეთანხმდნენ, შემდეგზე: მოთხოვნის მფლობელმა ა. ა-ძემ, მოთხოვნის მიმღებს – მოსარჩელეს გადასცა მოთხოვნის მფლობელის უფლება, ასეთივე უფლება გადასცა მოსარჩელეს ლ. პ-იმ.

4.5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.02.2013 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 02.12.2016 წლის გადაწყვეტილება ლ. პ-ისათვის მეოთხე მოპასუხის სასარგებლოდ 20 000 აშშ დოლარის, პირველი მოპასუხის სასარგებლოდ 15000 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების, ასევე – იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციისა და ლ. პ-ისათვის საპროცესო ხარჯების დაკისრების ნაწილში; პირველი და მეოთხე მოპასუხეების სასარჩელო მოთხოვნა გ. ო-ძესთან სოლიდარულად, ლ. პ-ისათვის მეოთხე მოპასუხის სასარგებლოდ 20000 აშშ დოლარისა და პირველი მოპასუხის სასარგებლოდ 15000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; პირველი და მეოთხე მოპასუხეების სასარჩელო მოთხოვნა, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გ. ო-ძისათვის მეოთხე მოპასუხის სასარგებლოდ დაკისრებული 20000 აშშ დოლარისა და პირველი მოპასუხის სასარგებლოდ 15000 აშშ დოლარის ამოღების უზრუნველსაყოფად, განხორციელდა იპოთეკით დატვირთული ლ. პ-ის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ბათუმი, ..., ს/კ: ... და ს/კ: ..., რეალიზაცია.

4.6. სადავო ქონება საჯარო რეესტრის მონაცემებით ირიცხება ლ. პ-ის საკუთრებაში.

4.7. მოსარჩელე, ა. ა-ძე და ლ. პ-ი, როცა ითხოვდნენ გ. ო-ძის გამოსახლებას, მათ მხარს უჭერდნენ მოპასუხეებიც, მისი გამოსახლების შემდეგ კი ფართი შეთანხმების საფუძველზე ერთობ-

ლივად დაიკავეს. თავად მოსარჩელეც აღიარებს, რომ მოხმარებული დენის საფასურსაც ერთობლივად იხდიდნენ. შემდეგში, 01.03.2015 წლიდან ბინაში ცხოვრება დაიწყეს რა მეოთხე და მეხუთე მოპასუხეებმა, მათ შორის წარმოიშვა დავა, რაც დღემდე გრძელდება.

4.8. 29.12.2017 წელს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა აჭარის პროკურორს, აღუწერა შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობა, აუხსნა, რომ, მიუხედავად პოლიციელების ჩარევისა, მეოთხე და მეხუთე მოპასუხეები მას უწევენ ფიზიკურ წინააღმდეგობას და არ აძლევენ საერთო აივნის გამყოფი კედლის ამოშენების შესაძლებლობას. 05.01.2018 წლის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის მიერ მოსარჩელეს ეცნობა, რომ წარმოდგენილ განცხადებაში არ იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და, შესაბამისად, გამოიძევა არ დაწყებულა. მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა პოლიციას, მოითხოვდა მოპასუხეების გამოსახლებას, ხელშეშლის აღკვეთას. უძრავი ქონება დაკავებული აქვთ მოპასუხეებს და, მიუხედავად მოსარჩელის არაერთი მოთხოვნისა, ნებაყოფლობით არ ათავისუფლებენ მას.

4.9. მოსარჩელემ წარმოადგინა შპს „ე-ა-ის“ აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომლის თანახმად, საცხოვრებელი ბინის, მდებარე: ქ. ბათუმი, ..., ბინა №1-ში, იჯარით/ქირით სარგებლობაში გადაცემისას საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვრება, 04.06.2016 წლის მდგომარეობით 300 აშშ დოლარით. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სხვა ისეთი სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მას დადებული ჰქონდა რაიმე წინასწარი შეთანხმება ან გარიგება მესამე პირებთან ფართის გაქირავებასთან დაკავშირებით და ამის შესახებ აცნობა მოპასუხეებს.

4.10. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 170.1, 172.1, 312.1 მუხლებით და მიუთითა, რომ მოსარჩელის კუთვნილ ნივთს ამჟამად ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ მოპასუხეები. ნივთზე მოსარჩელეს აქვს საკუთრების უფლება და იგი არ არის შეზღუდული მოპასუხეთა მხრიდან ამ ნივთის ფლობით, რადგან მოპასუხეები არ არიან სსკ-ის 160-ე-162-ე მუხლებით დაცული უფლების მქონე პირები – მართლზომიერი მფლობელები. მოპასუხეებმა ვერ წარმოადგინეს სადავო ქონების მართლზომიერად ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება. ნაუყენა რა პრეტენზია მოსარჩელემ მოპასუხეებს, მოითხოვა მათგან ქონების გამოთხოვა, სსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეების მართლზომიერი მფლობელობა (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც) წყდება და, თუ ქონება არ გამოათავისუფლდება და მესაკუთრეს არ გადაეცემა, უკვე მოპა-

სუხე (ფაქტობრივი მფლობელი) მისი არამართლზომიერი მფლობელი ხდება. ამრიგად, არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებები.

4.11. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებობს არასახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობა. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, წინამდებარე საქმეზე მოსარჩელის მტკიცების საგანს შეადგენდა მისთვის ყოველთვიურად 300 აშშ დოლარისა და 2700 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტისა და იმ გარემოების დადასტურება, რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეების ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მისი მტკიცების საგანში შემავალი ამ გარემოებების დადასტურება. მან ვერ დაადასტურა ის ფაქტი, რომ აპირებდა სადავო ბინის გაქირავებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბინის პირდაპირი დანიშნულებაა მისი საცხოვრებლად გამოყენება, მასში ბინადრობა და იგი ყოველთვის არ არის გამიზნული იმისათვის, რომ მან რაიმე შემოსავალი/მოგება მოუტანოს მესაკუთრეს მისი გაქირავების შედეგად, მითუმეტეს კი, ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარე ვერ ადასტურებს, რომ იგი აპირებდა ბინის გაქირავებას. ვერ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

4.12. სასამართლომ განმარტა, რომ სხვისი საკუთრების ხელყოფა, ზოგადად, გულისხმობს მესაკუთრისათვის ზიანის მიყენებას, მაგრამ ზიანისათვის, როგორც მიუღებელი შემოსავლისათვის, თანხის დაკისრებისათვის არაა საკმარისი საკუთრების უფლების ხელყოფა, ამისათვის აუცილებელია იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, რომ მიუღებელ შემოსავალს პირი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეშლის ფაქტს ადგილი რომ არ ჰქონოდა. ასევე, ეს ზიანი მოპასუხეებისათვის წინასწარ უნდა იყოს სავარაუდო და წარმოადგენდეს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამის დასადასტურებლად კი უფრო მყარი, პირდაპირი მტკიცებულების არსებობაა საჭირო.

4.13. მოსარჩელის წარმომადგენლის მითითებასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეებს შესაგებლებით ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდიათ და მთავარ სხდომაზე მათ მიერ მითი-

თებული გარემოებები არ უნდა იქნეს გაზიარებული, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: 30.06.2016 წლის შესაგებლით, მოპასუხეები მიუთითებენ პროცენტის ნაცვლად ბინაში ცხოვრების შესახებ შეთანხმებაზე და ქირის მოთხოვნა უკანონოდ მიაჩნიათ. 01.07.2016 წლის შესაგებლით, მოპასუხეები არ ეთანხმებიან სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებს და მიუთითებენ, თუ რატომ. შესაგებელს მტკიცებულების სახით ერთვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეები ადასტურებენ შესაგებელში მითითებულ პოზიციას. მოპასუხეებს სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ მიუთითებიათ რაიმე ახალ გარემოებაზე და არ წარუდგენიათ ახალი მტკიცებულება, დააზუსტეს და დააკონკრეტეს ფაქტები, რითაც შეჯიბრებითობის პრინციპი არ დარღვეულა.

5. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.02.2020 წლის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და გასაჩივრებული საოქმო განჩინებები. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებებს და დამატებით განმარტა, რომ:

6.1. ნაყოფის ანდა შემოსავლის მოტანის უნარი ყველა ნივთს აქვს, თუმცა ნივთის ეს თვისება შემოსავლის მიღების დასადასტურებლად, ყველა შემთხვევაში, საკმარისი არ არის. თავისი განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, ნაყოფს ან შემოსავალს, თავისთავად, მხოლოდ ფული ან, სპეციალურად, ამისთვის გამიზნული ნივთი გულისხმობს. ყველა სხვა შემთხვევაში, კრედიტორმა შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, ე.ი. ქონებრივი დანაკლისის ფაქტი უნდა ამტკიცოს. მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ ან უკვე დადებული ჰქონდა, ან აპირებდა გარიგების დადებას სადავო ქონების ქირავნობის თაობაზე, ან ქონება თავისი დანიშნულებით გათვალისწინებული იყო შემოსავლის მისაღებად, ან მოსარჩელეს იგი სწორედ ამ მიზნისთვის ესაჭიროებოდა. საქ-

მის მასალებით არ მტკიცდება არც ის, რომ მოსარჩელის საქმიანობის საგანი ბინების გაქირავება და ამ გზით შემოსავლის მიღება ოდესმე მაინც იყო. ასეც რომ არ იყოს, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი ექვემდებარება. მოსარჩელეს არ განუმარტავს და არც დაუმტკიცებია, რომ სადავო ქონების გაქირავებისა და ამ გზით შემოსავლის მიღების ნება ა. ა-ქმ, ლ. პ-იმ ან თავად მოსარჩელემ მოწინააღმდეგე მხარეს შეატყობინეს. ამ ვითარებაში კი, მოპასუხეთათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანი სავარაუდო ვერანაირად იქნებოდა. ამგვარად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების შეცვლის საფუძვლები არ არსებობს და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

6.2. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტები და მართებულად განმარტა, რომ, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოპასუხეები ვალდებული არიან, დაუბრუნონ მესაკუთრეს კუთვნილი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დადასტურებულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეები ცხოვრობენ სადავო ქონებაში. მოპასუხებმა ვერ დაამტკიცეს, რომ აქვთ ამ ნივთის ფლობის უფლება. ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს მის საკუთრებაში არსებული ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეთა პოზიცია, რომ ისინი სადავო ქონებას ფლობენ მართლზომიერად, მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე. სსკ-ის 159-ე მუხლის თანახმად, მართლზომიერ მფლობელად ის პირი ითვლება, ვინც ნივთს ნამდვილი სამართლებრივი საფუძვლით ფლობს. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხებმა ვერ დაამტკიცეს ქონების ნამდვილი სამართლებრივი საფუძვლით ფლობის ფაქტი. დადგენილია, რომ მოპასუხეთა მფლობელობა მესაკუთრის ნებას ეწინააღმდეგება, ამიტომ მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში საფუძვლიანია. აღსანიშნავია, რომ არც სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში და არც სააპელაციო საჩივარში მოპასუხეებს სადავო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების გამომრიცხავ ფაქტებზე არ მიუთითებიათ და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით – სარჩელის სრულად დაკმაყოფილე-

ბა შემდეგი საფუძვლებით:

7.1. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 411-ე მუხლი და არ გამოიყენა სსკ-ის 412-ე მუხლი. მოპასუხეებს ჯეროვნად რომ შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულება, თვითნებურად არ უნდა შეჭრილიყვნენ საცხოვრებლად მოსარჩელის ბინაში, ამასთან, მესაკუთრის პირველი მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გამოეთავისუფლებინათ ბინა. რადგან მოპასუხეებმა ეს ვალდებულება არ შეასრულეს, მათ იმთავითვე გაცნობიერებული უნდა ჰქონოდათ, რომ ამით მატერიალურ ზიანს აყენებდნენ მოსარჩელეს. 300 აშშ დოლარი არის მოსარჩელის ყოველთვიური ზიანის დადგენილი ოდენობა, რომელიც არ იარსებებდა მოპასუხეებს თვითნებურად რომ არ დაეკავებინათ ბინა. მათთვის ზიანის ოდენობა სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო, რადგან ბინების გაქირავების ფასები 50-100 ლარის განსხვავებით, საყოველთაოდ არის ცნობილი. ზიანის ანაზღაურების თაობაზე არსებობს მყარი სასამართლო პრაქტიკა.

7.2. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ არ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მას დადებული ჰქონდა რაიმე წინასწარი შეთანხმება ან გარიგება მესამე პირთან ფართის გაქირავების შესახებ და ამის შესახებ აცნობა მოპასუხეებს. იმ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელის ბინაში წლების განმავლობაში ცხოვრობენ მოპასუხეები, მოსარჩელე მოკლებული იყო ამგვარი გარიგების დადების შესაძლებლობას.

7.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეებმა გ. ო-ძის გამოსახლების შემდეგ ბინა ერთობლივად დაიკავეს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოპასუხეებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომლითაც ბინაში მოპასუხეთა დროებით ცხოვრების თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმების არსებობა დადასტურდებოდა.

7.4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები. ამ ნორმის თანახმად, სასამართლოს მოპასუხეთა ახსნა-განმარტება უნდა შეეზღუდა მხოლოდ და მხოლოდ იმ სიტყვების წარმოთქმის შესაძლებლობით, რაც მათ შესაგებელში ეწერათ. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეებს არაკანონიერად მისცა შესაძლებლობა, შეუზღუდავად ესაუბრათ იმ საკითხებზე, რაც არ ჰქონდათ მითითებული შესაგებელში, წარმოედგინათ ახალი მტკიცებულებები: მოწმეები და ვიდეოჩანაწერი. 01.07.2016 წლის შესაგებლით მოპასუხეებმა პრაქტიკულად დადასტურეს სარჩელის ყველა ფაქტობრივი გარემოება. ამ ვითარებაში სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია სარჩელში მითითებული ყველა ფაქ-

ტობრივი გარემოება.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

9. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამონმებს.

11. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც ითვალისწინებს იმ შედეგს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიც-

ხავს მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს (სუსგ №ას-1601-2018, 11.03.2021წ.).

12. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯობრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში (სუსგ №ას-174-2021, 14.07.2021წ., პ.81).

13. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის საგანს წარმოადგენდა: 1) მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან სადავო უძრავი ნივთის გამოთხოვა; 2) სადავო უძრავი ნივთის მოპასუხეთა მიერ უკანონოდ ფლობით მესაკუთრისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სარჩელი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა სადავო უძრავი ნივთის მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. ამ ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

14. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის შეფასების საგანია, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება. ამ ნაწილში განჩინება დაფუძნებულია მასზე, რომ: მოსარჩელემ ვერ დაადასტურა შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, ამასთან, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანი მოპასუხეთათვის სავარაუდო ვერ იქნებოდა (სსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლები). საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას და მიუთითებს, რომ მოპასუხეთა მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სადავო უძრავი ნივთის ფლობის გამო, საკუთრების განკარგვის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 982.1 (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო

ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები (შდრ. სუსგ №ას-197-186-2017, 30.05.2017წ.; №ას-685-639-2017, 22.12.2017წ.).

15. სსკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან (იხ. სუსგ №ას-472-448-2013, 05.12.2013წ.; №ას-1204-2018, 25.01.2019წ., პ.19). თუკი მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის გამო დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება აქვს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. სწორედ აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სსკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა (სუსგ №ას-685-639-2017, 22.12.2017წ.).

16. ამრიგად, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევისას უნდა შეფასდეს სსკ-ის 982-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა, რაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ განუხორციელებიათ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 982-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი მიიღწევა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების კუმულაციურად არსებობისას: მოსარჩელე უნდა იყოს სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრე; მოპასუხეები ნივთს უნდა ფლობდნენ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; ადგილი უნდა ჰქონდეს მოპასუხეთა გამდიდრებას მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისის ხარჯზე (შდრ. სუსგ №ას-197-186-2017, 30.05.2017წ., პ.17). მხოლოდ მითითებული გარემოებების გამოკვლევის შედეგად შეიძლება დასკვნის გამოტანა, არსებობს თუ არა საკუთრების განკარგვის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების/

გამდიდრების გათანაბრების საფუძველი.

17. როგორც უკვე აღინიშნა, კანონიერ ძალაშია შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 02.05.2019 წლის გადაწყვეტილება სავინდიკაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში, რომლითაც მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან, მათი გამოსახლების გზით, გამოთხოვილ იქნა სადავო უძრავი ნივთი და დადგინდა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მისი მესაკუთრისათვის გადაცემა. შესაბამისად, მოსარჩელის უფლება სადავო უძრავი ნივთის ვინდიცირებაზე, ისევე როგორც სარჩელის აღძვრის მომენტში მოპასუხეთა მფლობელობის არამართლზომიერება, დადგენილია და გადახედვას არ ექვემდებარება.

18. სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას 982-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მიღწევადობის წინაპირობებიდან უნდა დაადგინოს მხოლოდ ის, გამდიდრდნენ თუ არა მოპასუხეები მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისის ხარჯზე. ამისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რა მომენტიდან მიიჩნევიან მოპასუხეები არამართლზომიერ მფლობელებად (რა მომენტიდან არა აქვს მათ მფლობელობას სამართლებრივი საფუძველი და ეწინააღმდეგება მესაკუთრის ნებას). სწორედ არამართლზომიერი მფლობელობის პერიოდის ხანგრძლივობით არის შესაძლებელი საუბარი სსკ-ის 982-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის შექონე პირის უფლებაში ჩარევასა და აუნაზღაურებელი ზიანის/დაზოგილი სიმდიდრის გათანაბრებაზე. გამდიდრების ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს, ანუ კრედიტორს. ამ მიზნით შეფასებულ უნდა იქნეს ასევე სარჩელზე თანდართული აუდიტის დასკვნა.

19. რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემულ მსჯელობას ბინის შესაძლო გაქირავების ფაქტის მტკიცების შესახებ (იხ. წინამდებარე განჩინების პ. 6.1.), საკასაციო პალატა მიუთითებს საკასაციო სასამართლოს დასკვნაზე ერთ-ერთ საქმეზე, კერძოდ: თუ პირს ბინა საცხოვრებლად არ სჭირდება, მისი გაქირავება წარმოადგენს უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებულ და აპრობირებულ ფორმას (იხ. სუსგ №ას-945-895-2015, 14.03.2016 წ., პ.51). საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურება, ანუ გამდიდრების გათანაბრება, უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას მოჰყვეს დარღვეული ქონებრივი ბალანსის აღდგენა და არა პირუკუ შედეგი – დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (სუსგ №ას-504-2019, 13.03.2020წ.).

20. მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნე-

ბა შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ სანყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს, თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში [სსსკ-ის 105-ე მუხლი]. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატიური მოვალეობა. მხარეები, სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალი არიან, მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმში, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის

მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოკა, თბ., 2004, გვ.64; სუსგ №ას-661-661-2018, 31.07.2020წ., პუნ.23,24).

21. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო საჩივარი. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამდენად, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას, თუმ-

ცა, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა შეაფასოს საქმის მასალები, სრულყოფილად დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადანყვეტოს უფლების საკითხი.

22. რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ, საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადანყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თავად გადანყვეტოს, განიხილოს თუ არა საქმე ზეპირი მოსმენით. განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა ვერ დაასაბუთა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადანყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. პ-დის შუამდგომლობა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. ე. პ-დის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.02.2020წ. განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსკვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-81-2020

2 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 20 მაისს სს „თ“ თ-სა (შემდეგში – მოსარჩელე, მესაკუთრე) და სსიპ „სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ დ-ას“ (შემდეგში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, უზუფრუქტუარი) შორის გაფორმებული №16/სს-2013 უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ კუთვნილი ტერიტორია და შენობა-ნაგებობები უზუფრუქტის უფლებით მოპასუხეს გადასცა. ხელშეკრულების 1.3 პუნქტის თანახმად, უზუფრუქტის საზღაურის სანაცვლოდ, მესაკუთრეს უფლება ჰქონდა, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სანარმოო პროცედურების განხორციელების მიზნით, უზუფრუქტით გადაცემული ქონებით უსასყიდლოდ ესარგებლა. უზუფრუქტუარი ვალდებული იყო, მესაკუთრისთვის ამ ქონების გამოყენებით საკუთარი ამოცანების შესრულებაში ხელი შეეწყოს.

2. უზუფრუქტის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, 2013 წლის 1-ელ ნოემბერს ხელშემკვრელმა მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს და შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მოპასუხე მასთან დასაქმებული საკადრო რესურსით გაუწევდა დახმარებას. 2015 წლის 10 ნოემბერს განახლებული მემორანდუმის მიხედვით, მხარეების შეთანხმებით მოპასუხის მოთხოვნის (წერილობითი/ზეპირსიტყვიერი) საფუძველზე, მოსარჩელე მის ბალანსზე აღებული მასალების გადაცემასთან დაკავშირებით გაუწევდა დახმარებას. ყოველი გადაცემისას პირველადი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო ყოველი თვის ბოლოს ბუღალტრული შედარების საფუძველზე – მიღება-ჩაბარების აქტი თვის განმავლობაში მოხმარებული მასალების საბალანსო ღირებულებისა და მოგების გათვალის-

წინებით, უნდა გაფორმებულიყო.

3. უზუფერუქტის ხელშეკრულებისა და თანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე არსებული ურთიერთობის ფარგლებში, ნასყიდობის ხელშეკრულებების დადების გარეშე, 2013-2015 წლებში მოპასუხემ საკუთარი შეკვეთების დასამზადებლად, მოსარჩელის კუთვნილი მასალები გახარჯა.

4. 2015 წლის 19 ივნისის №268/801 წერილით მოსარჩელემ 2014 წელს გახარჯული მასალების დაბრუნების ან შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა მოპასუხეს, რის საპასუხოდაც მოპასუხემ 2015 წლის 15 ივლისის №1200 წერილით გახარჯულ მასალებთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაცია მოითხოვა. 2015 წლის 22 ივლისს მოსარჩელემ მოპასუხეს გახარჯული მასალების ნუსხა ფასების მითითებით მიანოდა.

5. 2016 წლის 21 ნოემბრის №542/801 მიმართვით, მოსარჩელემ მოპასუხეს 2014 წელს თვითნებურად გახარჯული მასალების ღირებულების, 224 890.22 ლარის, ხოლო 2017 წლის 27 აპრილის №149/801 მიმართვით – 2013-2015 წლებში მოხმარებული მასალების ღირებულების – 319 992 ლარის ანაზღაურება მოსთხოვა. ეს მიმართვა მოპასუხეს 2017 წლის 28 აპრილს ჩაბარდა. მოპასუხეს 2013-2015 წლებში საკუთარი შეკვეთების დამზადებისთვის გახარჯული მასალების ღირებულება მოსარჩელისათვის არ აუნაზღაურებია.

6. მოსარჩელის მოთხოვნა:

6.1. ქონების მესაკუთრემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გახარჯული მასალების ღირებულების – 319 873.71 ლარისა და 2017 წლის 28 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად – 2 399.05 ლარის ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

6.2. მოსარჩელის მტკიცებით, 2013-2015 წლებში მოპასუხემ თვითნებურად განკარგა მისი 1 539 ერთეული მასალა, რითაც დაზოგა კუთვნილი თანხები თუ მასალა და უსაფუძვლოდ გამდიდრდა. მოსარჩელის მითითებით, მასალის გახარჯვის ფაქტი ასახულია მოპასუხის შესაბამისი სამსახურების/საწარმოების წარმომადგენლების მიერ ამ პერიოდში შედგენილ 46 აქტში და დამტკიცებულია მოპასუხის ხელმძღვანელის მიერ.

6.3. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ ვალდებულების შეუსრულებლობით მას ზიანი მიაყენა, ვინაიდან თანხის კომერციულ ბანკში დეპოზიტზე განთავსების შემთხვევაში იგი მიიღებდა წლიურ 9% სარგებელს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ყოველთვიურად 2 399.05 ლარის მიღება შეეძლო.

7. მოპასუხის პოზიცია:

7.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მისი მტკიცებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ 46 მიღება-ჩაბარების აქტს არ ერთვოდა მასალების ღირებულების დამდგენი დოკუმენტი. შესაბამისად, მოსარჩელემ დოკუმენტაციის მოძიებისა და კვლევის გარეშე შეადგინა მასალების ღირებულების ნუსხა, რომელიც არ შეესაბამებოდა რეალობას. ამის დასტურად მოპასუხემ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 11 ივნისის დასკვნა, რომლის მიხედვით გახარჯული 1 410 მასალის საბაზრო ღირებულებამ 57 339.47 ლარი შეადგინა. ექსპერტიზამ ვერ შეაფასა 375 დასახელების მასალა, ვინაიდან მათი იდენტიფიცირება ან ფასების გარკვევა ვერ შეძლო. დასკვნის ამ პუნქტის საფუძველზე, მოპასუხის განმარტებით, მან დაიანგარიშა დაუდგენელი მასალების (სულ 156 ერთეულის) ღირებულება, რამაც 13 614.63 ლარი შეადგინა.

7.2. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის დაანგარიშების ნაკლოვანებაზე მიუთითებდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ რამდენიმე აქტში ასახული ცდომილებაც, კერძოდ, №8ა აქტში 53-ე პოზიციად მითითებული იყო, რომ მან მოიხმარა 750 კგ ელექტროდი, ნაცვლად რეალურად დახარჯული 0.75 გრამი ელექტროდისა, ხოლო №12 აქტში მე-10 პოზიციად მითითებული იყო, რომ 8.6 კგ-ს მაგივრად 86 კგ მასალა გახარჯა. შესაბამისად, სარჩელით მოთხოვნილ თანხასა და რეალურად გახარჯულს შორის თანხობრივი სხვაობის გათვალისწინებით სასარჩელო მოთხოვნა უნდა შემცირებულიყო 13 014.14 ლარით.

7.3. მოპასუხის მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო მიუღებელი შემოსავლის მისთვის დაკისრების მოთხოვნა, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ იგი თანხებს დეპოზიტზე ათავსებდა და სარჩელი ემყარებოდა მხოლოდ მხარის თეორიულ ვარაუდს, თუ რა სარგებელი შეეძლო მოეტანა ამ თანხას ანაბარზე განათავსების შემთხვევაში.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 306 859.6 ლარის ანაზღაურება, ხოლო 2017 წლის 24 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველთვიურად 2301.45 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

9. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:

9.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, გახარჯული მა-

სალების ღირებულების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მისთვის დაკისრებაზე უარის თქმა მოითხოვა. სააპელაციო საჩივარი არსებითად ეფუძნება შესაგებელში მითითებულ გარემოებებსა და სამართლებრივ არგუმენტაციას (იხ. წინამდებარე განჩინების 7.1-7.3. პუნქტები).

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და სამართლებრივი დასკვნები:

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

10.2. სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის კვლევის შედეგად პალატამ დაასკვნა, რომ იგი სანდო და განკუთვნად მტკიცებულებას არ წარმოადგენდა. პალატის შეფასებით, ექსპერტიზის დასკვნა თავადვე მითითებდა, რომ ბიუროს მისი შედგენის კომპეტენცია არ გააჩნდა, მსგავს საქონელზე 2013-2015 წლებში ბიუროში მოთხოვნა არ შესულა და არც გამოკვლეულა მათი საბაზრო ღირებულებების დადგენის მიზნით. შესაბამისად, 2013-2015 წლის მდგომარეობით ქონების საბაზრო ღირებულების დადგენა ვერ მოხერხდა. ამასთან, პალატის განმარტებით, იმ საქონლის საბაზრო ღირებულება, რომელზეც ექსპერტიზის დასკვნა საბოლოო ფასს ადგენდა, საორიენტაციო იყო. საბაზრო ფასის დადგენისას გამოყენებული მეთოდი არააპრობირებული და არასანდო იყო, ვინაიდან მხოლოდ ელექტრონულ ვებგვერდებზე განთავსებული ფასების შეჯერების გზით განისაზღვრა და რაიმე პროფესიული გამოთვლის სტანდარტს/კვლევის მეთოდს არ ეყრდნობოდა. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნებს (შპს „თ.კ. ჯ-ის“ 2018 წლის 22 აგვისტოსა და შპს „ბ.ა. და ა. ც-ის“ 2016 წლის 2 ნოემბრის აუდიტორული დასკვნა), პალატამ სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ისინი დასაბუთებულად მიიჩნია. პალატის განსჯით, აუდიტორული დასკვნა, სწორედ მხარეთა შორის წლების განმავლობაში შედგენილ გახარჯვის აქტებს ემყარებოდა და მათში მითითებული მასალების ღირებულებებს აჯამებდა, შესაბამისად, სადავო გახარჯული მასალების საბაზრო ღირებულების დასადგენად სანდო მტკიცებულებას წარმოადგენდა.

10.3. სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაპყრო პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმის ჩვენებას და გან-

მარტა, რომ მოწმემ მოდავე პირებს შორის სამეწარმეო ურთიერთობის არსებობა, ფასებზე ზეპირსიტყვიერი შეთანხმება და გახარჯული მასალების საქართველოს ბაზარზე არ არსებობის ფაქტი დაადასტურა, ამდენად, გახარჯული მასალების ღირებულების დასადგენად ერთადერთ საშუალებას სწორედ მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული დოკუმენტაციიდან ინფორმაციის მიღება წარმოადგენდა, რა მიზნითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა 2016 წლის 2 ნოემბრის აუდიტორულ დასკვნას უნდა მინიჭებოდა.

10.4. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი გახარჯული მასალების ღირებულების აუნაზღაურებლობით, მოსარჩელეს ზიანი მიადგა და, აქედან გამომდინარე, მიუღებელი შემოსავლის სახით აუნაზღაურებელი თანხის ყოველწლიური 9% სამართლიანად დაეკისრა.

11. საკასაციო მოთხოვნა და მისი საფუძვლები:

11.1. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, გახარჯული მასალების ღირებულების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მისთვის დაკისრებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11.2. საკასაციო პრეტენზია შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

11.2.1. კასატორის მოსაზრებით, თვითნებურად გახარჯული მასალების რეალური ღირებულების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად დააკისრა მას ანაზღაურებელი თანხის რაოდენობის მტკიცების ვალდებულება. ამის მიუხედავად, კასატორის მითითებით, მან საკუთარი ინიციატივით სასამართლოს მასალების ღირებულების დამდგენი ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინა. მოსარჩელის მიერ საქმეზე წარმოდგენილი აუდიტის დასკვნებთან დაკავშირებით, კასატორმა განმარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტებში, რასაც შპს „ბ.ა. და ა. ც-ის“ დასკვნა ეყრდნობა, მითითებულია მასალების შესაბამოდ მაღალი ფასები, მოპასუხემ ამ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელის მოწერით დაადასტურა მხოლოდ მასალების გახარჯვის ფაქტი და არა მათი ღირებულება. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკითხულმა მოწმემაც დაადასტურა, რომ მოპასუხე გახარჯული მასალების ღირებულებას იმ მიზეზით არ იხდიდა, რომ არ ეთანხმებოდა შესაბამის თანხად მასალების შეფასებას. კასატორმა მოსარჩელის მიერ გახარჯული მასალების ღირებულების სახით მოთხოვნილი თანხების არარელევანტურობის დასასაბუთებლად მოსარჩელის მიერ მისდამი მიწერილ 2016 და 2017 წლის წერილებში ასახულ თანხობ-

რივ სხვაობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ წერილები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებდა მასალის ღირებულების მოსარჩელის მიერ თვითნებურად, არაობიექტურად განსაზღვრის ფაქტს. რაც შეეხება შპს „თ-კ. ჯ-ის“ დასკვნას, მან ფაქტობრივად დაადასტურა მოპასუხის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მართებულობა, რამდენადაც დაუდგენელია 219 მასალის ღირებულება. შესაბამისად, კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს მის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის უარყოფის, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნების გაზიარების შესახებ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას.

11.2.2. კასატორის განმარტებით, მიუღებელი შემოსავლის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის დროს არსებითია, რამდენად მოსალოდნელი იყო შემოსავლის მიღება. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია თანხების ანაბარზე განთავსების პრაქტიკის ამსახველი მტკიცებულება, შესაბამისად, მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. კასატორის მსჯელობით, სამოსამართლო პრაქტიკის მაგალიტები, რომელიც მოსარჩელემ მოიხმო, ეხება სხვა ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა განზოგადება ამ დავაზე დაუშვებელია.

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:

12.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე პალატის 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლე-

ბა მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის როგორც გახარჯული მასალების ღირებულების ანგარიშში მისთვის დაკისრებული თანხის ოდენობას, ისე ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) დაკისრების კანონიერებას. ამ უკანასკნელთან მიმართებით, საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა.

15. პირველ რიგში საკასაციო სასამართლო მოპასუხისათვის მოსარჩელის გახარჯული მასალების ასანაზღაურებლად 319 873.71 ლარის დაკისრების მართლზომიერებას შეეხება, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში იმსჯელებს. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული თანხის მოპასუხისათვის დაკისრების სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი), 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე მუხლის (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.) დანაწესიდან გამომდინარეობს.

16. სსკ-ის 982-ე მუხლით მოთხოვნა წარმოიშობა სხვის სამართლებრივ სივრცეში უნებართვო ჩარევითა და ამით ქონებრივი სარგებლის მიღებით. ჩარევა გამოიხატება სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის ეკონომიკურ გამოყენებაში, რომელიც მართლწესრი-

გის მიხედვით მხოლოდ მის მფლობელს ეკუთვნის. კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტორივი გარემოებები (სამართლებრივი წინაპირობები). კერძოდ: მოპასუხის მიერ მოხმარებული მასალა ირიცხებოდა მოსარჩელის ბალანსზე; მოპასუხემ 2013-2015 წლებში, თვითნებურად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განკარგა მოსარჩელის ქონება, მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ აუნაზღაურებია გახარჯული მასალის ღირებულება, რითაც მან დაზოგა საკუთარი ფულადი სახსრები (მდრ. საქმე №ას-197-186-2017, 30.05.2017 წელი).

17. მოპასუხეს მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მასალათა გახარჯვის ფაქტი და საკასაციო პრეტენზიაც არსებითად სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განკარგული მასალის რელევანტური ღირებულების არასწორად განსაზღვრას ეფუძნება. კასატორის მტკიცებით, სასამართლოს ასანაზღაურებელი თანხის დაკისრების განსაზღვრისას არ უნდა ეხელმძღვანელა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნებში მითითებული ფასებით, ვინაიდან ის არ შეესაბამებოდა რეალურ მონაცემებს.

18. საკასაციო პალატის განმარტებით, საპროცესო სამართალწარმოების ფუნდამენტური – შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით, მხარეები თავად განსაზღვრავენ თუ რომელი რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნას და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარემ რომელიც ისწრაფვის მისთვის ხელსაყრელი პროცესუალური შედეგის მისაღწევად, აპირორი სწორად უნდა განსაზღვროს მისი მტკიცების ტვირთის წარმატებულად რეალიზებისთვის აუცილებელი სამართლებრივი სტრატეგია და სასამართლოს წარუდგინოს მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოების ამსახველი სარწმუნო და უტყუარი მტკიცებულებები. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლი (სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. 2. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ) განსაზღვრავს მტკიცებულებათა შეფასების პროცესუალურ სტანდარტს, რა დროსაც სასამართლო ეყრდნობა შინაგან რწმენას. საგულისხმოა, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენა, რაც შემდგომ აისახება გადაწყვე-

ტილების სამართლებრივ დასკვნებში მტკიცებულებათა სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას ეფუძნება.

18.1. საკასაციო პალატის შეფასებით, სწორედ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეპირისპირება და შეფასება ქმნის დასაბუთებული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა 319.873.71 ლარს შეადგენს. მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით. საკასაციო პალატის მითითებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული შეფასების შედეგების გასაქარწყლებლად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ იძლევა ინფორმაციას 2013-2015 წლებში (მასალების გახარჯვის დროისათვის) მასალის ღირებულებასთან დაკავშირებით, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში, დასკვნის მიხედვით მასალათა იდენტიფიცირება ან ვერ მოხერხდა ან მათი სპეციფიკური თვისებებიდან გამომდინარე შესასყიდი ფასი ვერ დადგინდა. ამრიგად, მითითებული დასკვნა არ მოიცავს სრულყოფილ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას გახარჯული მასალების ღირებულების დასადგენად, რის გამოც ცხადია სასამართლო ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის განსაზღვრისას ამ დასკვნით ვერ იხელმძღვანელებს. დაუსაბუთებელია კასატორის აპელირება, მოსარჩელე კომპანიის 2016-2017 წლის წერილებზეც, რამდენადაც ამ წერილებს დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის რაიმე სახის სამართლებრივი წონა არ გააჩნია. მასალების ღირებულების განსაზღვრისას სასამართლოს ამ დოკუმენტებით არ უხელმძღვანელია და ცალკე აღებული ის ფაქტი, რომ 2016 წლის წერილით 2014 წელს გახარჯული მასალის ღირებულებად მითითებული იყო 224 890,22 ლარი, ხოლო 2017 წლის წერილით 2013-2015 წლებში გახარჯული მასალების ღირებულებად 319 992 ლარი, მოსარჩელის მიერ მოპასუხისაგან მოთხოვნილი თანხის შეუსაბამობას მასალების შესყიდვის ღირებულებასთან არ ადასტურებს. ეს წერილები ასახავს მხოლოდ მოსარჩელის მიერ მოპასუხისგან მასალების ღირებულების სახით კონკრეტული თანხის მოთხოვნის ფაქტს, რომლის საფუძვლიანობაც ცხადია უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით. გახარჯული მასალების ღირებულების მტკიცების კონტექსტში მოსარჩელემ აუდიტორულ დასკვნები წარმოადგინა, რომელიც მხარეთა შორის ამ ურთიერთობის წარმოშობამდე დადებულ მასალის ნასყიდობის ხელშეკრულებებში მითითებულ ფასებსა და მხარეთა შორის წლების განმავლობაში შედგენილ გახარჯვის აქტებს ემყარება. საკასაციო პალა-

ტის განსჯით, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობის ხანგრძლივი პრაქტიკა არსებობდა, მათ შორის გაფორმებული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებები, შესაბამის პროდუქტთან მიმართებით ფასის გამოსარკვევად განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შპს „თ.-კ. ჯ-ის“ მიერ შედგენილი დასკვნის შინაარსი ცხადყოფს, რომ 2014 წლის 07 თებერვლის №01 ნასყიდობის ხელშეკრულების სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 11 ივნისის №003971918 დასკვნასთან შედარებისას დადებითი სხვაობა 296 პოზიციაში გამოვლინდა; 2016 წლის 11 ივლისის №029 ნასყიდობის ხელშეკრულების სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 11 ივნისის №003971918 დასკვნასთან შედარებისას კი, დადებითი სხვაობა 609 პოზიციაში გამოვლინდა; ცხადია ცდომილების ეს ხარისხი საკასაციო პალატას მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის არარელევანტურობაში არნმუნებს.

18.2. მასალების ღირებულების დასადგენად განხილულის გარდა, სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, საკასაციო პალატა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეპირისპირებისა და გაანალიზების საფუძველზე მიიჩნევს, რომ, სადავო მასალის ღირებულება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა განისაზღვროს, რამდენადაც მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე სარწმუნო მტკიცებულებების წარმოდგენითა და წონადი სამართლებრივი არგუმენტაციით შეძლო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოების – ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობის დადასტურება, რისი გაქარწყლებაც საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით მოპასუხეს ევალებოდა. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას მისთვის დასაკისრებელი თანხის ოდენობის მტკიცების ტვირთის სასამართლოს მიერ არასწორად განაწილებასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხემ მოცემული დავის ფარგლებში ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის წარმატებით დაძლევა სამართლებრივად ვარგის იმ მტკიცებულებებზე მითითებით, რომელიც სასამართლოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში მასალების ღირებულად მითითებული თანხების არარელევანტურობაში დაარწმუნებდა.

19. ამდენად, სახეზეა მოპასუხის გამდიდრება მოსარჩელის ხარჯზე და ის ვალდებულია ამ უკანასკნელს სსკ-ის 982.1 მუხლის საფუძველზე აუნაზღაუროს დახარჯული მასალის ღირებულება – 319 873.71 ლარი. სსკ-ის 982-ე მუხლის მიზანთან დაკავშირებით,

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვიბრუნებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან“ (შდრ. სუსგ №ას-472-448-2013, 05.12.2013).

20. რაც შეეხება მიუღებელ შემოსავალს, ამ სახის ზიანის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველს სსკ-ის 411-ე მუხლის წინაპირობების არარსებობა ქმნის. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძველებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (*lucrum cessans*). მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (*pure economic loss*), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელ-

შეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს“ (შდრ. სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.15). აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 411-ე მუხლი როგორც სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმა, თანაბრად გამოიყენება როგორც სახელმეკრულებო ვალდებულების დარღვევით, აგრეთვე კანონისმიერი ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას (იხ. გიორგი რუსიაშვილი/გიორგი ბათლიძე, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის კომენტარი, ნიგნის სამი, გვ. 724) მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ზიანის ანაზღაურება განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (იხ., სუსგ-ის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-307-291-2011)

20.1. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს სარჩელში მითითებული ფაქტები (მოსარჩელის მოსაზრებით, მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს საქართველოში ლიცენზირებულ ბანკებში ეროვნული ვალუტით გათვალისწინებული დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც იგი მიიღებდა მიყენებული ზიანის ოდენობის ექვივალენტი ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის ანაბარზე განთავსების შედეგად), ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიზნებისათვის სავალდებულოა, მოსარჩელე მიუთითებდეს, რომ თანხის დეპოზიტზე განთავსება მის ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენს და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ამგვარი ქმედების ნეგატიური შედეგები სავარაუდოა მეორე მხარისათვის. ამ ფაქტების მითითების გარეშე მიუღებელი შემოსავლის მხოლოდ თანხის დაყოვნების მოტივით მოვალისათვის დაკისრება დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინციპს. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას და თავადაც აღნიშნავს, რომ კონკრეტული შემთხვევა მოსარჩელის მიერ მოხმობილი უზენაესი სასამართლოს განჩინებებში განხილული საკითხისგან განსხვავდება, რადგან მოცემული დავა ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების არადროული შესრულების გამო გასესხებული თანხის მოცდენით (სარგებლის მიუღებლობა) კრედიტორის მიერ გან-

ცდილ ზიანს არ ეხება, მოსარჩელემ ამ ნაწილში ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, თანხის დეპოზიტზე განთავსების მტკიცებულების წარმოდგენით დაედასტურებინა შემოსავლის დაკარგვის რეალურობა, მოსარჩელის სამენარმეო საქმიანობის სპეციფიკა და მიმართულება კი, ცალკე აღებული არ ქმნის სარჩელით მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის მიღების საფუძვლიან ვარაუდს. (ამ საკითხზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები: საქმე №ას-964-2018, 1.04.2020, №ას-1178-1098-2017, 26.03.2019, №ას-771-720-2017, 3.11.2017, №ას-459-438-2015, 7.07.2015).

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, რადგან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავ ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილი – 2 600 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ „სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი“

ტრი დ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით:

2.1. სს „თ“ თ-ს უარი ეთქვას 2017 წლის 28 აპრილიდან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ზიანის ანაზღაურებაზე – მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველთვიურად 2 301.45 ლარის მოპასუხისთვის დაკისრებაზე;

3. სსიპ „სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დ-ას“ (...), სს „თ“ თ-ის (...) სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილი – 2 600 ლარი.

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსპისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-841-2021

24 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ს. ბაქაქური**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდეგში: მოსარჩელე, სამინისტრო, პირველი აპელანტი ან პირველი კასატორი) სარჩელი სს „ს-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, კომპანია, მეორე აპელანტი ან მეორე კასატორი) წინააღმდეგ, თანხის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 53 750 ლარის გადახდა დაეკისრა (სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა კომპანიისათვის 375 797.59 ლარის დაკისრება იყო).

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2021 წლის 30 მარტის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

3. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები:

3.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 6 ნოემბრის განჩინებით თავდაპირველი მოპასუხის შპს „ჯ-ის“ ნაცვლად საქმეში მის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა სს „ს-ი“;

3.2. მოსარჩელემ, 2010 წლის 17 სექტემბრის, ნასყიდობის ხელშეკრულებით, შპს „გ-ის“ (შემდეგში: მეიჯარე ან მესამე პირი) პირდაპირი მიყიდვის ფორმით (ვალდებულებების შესრულების პირობით) საკუთრებაში გადასცა ქ. ქობულეთში, ... გამზ. №..., ს/კ №...; ქ. ქობულეთში, ... გამზ. №...ში, ს/კ ... და ქ. ქობულეთში, ... გამზ. №...ში, ს/კ ... მდებარე მიწის ნაკვეთები მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით;

3.3. მეიჯარის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელე სამინისტროს 2011 წლის 1 აგვისტოს №... ბრძანებით მოიშალა სამინისტროსა და მეიჯარეს შორის 2010 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მესამე პირისათვის გადაცემული საკუთრების უფლების მონაწილეობა და უძრავი ქონებები კვლავ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღირიცხა;

3.4. სამინისტროსა და მეიჯარეს შორის 2010 წლის 17 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით, საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონება, მიუხედავად სხვადასხვა მისამართებისა და საკადასტრო კოდებისა, წარმოადგენდა ერთ მთლიან უძრავ ქონებას და შემოსაზღვრული იყო საერთო ღირებულებით;

3.5. მეიჯარემ მითითებული უძრავი ნივთის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე მდებარე ფართის ნაწილი, 2010 წლის 20 სექტემბერს, ხუთი წლის ვადით, იჯარით გადასცა შპს „ჯ-ს“, თვეში 1 250 ლარის საიჯარო ქირის გადახდის პირობით;

3.6. შპს „ჯ-ი“ სარგებლობდა ქონებით და 2014 წლის 25 ივნისის ჩათვლით ყოველთვიურად იხდიდა ქონების სარგებლობის საფასურს 1 250 ლარს;

3.7. სამინისტრომ სარჩელი აღძრა მეიჯარის მიმართ და მოითხოვა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება, ვინაიდან, მეიჯარემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაცვლად, შპს „ჯ-ან“, შპს „მ-ან“ და შპს „მ-ან“ უსაფუძვლოდ მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული

უძრავი ქონებების გაქირავებით შემოსავალი, რამაც მისი უსაფუძ-
ვლო გამდიდრება გამოიწვია;

3.8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2015 წლის 14 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით,
სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა და მეიჯარეს, მოსარჩელე
სამინისტროს სასარგებლოდ, 119 350 ლარის გადახდა დაეკისრა.
აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შე-
ვიდა და მისი აღსრულების მიზნით ბათუმის საქალაქო სასამარ-
თლოს მიერ 2015 წლის 17 სექტემბერს გაიცა სააღსრულებო ფურ-
ცელი, რაზედაც თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაწყებუ-
ლია სააღსრულებო წარმოება და მეიჯარის მიერ კრედიტორისათ-
ვის გადახდილია გარკვეული თანხები;

3.9. 2014 წლის 3 ივნისს, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად და-
კავების ფაქტის, დამკავებლის ვინაობის, დაკავების ვადისა და არა-
მართლზომიერად დაკავებული ფართობის დამდგენმა კომისიამ“,
რომელიც შეიქმნა სამინისტროს 2014 წლის 2 აპრილის №...ბრძანე-
ბით, ადგილზე გასვლით დაათვალიერა ქ. ქობულეთში, ... გამზ.
№...ში (ს/კ ...) მდებარე უძრავი ქონება, რა დროსაც შედგა დათვა-
ლიერების №... აქტი;

3.10. შპს „ჯ-ს“, სამინისტროს 2014 წლის 25 ივნისის №... წერი-
ლით ეთხოვა, წერილის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვა-
დაში, უზრუნველყო ფართის გამოთავისუფლება და 2011 წლის 8
სექტემბრიდან, ქონების არამართლზომიერად სარგებლობის შენ-
ყვეტამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დღეში 158.56 ლა-
რის გადახდა, რაც, 2014 წლის 19 ივნისის მდგომარეობით, 160
942.85 ლარს შეადგენდა, ამასთან – თანხის გადახდის დამადას-
ტურებელი დოკუმენტი მოვალეს სამინისტროში უნდა წარედგი-
ნა;

3.11. ქ. ქობულეთში, აღმამენებლის გამზ. №...ში მდებარე 37
502 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №... შენობა 5959.9
კვ.მ, №... შენობა 1701.9 კვ.მ, №... შენობა 366.4 კვ.მ, №... შენობა
256.2 კვ.მ, №... შენობა 391.3 კვ.მ, №... შენობა 40.8 კვ.მ, №... შენობა
44.4 კვ.მ და №... შენობა 452 კვ.მ 2011 წლის 8 სექტემბრიდან 2018
წლის 7 მარტამდე წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბ-
ლიკის საკუთრებას. 2018 წლის 7 მარტიდან კი აღნიშნული უძრავი
ქონება საჯარო რეესტრში შპს „კ. ბ-ის“ საკუთრებად აღირიცხა
(უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: უძრავი ქონების ნას-
ყიდობის ხელშეკრულება);

3.12. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის

განჩინებით შეჩერდა სამინისტროს სარჩელთან დაკავშირებული №... სამოქალაქო საქმის წარმოება, ანალოგიური კატეგორიის დავაზე (საქმე №..., ელექტრონული პროგრამის №...; აპელანტი: სამინისტრო, მონინალმდგეე მხარე: ს. გ-ლი; გასაჩივრებულია: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ წარგზავნილ კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №...) „არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტთან მიმართებით“;

3.13. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ შპს „ჯ.“ ქ. ქობულეთში, ... გამზ. №...ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 18.55 კვ.მ შენობა-ნაგებობას ფლობდა და სარგებლობდა საფუძვლის გარეშე 2011 წლის 8 სექტემბრიდან 2018 წლის 7 მარტის ჩათვლით, ამიტომ ამ პერიოდში მისი მფლობელობა არამართლზომიერი იყო. მოპასუხეს შეიჯარესთან ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ქ. ქობულეთში, ... გამზ. ...ზე, ხოლო დავის საგანს წარმოადგენდა ქ. ქობულეთში, ... გამზ. ...ში მდებარე №... შენობის არამართლზომიერი ფლობიდან გამომდინარე უსაფუძვლო გამდიდრება;

3.14. მოპასუხე უარყოფდა მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტს და ამტკიცებდა, რომ მას ფართი დაკავებული ჰქონდა მართლზომიერად. ფართი მიღებული ჰქონდა მესამე პირისაგან იჯარის 2010 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულებით, ასევე, მოპასუხის მტკიცებით, ხელშეკრულება გაგრძელებული იქნა მას შემდეგაც, როდესაც აღნიშნული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა გადავიდა სამინისტროს საკუთრებაშიც, ვინაიდან ამ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მოთხოვნა 2014 წლამდე არც ფართის ახალ მესაკუთრეს დაუყენებია. მოიჯარემ კი მესაკუთრის ცვლილების თაობაზე არაფერი იცოდა. მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ ქირავნობის ხელშეკრულებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით ხელშეკრულება დადებული იყო უძრავ ნივთზე ს/კ ..., ხოლო რეალურად ანძა განთავსებული იყო უძრავ ქონებაზე ს/კ ...ზე, რაც ვერ შეცვლიდა ფაქტობრივ გარემოებას, რადგან ეს გამონვეული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომით სადავო გარიგების დადებისას. მოპასუხემ, სადავო ქონებაზე მართლზომიერი ფლობა-სარ-

გებლობის უფლების დასამტკიცებლად, წარადგინა: 2010 წლის 20 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული მეიჯარესთან და თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, რითაც დასტურდებოდა, რომ მას, 2014 წლის 25 ივნისის ჩათვლით, ქირა მეიჯარისათვის გადახდილი ჰქონდა;

3.15. სასამართლომ მიიჩნია, ზემოაღნიშნული მტკიცებულება, ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელის 2014 წლის 25 ივნისის წერილით გახდა ცნობილი მოპასუხისათვის იჯარის საგანზე მესაკუთრის ცვლილების შესახებ, ადასტურებდა 2014 წლის 25 ივნისამდე სადავო ქონებაზე მოპასუხის მართლზომიერი სარგებლობის (მოიჯარის სახით) უფლებას და გამორიცხავდა უსაფუძვლო გამდიდრებას;

3.16. სასამართლომ განმარტა, რომ ფართზე საკუთრების უფლების გადაცემა მეიჯარისგან მესამე პირისათვის, არ წარმოადგენდა ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს. მხარეებს შორის სადავო არ იყო ის გარემოება, რომ სამინისტროს ბრძანებით მოიშალა სამინისტროსა და მეიჯარეს შორის 2010 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მესამე პირისათვის გადაცემული საკუთრების უფლების მონუმბა და უძრავი ქონება კვლავ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღირიცხა ანუ გამქირავებელმა ქირავნობის საგანზე დაკარგა საკუთრების უფლება და სადავო ფართი მოსარჩელის საკუთრებად აღირიცხა. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სწორედ საკუთრების უფლების გადაცემის (მესაკუთრედ აღრიცხვის) მომენტიდან წარმოეშვა მესაკუთრეს ფინანსური სარგებლის მოთხოვნის უფლება;

3.17. ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში შპს „ჯ-მა“ კეთილსინდისიერად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება იმ მხარის წინაშე, ვისთანაც შეათანხმა გარიგების პირობები და ვისაც იგი მოთხოვნის კრედიტორად მოიაზრებდა, კერძოდ, მეიჯარის წინაშე. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება და დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 08.09.2011- 25.06.2014 წლებში ქირის გადახდის მოვალედ არ შეიძლება მოპასუხე ჩაითვალოს. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ მითითებულ პერიოდში მოპასუხე გამდიდრდა, ვინაიდან არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ თანხის დაზოგვის და შესაბამისად, გამდიდრების ფაქტი;

3.18. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ჯ-მა“ ქირის თანხა ბოლოს 2014 წლის 25 ივნისს გადაიხადა, უდავო იყო ის გარემოება, რომ სამინისტროს 2014 წლის 25 ივნისის №... წერილით მოპასუხეს ეთხოვა წერილის ჩაბარებიდან 20 კალენდა-

რული დღის ვადაში უზრუნველყო ფართის გამოთავისუფლება, რაც შპს „ჯ-ის“ მხრიდან არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ პერიოდიდან მოპასუხისათვის ცნობილი იყო მის მიერ ქონების მფლობელობის უფლებრივი ნაკლი – მესაკუთრესთან შესაბამისი შეთანხმების არარსებობა და ქონებით სარგებლობისთვის საფასურის გადაუხდელობაც, ანუ მოპასუხე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლის შემდეგ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების შემდგომ ფლობას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განაგრძობდა, ამასთან, არც ქონებით სარგებლობისთვის არ გადაუხდია შესაბამისი საფასური;

3.19. მოსარჩელის მტკიცებით შპს „ჯ-ს“ დაკავებული ჰქონდა და სარგებლობდა ქ. ქობულეთში, ... გამზ. №...-ში განლაგებული შენობის 18.55 კვ.მ. ფართით. მოპასუხის მტკიცებით მას დაკავებული ჰქონდა მხოლოდ 17.35 კვ.მ. ფართი. ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს ეკისრებოდა. მოსარჩელემ სადავო ქონების/ფართის კვადრატულობის (საერთო სასარგებლო ფართის ოდენობა), დასამტკიცებლად, წარადგინა: სამინისტროს თანამშრომლებისაგან შემდგარი კომისიის მიერ 2014 წლის 3 ივნისს შედგენილი დათვალიერების №... აქტი, რომლის თანახმადაც, კომისიამ, ადგილზე გასვლით, დაადგინა, რომ ზემოთ მითითებული უძრავი ნივთის ნაწილს არამართლზომიერად ფლობდა შპს „ჯ.“, კერძოდ – შენობის სახურავზე განთავსებული ჰქონდა მოქმედი ფიჭური კავშირგაბმულობის ანტენა, შენობა-დანადგარებით და საკაბელო არხით; რომლის საერთო სასარგებლო ფართი შეადგენდა 18.55 კვ.მ-ს. მოპასუხემ წარადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდეგში: ექსპერტიზის ბიურო) 2015 წლის 10 თებერვლის №... დასკვნა, რომლის თანახმადაც შპს „ჯ-ს“ საკუთრებაში არსებული მობილური კავშირგაბმულობის სადგურის კაბელების მიერ სახურავზე დაკავებული ფართი შეადგენდა 10.25 კვ.მ-ს, ხოლო მოწყობილობების და ანტენების ტექნიკური ოთახის გარე ფართი შეადგენდა 7.1 კვ.მ-ს, შიდა ფართობი კი – 7.15 კვ.მ-ს. ასევე, მოპასუხემ წარადგინა ექსპერტიზის ბიუროს 2015 წლის 12 თებერვლის №... დასკვნა, რომლის თანახმადაც, შპს „ჯ-ის“ სარგებლობაში არსებული საბაზო გადამცემი სადგური განთავსებული იყო 17.35 კვ.მ-ზე;

3.20. მოსარჩელემ სადავო ქონებით სარგებლობის საბაზრო ლიზენზიების (საფასურის) განსაზღვრის დასამტკიცებლად წარადგინა: შპს „ა-ი კ-ია ი. ა. კ-ის“ 2014 წლის 18 ივნისის აუდიტორული

დასკვნა №..., რომლის თანახმად, ქ. ქობულეთში, ... გამზ. №...ში (ს/კ ...) მდებარე შენობის 1 კვ.მ სახურავის და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური 3 120 ლარი იყო;

3.21. მოპასუხემ კი აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგოდ წარადგინა ექსპერტიზის ბიუროს 2015 წლის 12 თებერვლის №... დასკვნა, რომლის თანახმადაც, ქ. ქობულეთში, ... გამზ. №...ში (ს/კ ...) მდებარე №... შენობა-ნაგებობის სახურავზე, შპს „ჯ-ს“ სარგებლობაში არსებული მობილური კავშირგაბმულობის სადგურის განთავსებისათვის გათვალისწინებული 17.35 კვ.მ ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება 1 000 ლარიდან 1 500 ლარამდე მერყეობდა. ქონების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ვერ დგინდებოდა აღნიშნული ობიექტის 1 კვ.მ ფართის ყოველთვიური ქირის საბაზრო ღირებულება;

3.22. მოსარჩელის მიერ წარდგენილ აუდიტორულ დასკვნაში შეფასება განხორციელებული იყო მხოლოდ დასკვნის შედგენის მომენტში არსებული, ანუ 2014 წლის მონაცემებით, მაშინ, როდესაც სასარჩელო დავის საგანს წარმოადგენდა 2011 წლიდან პერიოდში საფასურის გადახდევინება. მოპასუხის მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში კი შეფასება განხორციელებული იყო 2011-2014 წლების მონაცემების შესწავლის შედეგად. გარდა ამისა, ექსპერტიზის დასკვნაში გადმოცემული იყო შესაფასებელი ქონების, შეფასების მეთოდოლოგიის უფრო დეტალიზებული აღწერა, ვიდრე – აუდიტორულ დასკვნაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო დავის საგნისათვის უფრო შესატყვისი და დასაბუთებული იყო სწორედ მოპასუხის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, ვინაიდან ამ დასკვნაში ყოველთვიური საიჯარო ქირის საორიენტაციო საბაზრო ღირებულება გონივრულ შეესაბამებოდა შპს „ჯ-ის“ მიერ მიიჯარესთან დადებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის ოდენობას, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ფართის სარგებლობისათვის ყოველთვიური საფასურის ოდენობა 1 250 ლარით უნდა განსაზღვრულიყო;

3.23. მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ შპს „ჯ-ის“ იჯარით გადაცემული ფართი და სადავო ფართი, რომელზედაც ითხოვდა საფასურის გადახდევინებას, სხვადასხვა იყო: სადავო ფართი მდებარეობს ... გამზ. №...ში, იჯარის საგანი კი – ... გამზ. ...ში, შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცება, რომ მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა, სასამართლომ არ გაიზიარა და დაეთანხმა მოპასუხის პოზიციას, რომ, მართალია, ქირავნობის ხელშეკრულებით და საიჯარო რეესტრის ამონაწერით ხელშეკრულება დადებული იყო უძრავ ნივთზე ს/კოდით ..., ხოლო რეალურად ანძა განთავსებული იყო

უძრავ ქონებაზე ს/კოდით ..., ეს ვერ შეცვლიდა ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც გამოწვეული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომით სადავო გარიგების დადებისას;

3.24. ქირავნობის ხელშეკრულების დადების დროს ქ. ქობულეთში, ... გამზ. №...-ში, ... გამზ. ...ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები შემოსაზღვრული იყო საერთო ღობით და წარმოადგენდა მეიჯარის საკუთრებას, ოღონდ დარეგისტრირებული იყო სხვადასხვა კოდებსა და მისამართზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა სადავო ფართის მდებარეობას, რადგან ორივე ფართს ჰყავდა ერთი მესაკუთრე – მეიჯარე (მესამე პირი), რომელმაც ხელშეკრულება შპს „ჯ-ნ“ გააფორმა;

3.25. მოსარჩელემ მეიჯარეს, სასამართლო წესით მოსთხოვა შპს „ჯ-ან“ დადებული ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხების დაკისრება, რაც დაკმაყოფილდა, ასევე უდავოდ დადგენილი იყო, რომ შპს „ჯ-ს“ მხოლოდ მეიჯარესთან ჰქონდა დადებული ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო აპარატურის განთავსებაზე;

3.26. მოპასუხეს ფიჭური კავშირგაბმულობის ანძა განთავსებული ჰქონდა ... გამზ. ...ში. ამასთან, ქირავნობის ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ დამქირავებელი ფართს ქირაობდა შესაბამის ტერიტორიაზე ფიჭური ანძის განთავსების მიზნით. ზემოაღნიშნული ორი ფაქტის შეპირისპირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე სწორედ იმ ქონების არამართლზომიერ სარგებლობას ედავებოდა, რომელიც სამინისტროსა და მეიჯარეს შორის ქირავნობის ხელშეკრულების საგანი იყო;

3.27. საკითხის შეფასებისას სასამართლომ ის გარემოებაც გაითვალისწინა, რომ მესაკუთრე (მოსარჩელე) დავის პროცესში, ნაცვლად აღნიშნულ ფაქტზე საკუთარი სასარჩელო მოთხოვნის დაფუძნებისა და შესაბამისი მტკიცებულების წარდგენით საკუთარი პოზიციის განმტკიცებისა, ქირავნობის ხელშეკრულების ნამდვილობას, მესაკუთრესა და გამქირავებელს შორის დადებული ხელშეკრულების სავალდებულო პირობებზე მითითებით შეედავა, რომელიც, მოსარჩელის მტკიცებით, ქონების შემძენს ვალდებულების სრულად შესრულებამდე უფლებრივად ზღუდავდა, გამყიდველის თანხმობის გარეშე ქონება სხვა პირისთვის გადაეცა სარგებლობაში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის იმთავითვე ცნობილი იყო ქირავნობის ხელშეკრულების საგნად სხვა ქონების (...) დაქვემდებარებაზე მითითების უსაფუძვლობა;

3.28. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სა-

აპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარეობს. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 982-ე, 985-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ ხელყოფის კონდიქცია ჰგავს დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მაგრამ იგი წინაპირობად ბრალეულობას არ აყენებს. ხელყოფის მოთხოვნის წამოყენების საფუძველი ხელყოფის არამართლობიერებაში მდგომარეობს, რადგან თავად მოქმედება აკრძალული არ არის (ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა დელიქტთან და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნასთან), არამედ გადამწყვეტი გარემოება არის ის, რომ მოპოვებული ქონებრივი შედეგითი სხვას ეკუთვნოდა. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის კრედიტორი არის უფლებამოსილი პირი, ე.ი. განკარგვის უფლების მქონე (მესაკუთრე, კეთილსინდისიერი მფლობელი), მოთხოვნის მოპასუხე არის არაუფლებამოსილი პირი, ე.ი. პირი, რომელსაც არ აქვს განკარგვის უფლება (იგი არც უფლების მესაკუთრეა და არც განკარგვაზე უფლებამოსილი). განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვიბრუნებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ამ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება (იხ. სუსგ-ები: №ას-472-448-2013, 27.01.2015წ; №ას-308-293-2013, 30.05.2017წ; №ას-197-186-2017, 30.05.2017წ.);

3.29. ამასთან, სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. ვინაიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუშოთხოვნას არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სახელშეკრულებო, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ან სხვა რაიმე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო – 10-წლიანი ვადა, რაც მოსარჩელეს დაცული აქვს (იხ. სუსგ-ები: №ას-225-215-2016, 25.05.2016წ; №ას-15-15-2016, 01.03.2016წ.);

3.30. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანცი-

ის სასამართლოს შეფასება და მიიჩნია, რომ ქირავნობის სახელ-
შეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოპასუხემ კეთილსინდი-
სიერად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება იმ მხარის წინაშე, ვის-
თანაც შეთანხმა გარიგების პირობები და ვისაც იგი მოიაზრებდა
მოთხოვნის კრედიტორად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ
სამინისტროს 2014 წლის 25 ივნისამდე არანაირი მოთხოვნა ქირის
გადახდის თაობაზე მოპასუხისათვის არ წარუდგენია;

3.31. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობს
08.09.2011-25.06.2014 წლებში მოპასუხის მიერ მეიჯარისათვის კე-
თილსინდისიერად გადახდილი ქირის საფასურის სამინისტროსათ-
ვის ანაზღაურების საფუძველი. აღნიშნული კეთილსინდისიერები-
სა და სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება;

3.32. რაც შეეხება 25.06.2014-07.03.2018 წწ. პერიოდს, დადგე-
ნილია, რომ აღნიშნული უძრავი ქონება 2011 წლის 8 სექტემბრი-
დან 2018 წლის 7 მარტამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საკუთრება იყო;

3.33. სამინისტრომ 2014 წლის 25 ივნისს აცნობა მოპასუხეს მი-
სი კუთვნილი უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობის
შესახებ, რის გამოც მოითხოვა მისი თავისუფალ მდგომარეობაში
ჩაბარება და სარგებლობის საფასურის გადახდა;

3.34. მიუხედავად ამისა, დადგენილია, რომ მთელი ამ პერიო-
დის განმავლობაში მოპასუხე, უძრავი ქონების მესაკუთრის თან-
ხმობის გარეშე, სარგებლობდა ამ უძრავი ქონებით და ფართს კო-
მერციული დანიშნულებით იყენებდა, თუმცა რაიმე თანხა მესა-
კუთრისათვის არ გადაუხდია;

3.35. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სსკ-
ის 982.1 მუხლის შესაბამისად, არსებობს 25.06.2014 წ.-დან
07.03.2018 წ.-მდე ქირის მოსარჩელისათვის ანაზღაურების საფუძ-
ველი;

3.36. სააპელაციო სასამართლომ ქირის ოდენობასთან დაკავში-
რებით განმარტა, რომ სსსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერ-
ტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი
შეფასება ხდება სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, რომ-
ლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა
აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცე-
ბულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებო-
დეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედე-
გადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე
გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ;

3.37. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი
ინსტანციის სასამართლოს შეფასება და გონივრულად და სამარ-

თლიანად მიიჩნია, რომ სადავო ფართის სარგებლობისათვის ყოველთვიური საფასურის ოდენობა 1 250 ლარით განსაზღვრულიყო.

4. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრებით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა, ხოლო მოპასუხემ – სარჩელის უარყოფა.

4.1. პირველი კასატორის განმარტებით, არც პირველმა და არც მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ შეაფასეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და საბოლოოდ იმდენად არასწორი დასაბუთებით იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებაა ის, რომ დავა წარმოშობილია არა იჯარის ხელშეკრულებიდან, არამედ ქონების არამართლობიერად დაკავების ფაქტიდან;

4.2. მოპასუხე კომპანია ვერც ერთი წარმოდგენილი მტკიცებულებით ვერ ადასტურებს, რომ რომელიმე მხარე საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებს. მოპასუხეს არ წარუდგენია საიჯარო ქირის გადახდის არც ერთი ქვითარი, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს, რომ მოიჯარე მეიჯარეს – სამინისტროს უხდოდა საიჯარო ქირას იმ სადავო ქონების ფარგლებში, რაზედაც მიმდინარეობს დავა. ამდენად, საჯარო რეესტრის ამონაწერებითა და საიჯარო ხელშეკრულებით უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ სადავო ფართი მდებარეობს ... გამზ. №...-ში (ს/კ ...), ხოლო, შპს „გ-სა“ და შპს „ჯ-ს“ შორის დადებული იჯარის საგანი – ... გამზ. ...ში (...);

4.3. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მესაკუთრე (მოსარჩელე) დავის პროცესში, ნაცვლად აღნიშნულ ფაქტზე სასარჩელო მოთხოვნის დაფუძნებისა და შესაბამისი მტკიცებულების წარდგენით საკუთარი პოზიციის განმტკიცებისა, სხვა გარემოებებზე შეედავა მოპასუხეს. სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემობას, რომ მოპასუხეს ქობულეთში, ... გამზ. №...-ში (ს/კ ...) მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ნაწილი, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჰქონდა დაკავებული, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რაც გამოიხატებოდა, მისი საკუთრების გამოყენების ხელშეშლასა და მიუღებელ შემოსავალში;

4.4. პირველი კასატორის განმარტებით, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, ნამდვილად იყო თუ არა ტექნიკური ხარვეზი ხელშეკრულებაში, ეკუთვნოდა მოპასუხეს, რადგან საქმეში წარდგენილი იჯარის ხელშეკრულებით უდავოდ დგინდებოდა, რომ შპს „გ-

ის“ (მეიჯარეს) მოპასუხისათვის იჯარით გადაცემული ჰქონდა ქობულეთში, ... გამზ. ...ში (ს/კ ...) და არა ... გამზ. №...ში (ს/კ ...) მდებარე ფართი. შესაბამისად, უდავოა, რომ ... გამზ. №...ში (ს/კ ...) მდებარე უძრავი ქონება მოპასუხეს იჯარით სარგებლობაში არასოდეს გადაცემია და იგი ქონებით ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სარგებლობდა. ამდენად, შპს „გ-ან“ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მისაღები თანხა არსებულ დავის საგანთან კავშირში არ არის;

4.5. მეორე კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქირის თანხა 1 250 ლარს შეადგენდა დღგ-ის ჩათვლით, რაც იმას ნიშნავს, რომ მეიჯარე იყო ასევე დღგ-ის გადამხდელი, შპს „ჯ.“ დღგ-ის თანხას ითვლიდა (ანუ ამ თანხას უკან იბრუნებდა). ამის გამო შპს „ჯ-ის“ რეალური ხარჯი ქირის ოდენობიდან გამომდინარე $1250-225(1250*18\%)=1025$ ლარს შეადგენდა. ვინაიდან, მოსარჩელე არაა დღგ-ის გადამხდელი მის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა არ შეიძლება მოიცავდეს დღგ-ს, შესაბამისად მოსარჩელემ სრულიად უსაფუძვლოდ მიიღო თითოეულ თვეზე 225 ლარი, რაც ჯამში 43 თვეზე 9 675 ლარს შეადგენს. მეორე კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც დღგ არაპირდაპირი გადასახადია, ანუ ეს არის გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და განუვლი მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შექენისას (იმპორტისას). ასევე, სასამართლოს მიერ არ იქნა გამოყენებული ამავე კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე, გარდა ამ კარით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო 174-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით „დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით“;

4.6. მოპასუხე კომპანიის განმარტებით, მოცემული ურთიერთობა ქირავნობის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობაა. ამდენად, ამ ურთიერთობის უსაფუძვლო გამდიდრებად შეფასება არ შეესაბამება სსკ-ის 531-ე მუხლის შინაარსს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული სსკ-ის 982-ე მუხლი. სსკ-ის 982-ე მუხლის დისპოზიციის არსებობისთვის აუცილებელია, რომ მეორე პირის სამართლებრივი სიკეთის

ხელყოფა ხდებოდა მისი თანხმობის გარეშე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მეიჯარის (მესამე პირის) უფლებამონაცვლედ გახდომის შემდეგ, სამინისტროზე გადავიდა ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები, მათ შორის სსკ-ის 162-ე მუხლით განსაზღვრული მოვალეობა – დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. ამდენად, სამინისტროს წერილში აღნიშნული მოთხოვნა, რომ ნივთი მათ დაბრუნებოდათ კანონსაწინააღმდეგო იყო, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა როგორც სსკ-ის 531-ე, ისე – 162-ე, 575-ე მუხლებს;

4.7. სააპელაციო სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადის გამოყენებას მეორე კასატორი არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ სსკ-ის 128.3 მუხლის ნაცვლად ამავე კოდექსის 129.1 მუხლი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. შესაბამისად, ხანდაზმულობა პერიოდი სარჩელის შეტანიდან სამი წლის ვადის ზევით ანუ 2012 წლის 6 იანვრამდე არსებული მოთხოვნები. მოთხოვნების ხანდაზმულობას, ასევე, ითვალისწინებს სპეციალური კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 492-ე მუხლი;

4.8. უდავოა, რომ შპს „ჯ.“ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა მოცემულ ფართს. მას შემდეგ, რაც უძრავი ქონების მესაკუთრე პირველი კასატორი (სამინისტრო) გახდა, იგი ავტომატურად, სსკ-ის 572-ე მუხლის საფუძველზე, უძრავი ქონების გამქირავებელი გახდა და ჩაენაცვლა მესამე პირს (შპს „გ-ის“).

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის განჩინებებით მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მასში მოთავსებული მტკიცებულებებისა და საკასაციო საჩივრების პრეტენზიების არსებითად განხილვის გზით მივიდა დასკვნამდე, რომ პირველი კასატორის (მოსარჩელე სამინისტროს) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მეორე კასატორის (მოპასუხე კომპანიის) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, ქვემოთ დასახელებული სავალდებულო სამართლებრივი მითითებებით.

6. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის

გადანყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანყვეტილების მიღება.

7. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

8. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს

ინვესტ. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძველის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64) – შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ.

9. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიებს, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა და მოპასუხე სამართლებრივი საფუძველის გარეშე ფლობდა სადავო უძრავ ქონებას, რომლის საკადასტრო კოდიც არ ემთხვევა ხელშეკრულებაში მითითებულ საკადასტრო კოდს. ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლომ დეტალური კვლევა აწარმოა და დაადგინა, რომ საკადასტრო კოდებს შორის ცდომილება ტექნიკური ხასიათის შეცდომით იყო გამოწვეული. ამასთან, სადავო საკითხის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსარჩელე სწო-

რედ იმ ქონების არამართლზომიერ სარგებლობას ედავებოდა მოპასუხეს, რომელიც სამინისტროსა და მეიჯარეს შორის ქირავნობის ხელშეკრულების საგანი იყო, ანუ სამინისტრომ თავიდანვე იცოდა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების საგნად სხვა ქონების (...) დაქვემდებარებაზე მითითება უსაფუძვლო იყო; პირველი კასატორის პრეტენზია ურთიერთნინაალმდევობრივი და დაუსაბუთებელია, ამასთან, მეორე კასატორის საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დასაბუთებულობის გამო, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, თუმცა, სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისათვის სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს რამდენიმე გარემოება.

10. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხეს თანხის გადახდა 2014 წლის 25 ივნისიდან 2018 წლის 7 მარტამდე უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმებით უნდა დაეკისროს. სახელშეკრულებო მოთხოვნის ფარგლებში სსკ-ის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილით იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სსკ-ის 531-ე (ქირავნობის ხელშეკრულებით გამჭირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამჭირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა.) და 572-ე (თუ გამჭირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს გამჭირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები) მუხლებზე მიუთითებს, ხოლო საიჯარო ქონების უკანონო სარგებლობით მიყენებული ზიანის ნაწილში – სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილზე (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი), 408-ე მუხლის პირველი ნაწილსა (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება) და 409-ე მუხლზე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება).

11. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მოპასუხის მიერ ქირავნობის ხელშეკრულებით

ბის ვადის ამოწურვამდე, უძრავი ნივთის არამართლზომიერად ფლობის შესახებ. საქმეზე დადგენილია, რომ ქონება 2010 წლის 20 სექტემბერს, ხუთი წლის ვადით, იჯარით გადაეცა შპს „ჯ-ს“, თვეში 1 250 ლარის საიჯარო ქირის გადახდის პირობით; შპს „ჯ.“ სარგებლობდა ქონებით და 2014 წლის 25 ივნისის ჩათვლით ყოველთვიურად იხდიდა ქონების სარგებლობის საფასურს 1 250 ლარს; სამინისტროს 2014 წლის 25 ივნისის №... წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იქნა წერილის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, ფართის გამოთავისუფლება არ შეიძლება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველად იქნეს მიჩნეული და მხოლოდ ამ ნაწილშია გაზიარებული მეორე კასტორის პრეტენზია (იხ. წინამდებარე განჩინების 4.6 და 4.8 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართლზომიერი მფლობელია პირი, რომელიც სამართლებრივი საფუძველით ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. მაშასადამე, მართლზომიერი მფლობელობა მიუთითებს ობიექტურად არსებულ ფაქტორებზე, რაც ვლინდება მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში (იხ. სუსგ №ას-1574-2019, 28.04. 2020 წელი).

12. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნივთის ფლობის სანივთო უფლება, აბსოლუტური უფლებაა (ნივთზე ბატონობის სანივთო უფლება აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება (იხ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.100) და, შესაბამისად, მოქმედებს ყველას მიმართ, განსხვავებით ფარდობითი უფლებებისაგან, რომელიც არსებობს ორ ან რამდენიმე პირს შორის სამართლებრივ ურთიერთობაში, შესაბამისად, მიმართულია მხოლოდ კონკრეტული პირის/პირთა წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მფლობელის ფარდობითი (ვალდებულებითი) უფლებაც კი, კანონმდებელმა სანივთო უფლების მფლობელის უფლებას გაუტოლა – დამქირავებელი და მოიჯარე დაცულია მინის მესაკუთრის უფლებამონაცვლეთა მოთხოვნებისგან (სსკ-ის 572-ე და 581.2 მუხლები).

13. სსკ-ით განმტკიცებული ხელყოფის კონდიქციის შემადგენლობა მოპასუხის მიმართ თავს იჩენს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის (საქმეზე დადგენილია, რომ ქონება 2010 წლის 20 სექტემბერს, ხუთი წლის ვადით, იჯარით გადაეცა შპს „ჯ-ს“, თვეში 1 250 ლარის საიჯარო ქირის გადახდის პირობით) დღიდან ქონების გამოთავისუფლებამდე პერიოდში. დროის ამ მონაკვეთში ცალსახაა, რომ მოპასუხე უკვე გასული იყო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და ქონების შემდგომ ფლობას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განაგრძობდა, ამასთან, არც ქონებით სარგებლობისთვის არ გადაუხდია შესაბამისი საფასური. როგორც ზემოთ

აღინიშნა, ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 982-ე მუხლი, რაც მართებულად აქვს მითითებული სააკუალო სასამართლოს. კასატორთა საყურადღებოდ, ამ ნორმის მიზანთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მისავე ერთ-ერთ განმარტებას მოიხმობს: „განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან“ (იხ. სუსგ №ას-472-448-2013, 5.12.2013წ; №ას-275-2020, 16.11.2021წ; №ას-1227-2018, 15.02.2022წ.).

14. ერთ-ერთ ანალოგიურ საქმეზე საკასაციო სასამართლომ შემდეგნაირად განავითარა მსჯელობა: „განსახილველ დავაზე სამართლებრივი მსჯელობის შემდგომი წარმართვისათვის, უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, დააზუსტოს მოპასუხესთან დადებული გარიგების შინაარსი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხესთან დაიდო არა იჯარის, არამედ ქირავნობის ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“). საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეს სარგებლობაში გადაეცა კონკრეტული უძრავი ნივთი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არ იძლეოდა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას; კერძოდ, მონინაალმდევე მხარეს, საბანკო საქმიანობის მიზნით, ნივთის გამო-

ყენება შეეძლო მას შემდეგ, რაც ის საკუთარი სახსრებით გადააკეთებდა, გაარემონტებდა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურავდა ნაქირავებ საგანს (სუსგ. საქმე №ას-738-700-2015, 18.12.2015წ.). ანალოგიურად, კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხისთვის სარგებლობაში გადაცემული ფართი არა თავისთავად იყო გამიზნული ნაყოფის მიღებისათვის, არამედ დამქირავებელმა საკუთარი სახსრებით განათავსა მასში ფიჭური კავშირგაბმულობის დანადგარები შესაბამისი კომერციული მიზნებისათვის... ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხესა და ე.წ. მეიჯარეს შორის დაიდო არა იჯარის, არამედ ქირავნობის ხელშეკრულება“ (იხ. სუსგ №ას-172-161-2017, 29.06.2017წ.). საკასაციო სასამართლო სსკ-ის 572-ე მუხლზე მითითებით (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში) განმარტავს, რომ თუ დამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემდენი იკავებს დამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. დამქირავებელსა და დამქირავებელს შორის დადებული 2010 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულება, რომელსაც კონსტიტუციური მნიშვნელობა ჰქონდა კონტრაჰენტი მხარეებისათვის, ითვალისწინებდა დათქმას, რომლის თანახმად, დამქირავებელს უნარჩუნდება ხელშეკრულების გაგრძელების ან განახლების უპირატესი უფლება 5 წლის შემდეგ, თუ მხარეები წინააღმდეგი არ იქნებიან ხელშეკრულება გაგრძელება ავტომატურად, ხოლო თუ დამქირავებელი მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას, დამქირავებელი ვალდებულია, შენობა დაცალოს 6 თვის განმავლობაში, დამქირავებლის ხარჯით; ასევე კონსტიტუციური მნიშვნელობისაა კონტრაჰენტი მხარეებისათვის, ხელშეკრულების შეწყვეტის წესის ის პირობა, სადაც მითითებულია, რომ მხარეთა რეორგანიზაცია ან მათი მფლობელის შეცვლა არ ქმნის წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს ან ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ქირის ოდენობის გადასინჯვის პირობას (იხ. შეად. ასევე სუსგ – №ას-162-161-2017, 29.06. 2017წ.). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა დაბრუნების ეტაპზე უნდა იმსჯელოს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში არსებულ მხარეთა ურთიერთვალდებულებებსა და ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ კრედიტორის წინაშე მოვალის მიერ შესასრულებელ ვალდებულებაზე. ასევე მოპასუხე საკასაციო საჩივარში მიუთითებს სარჩელის ნაწილის ხანდაზმულობაზე და ყურადღებას მიაქცევს მხარეთა შორის არსებულ ქირავნობის ურთიერთობას. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მისადაგების შემდეგ სააპელაციო სასამართლო ამ ნაწილშიც ხე-

ლახლა იმსჯელებს და გამოიტანს დასკვნას, რადგან საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნევს, მეორე კასატორის პრეტენზიას სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გამოყენებასთან დაკავშირებით იმ პერიოდისათვის, როცა მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულება არსებობდა, ხოლო ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ გამოყენებული უნდა იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები, შესაბამისად, 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადით (რაზედაც საპელაციო სასამართლოც უთითებს).

15. მეორე კასატორის საკასაციო პრეტენზიის ნაწილი საპელაციო სასამართლოს მხრიდან სადავო ქონებით სარგებლობის საფასურის არასწორად განსაზღვრას ეფუძნება და მოპასუხისათვის დაკისრებული თანხიდან იმ თანხის გამოკლებას, რაც კომპანიამ დღგ-ს სახით გადაიხადა. ამ მიმართებით საკასაციო სასამართლო მეორე კასატორს ხელშეკრულების 6.1 პუნქტზე მიუთითებს, რომელიც კონტრაქტითა შორის შეთანხმდა არსებითი პირობის სახით (სსკ-ის 319-ე და 327-ე მუხლები) და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „დამქირავებლის მიერ დამქირავებლისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს თვეში 1250.00 ლარს, ყველა სახელმწიფო გადასახადის ჩათვლით (შემდგომში: „ქირა“) – და განმარტავს, რომ საკასაციო პრეტენზია დაუსაბუთებელია და ამ ნაწილში დამატებითი კვლევა არ უნდა ჩატაროს საპელაციო სასამართლომ.

16. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად, საკმარისად არ არის დადგენილი რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რის გამოც ზემოხსენებული სამართლებრივი მითითებების ფარგლებში დამატებით უნდა იქნეს დადგენილი მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის გამოსათვლელად აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები იმ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რაც წინამდებარე განჩინებაშია ასახული.

17. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეცდომით ხარჯების განეჭვა სხვა პირის ქონებაზე

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1149-2018

31 იანვარი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქორიაშვილი,
რ. ნადარაია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:
სასარჩელო მოთხოვნა:

1. ბ. ბ-ემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „მოპასუხე შეგებებულ სარჩელში“ ან „მესაკუთრე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. გ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „შეგებებული სარჩელის ავტორი“, სხვა მოპასუხებებთან ერთად – „მოპასუხეები“), ლ. გ-ისა და ლ. გ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან თავის საკუთრებაში რიცხული უძრავი ნივთის, თბილისში, ..., მე-4 სართულზე მდებარე ბინა №52-ის (შემდეგში „სადავო უძრავი ნივთი“, „ბინა“) გამოთხოვა.

შეგებებული სარჩელის მოთხოვნა

2. შეგებებული სარჩელის ავტორი ითხოვს, მესაკუთრეს დაეკისროს სადავო უძრავი ნივთის შიდა რემონტის ხარჯი – 4 000 აშშ

დოლარი, ასევე – კომუნიკაციების მონესრიგებისათვის გაღებულ
22 978 ლარი, სულ – 34 098 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 18.01.2017 წლის გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყო-
ფილდა, მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ
იქნა სადავო უძრავი ნივთი და თავისუფალ მდგომარეობაში გადა-
ეცა მესაკუთრეს; შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობ-
რივ; შეგებებული სარჩელის მოპასუხეს შეგებებული სარჩელის ავ-
ტორის სასარგებლოდ დაეკისრა განეული შიდა ხარჯების ანაზღა-
ურება 4 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა, 11
120 ლარი. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა 22 978 ლარის დაკის-
რების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

4. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა როგორც
მოსარჩელემ, ისე მოპასუხე მხარემ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ- ციო ნაწილი და საფუძველი:

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 28.02.2018 წლის გადაწყვეტილებით:

– მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი მათი უკანონო მფლო-
ბელობიდან სადავო უძრავი ნივთის გამოთხოვის ნაწილში არ დაკ-
მაყოფილდა;

– არ დაკმაყოფილდა მესაკუთრის სააპელაციო საჩივარი მის-
თვის შეგებებული სარჩელის საფუძველზე თანხის დაკისრების ნა-
წილში;

– დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელის ავტორის სააპელა-
ციო მოთხოვნა და 22 978 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნა-
წილში გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა შეგებებული
სარჩელის მოპასუხისათვის 6607 ლარის გადახდის დაკისრების თა-
ობაზე ახალი გადაწყვეტილება (16 371 ლარის დაკისრების ნაწილ-
ში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა).

გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში ეფუძნება შემ- დეგს:

5.1. უძრავ ნივთზე, რომლის მისამართია ქ. თბილისი, ..., (ს/კ ...) და №204 ს/კ ...), თავდაპირველად საკუთრება დარეგისტრირდა 22.05.2006 წელს. 22.05.2006 – 30.08.2006 წლებში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო სახელმწიფო საკუთრების უფლება, 30.08.2006-16.01.2008 წლებში – შპს „თ-ის“ საკუთრების უფლება, 16.01.2008 – 19.03.2008 წლებში – სახელმწიფოს, ხოლო 19.03.2008 – 05.08.2010 წლებში – ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეუ-

ლის საკუთრების უფლება, 05.08.2010-12.08.2010 წლებში უძრავ ნივთზე მიტოვებული იყო საკუთრების უფლება; 12.08.2010 წლიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია სახელმწიფოსა და ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრება.

5.2. ქ. თბილისში, ..., №204 და №205 კორპუსებს სახაზინო საწარმო „თ-ი“ აშენებდა 1980-იანი წლიდან, თანამშრომლების (მათ შორის – მოსარჩელის) ბინებით უზრუნველყოფის მიზნით.

5.3. სახაზინო საწარმო „თ-ის“ (შემდგომში შპს „თ-ი“) მმს №2-ის ადმინისტრაციის პროფკომიტეტის 31.03.1993 წლის სხდომის ოქმის თანახმად, მოსარჩელეს გადაეცა სადავო უძრავი ნივთი.

5.4. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობას სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გაფორმების/პრივატიზების მოთხოვნით. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 11.09.2013 წლის №549 განკარგულებით სადავო უძრავი ნივთი საკუთრების უფლებით გადაეცა მოსარჩელეს. 2013 წლის სექტემბრიდან იგი წარმოადგენს მესაკუთრეს – საჯარო რეესტრში ქონება რეგისტრირებულია მის სახელზე.

5.5. მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებულ სადავო უძრავ ნივთს ფაქტობრივად ფლობენ მოპასუხეები.

5.6. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეზე, როგორც სახაზინო საწარმო „თ-ის“ თანამშრომელზე, ბინა განაწილდა 31.03.1993 წლიდან, მოსარჩელე (ისევე, როგორც სხვა უფლებამოსიებული პირები) ბინაში საცხოვრებლად არ გადასულა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც მესაკუთრე 1993 წლიდან ვერ დაეუფლა ბინას, ის გარემოებაა, რომ საცხოვრებელი კორპუსი იყო დაუმთავრებელი, ე.წ. კარკასი. ნიშანდობლივია, შეგებებული სარჩელის ავტორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბინაში შესვლის მომენტში (2005 წელს) კორპუსი იყო დაუმთავრებელი, კარკასი, რასაც მესაკუთრეც ეთანხმება ნაწილობრივ თავისი შესაგებლით. მესაკუთრე შეგებებული სარჩელის ავტორის ამ მტკიცებას სადავოდ ხდის მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ კორპუსი არ იყო სრულად კარკასი, ჰქონდა კარ-ფანჯარა და სხვა დეტალები. სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საცხოვრებელი კორპუსების ამსახველ ფოტომასალაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 29.08.2012 წლის წერილის შინაარსზე, აგრეთვე, შპს „ყ-თ-თან“ 26.12.2012 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომლითაც დასტურდება, რომ კორპუსი შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინის დაკავების მომენტისათვის არ იყო უზრუნველყოფილი არც ელექტრო და არც ბუნებრივი აირის მომარაგებით. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინ-

ნებით, სააპელაციო პალატა იზიარებს შეგებებული სარჩელის ავტორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბინის დაუფლების მომენტი-სათვის კორპუსი კარკასი იყო და არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მოუნესრიგებელი იყო კორპუსის სახურავი, სარდაფი, კიბის უჯრედები და არ ჰქონდა წვიმის წყლის სანიაღვრე არხი, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ელემენტარაგება, გაზმომარაგება, გზა; სადავო ბინაში ცხოვრება შეუძლებელი იყო კორპუსისა და ბინისათვის საჭირო სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების გარეშე.

5.7. სასამართლოს განმარტებით, შეგებებული სარჩელის ავტორის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ის ითხოვს მის მიერ განეული ხარჯების დაკისრების ნაწილში შეგებებული სარჩელის სრულად (გარე სამუშაოების ხარჯის – 22 978 ლარის დაკისრებას მოპასუხისათვის) დაკმაყოფილებას, ნაწილობრივ გასაზიარებელია.

5.8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 164-ე, 987-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სხვის ქონებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების განსაზღვრისას უტყუარად უნდა დადგინდეს მიმღების გამდიდრების ფაქტი. ამავდროულად, გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა უფლებამოსილი პირს უბრუნდება ნივთი. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების გათვალისწინებით უნდა შემოწმდეს შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა.

5.9. შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების ღირებულების განსაზღვრის მიზნით შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ წარმოდგენილია დამოუკიდებელ აუდიტორ მ. გ-ას მიერ 14.04.2016 წელს შედგენილი №16-ქ/14 დასკვნა, რომლის თანახმადაც შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინაში შიგნით შესრულებული შიდა სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია 4000 აშშ დოლარით, ხოლო გარე სამშენებლო და საკომუნიკაციო ხარჯები – 12 960 აშშ დოლარით. მთლიანად შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ განეული ხარჯი შეფასებულია 16 960 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. დასკვნის კვლევითი ნაწილის მიხედვით, ბინაში შესვლის დროისთვის კორპუსი იყო დაუსრულებელი, არ ჰქონდა სახურავი, კიბის უჯრედები იყო უმოაჯიროდ, არ არსებობდა წვიმის წყლის სანიაღვრე არხი, საყოფაცხოვრობო კომუნიკაცია და გზა. სხვადასხვა სამშენებლო და დეველოპერული კომპანიის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბინაში შესვლამდე კარკასის სავარაუდო ღირებულება იყო 4 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ბინაში შესრულებული შიდა სამუშაოების ღირებულება, ამჟამად (დამუშავებული კედლები, ქერი, იატაკი, კარ-ფანჯარა და შიდა ყველა კომუნა-

ლური ქსელი) უნდა იყოს 4 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

5.10. ქალაქ თბილისში, ..., №204 და №205-ე კორპუსებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების შესახებ შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ წარმოდგენილია შპს „ბ. ა-ის“ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა №16/12-04. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, კორპუსებში (№204 და №205) და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 05.12.2016 წლის მდგომარეობით შეადგენს 620 407.11 ლარს. შესრულებული სამუშაოების დაანგარიშების მიხედვით, რომელიც დასკვნაში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი, ირკვევა, რომ 620 407.11 ლარიდან კორპუსის შიდა წყალგაყვანილობის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა 12 150 ლარი, ბინების შიდა გაზგაყვანილობის მონტაჟისთვის – 18 900 ლარი, ორივე №204 და №205 კორპუსებში, სულ 108 ბინიდან მხოლოდ 27 ბინაშია წყლისა და გაზის გაყვანილობა. დასკვნის მიხედვით, სამუშაოები შესრულებულია კორპუსში მცხოვრები 27 ოჯახის მიერ, რომელთა რაოდენობის განსაზღვრისას ექსპერტი დაეყრდნო ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის, ... დასახლების მე-2 მრ-ის. 204-ე და 205-ე კორპუსების მობინადრეთა 28.11.2016 წლის კრების ოქმში მითითებულ ინფორმაციას. შპს „ბ. ა-ის“ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შემომწებულ ობიექტზე შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: ძველი, ამორტიზებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გარე წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი, სარდაფის რეაბილიტაცია, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, სახურავის რეაბილიტაცია, შიდა წყალგაყვანილობის მოწყობა, მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა, ელმომარაგების ხაზის გაყვანა, ელმომარაგების ქვესადგური, გაზმომარაგების დაპროექტება, ბინების შიდა გაზმომარაგება, კიბის უჯრედებში მოაჯირის მონტაჟი და ატმოსფერული ნალექების გამწვევი მილების მონტაჟი. დასკვნის საფუძველზე ირკვევა, რომ ექსპერტებმა შესრულებული სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს და შეამოწმეს. შესაბამისად, შპს „ბ. ა-ის“ 09.12.2016 დასკვნით ირკვევა, რომ ქალაქ თბილისში, ... 204-ე და 205-ე კორპუსებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების დასადგენად დასკვნის მომზადებას წინ უძღოდა ობიექტის სრული დათვალიერება, გადაღებულია ფოტომასალა, წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოების დეტალური დაანგარიშება.

5.11. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი სსსკ) 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ შეგებებული სარჩელის ავტორმა მოთხოვნის დასადასტურებ-

ლად წარმოადგინა აუდიტის დაკვეთები სარემონტო, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასების მიზნებისათვის. შეგებებული სარჩელის მოპასუხეს აღნიშნული მტკიცებულებით დადასტურებული ფაქტების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. მარტოდენ მითითება მტკიცებულების უსაფუძვლობაზე, საკმარისი არ არის და არ შეესაბამება მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტს. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას მესაკუთრემ დაადასტურა ბინაში შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ გარკვეული სამუშაოების ფაქტი, მაგალითად, მან დაადასტურა შესასვლელი კარის, ბინაში მეტალოპლასტმასის ფანჯრების, აივანზე მოაჯირის მოწყობის, წყლის გაყვანილობის სამუშაოების შესრულება. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინის გარემონტების ხარჯი შეადგენს 4 000 აშშ დოლარს, ხოლო გარე სამუშაოების (შეგებებული სარჩელის ავტორისა და კიდევ 26 მობინადრის მიერ) ხარჯი სულ – 620 407.11ლარს.

5.12. სასამართლომ განმარტა, რომ კონდიქციური ვალდებულების საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილების დროს მნიშვნელოვანია, დადგინდეს ობიექტური შედეგი, რაშიც იგულისხმება ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე გამდიდრება, სამართლებრივი სიკეთის შექმნა, საკუთარი ქონების დაზოგვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ასევე აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვა პირის ხარჯზე, რის შედეგად ერთი პირის ქონება იზრდება სხვა პირის ქონების შემცირების ხარჯზე, ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან წარმოშობილი ვალდებულების უმთავრესი ფუნქციაა მხარეთა ინტერესებს შორის ნონასწორობის აღდგენა, რათა ერთმა პირმა სამართლებრივი უპირატესობა და ქონებრივი სიკეთე არ მიიღოს მეორის ხარჯზე, მათ შორის – სახელმეკრულებო ურთიერთობის არარსებობის პირობებში. პირის გამდიდრება გულისხმობს არა მარტო უძრავი ქონების ღირებულების გაზრდას გამოსახული ფულად ერთეულში, არამედ ქონების სამეურნეო დანიშნულების გაუმჯობესებაც. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ კორპუსს არ გააჩნდა საჭირო კომუნიკაციები (კანალიზაცია, ბუნებრივი აირით მომარაგება, ელმომარაგება, სახურავი, საჭიროებდა შეკეთებას, არ გააჩნდა სანი-ალვრე მილები, მისასვლელი გზა, კორპუსის სარდაფი და მიმდებარე ტერიტორია საჭიროებდა წლების განმავლობაში დაგროვებული ნაგვისგან დასუფთავებას), ბინა არ იყო საცხოვრებლად ვარგისი. გასათვალისწინებელია, რომ მესაკუთრის მიერ, რომელსაც ბინაზე 1993 წლიდან ჰქონდა უფლება მოპოვებული, ამ ბინის დაკა-

ვება ვერ მოხერხდა ძირითადად კორპუსის დაუსრულებლობის მიზეზით. თავის მხრივ, შეგებებული სარჩელის ავტორისა და მის მსგავსად 26 ოჯახის მიერ დასახელებულ მისამართზე ბინების თვითნებური დაუფლებაც სწორედ ამ ფაქტით აიხსნება, რომ კორპუსები იყო დაუსრულებელი და იქ ცხოვრება – შეუძლებელი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო. შესაბამისად, პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ფაქტობრივ გარემოებას, რომ ხარჯების განწესისა და შესაბამისი (შიდა და გარე) სამუშაოების გარეშე ბინაში ცხოვრება შეუძლებელი იყო.

5.13. სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების შედეგად ბინა საცხოვრებლად ვარგისი გახდა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2005 წელთან – შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინის თვითნებურად დაკავების დროსთან შედარებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც მოსარჩელემ, როგორც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულმა მესაკუთრემ, განუცხადა მას პრეტენზია ბინის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2013 წლის გაზაფხულისათვის, შეგებებული სარჩელის ავტორს დამატებით სარემონტო სამუშაოები აღარ შეუსრულებია. ხარჯები ბინის რემონტისა და კორპუსის გარე სამუშაოებისათვის განუღებ იქნა ეტაპობრივად – 2005 წლიდან 2013 წლამდე. საკითხის სწორი შეფასებისათვის სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომ დასახელებულ ბინაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების 2013 წლიდან დარეგისტრირების მიუხედავად, მოსარჩელე ამ ბინაზე სახაზინო სანარმო „თ-ის“ (შემდგომში შპს „თ-ი“) მმს №2-ის ადმინისტრაციის პროფკომიტეტის 31.03.1993 წლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე უფლებამოსილებული იყო 1993 წლიდან (საკუთრების მონუმობის გაცემის და საჯარო რეესტრში ბინაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდა სწორედ სახაზინო სანარმო „თ-ის“ (შემდგომში შპს „თ-ი“) მმს №2-ის ადმინისტრაციის პროფკომიტეტის 31.03.1993 №3 სხდომის ოქმი). შესაბამისად, მისი მხრიდან აპელირება, რომ შეგებებული სარჩელის ავტორმა სახელმწიფოს უნდა მოსთხოვოს განუღებ ხარჯების ანაზღაურება, უსაფუძვლოა, რამდენადაც ბინის დაკავების მომენტისათვის ამ ბინაზე უფლება უკვე მოსარჩელეს ჰქონდა მოპოვებული.

5.14. ამგვარად, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ განუღებ ხარჯების შედეგად შეგებებული სარჩელის მოპასუხის კუთვნილი ბინის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებამ გამოიწვია ამ ბინის კეთილსინდისიერი მფლობელისა და მესაკუთრის გამდიდრება, რის საფუძველზეც შეგებებული

სარჩელის მოპასუხეს შეგებებული სარჩელის ავტორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს განუვლი ხარჯების ანაზღაურება. შეგებებული სარჩელის ავტორი ითხოვს 22978 ლარის დაკისრებას. პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არსებობს შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში შპს „ბ. ა-ის“ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 09.12.2016 წლის დასკვნით დადგენილია, რომ ქალაქ თბილისში, ... მიკრორაიონში, 204-ე და 205-ე კორპუსებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის სულ დაიხარჯა 620 407.11 ლარი, საიდანაც 12 150 ლარი კორპუსის შიდა წყალგაყვანილობას დასჭირდა, 18 900 ლარი კი ბინების (სულ 27 ბინის) შიდა გაზგაყვანილობის მონტაჟს, სულ 31 050 ლარი (12 150 + 18 900 = 31 050). სხვაობა 589 357 (620 407–31 050 = 589 357) ლარი გახარჯულ იქნა გარე სამუშაოების წარმოებისთვის. უდავოა, რომ ქალაქ თბილისში, ... მიკრორაიონში, 204-ე და 205-ე კორპუსებში 108 ბინაა, მობინადრე კი – სულ 27 ოჯახია. ყოველივე ამის საფუძველზე პალატა მიიჩნევს, რომ დასკვნაში მითითებული ხარჯის ნაწილი ჯამურად 31 050 (12 150 + 18 900 = 31 050) ლარი, რაც კორპუსის შიდა წყალგაყვანილობის რეაბილიტაციისა და შიდა გაზგაყვანილობის მონტაჟისთვის იქნა განუვლი, კორპუსების მობინადრეთა მიერ დაკავებული ბინების რაოდენობაზე, ესე იგი, 27-ზე უნდა გაიყოს, რადგან სამუშაოების ხასიათის გათვალისწინებით, დადასტურებულად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ შიდა წყალგაყვანილობა და გაზომომარაგება უშუალოდ მობინადრეების მიერ დაკავებულ ბინებში დამონტაჟდა და ამ ღირებულების 31 050 (12 150 + 18 900 = 31 050) სამუშაოების შესრულებით 108 ბინიდან მხოლოდ 27 ბინა (მათ შორის – მოსარჩელის კუთვნილი ბინის №52-ის) გაუმჯობესდა. რაც შეეხება 589 357 ლარის სხვაობას, ეს თანხა გაყოფილი უნდა იქნეს არა კორპუსის მობინადრეთა რაოდენობაზე – 27-ზე, არამედ ორივე კორპუსში არსებული ბინების რაოდენობაზე, 108-ზე, რადგან პალატა მიიჩნევს, რომ დასახელებული თანხით შესრულებული სამუშაოებით არა მხოლოდ 27 ბინა, არამედ მთლიანად ამ ორივე კორპუსში განთავსებული ყველა ბინა გაუმჯობესდა, ესე იგი, სულ 108 ბინა. ყოველივე ეს, ამ შენობაში არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრისთვის ნივთით გამართული სარგებლობის ინტერესს ემსახურება. შესაბამისად, შეგებებული სარჩელის მოპასუხეს უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც უშუალოდ მესაკუთრის ბინის გაუმჯობესებას უკავშირდება, კერძოდ, შეგებებული სარჩელის მოპასუხეს შეგებებული სარჩელის ავტორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს გარე სამუშაოებისთვის განუვლი ხარჯის სახით 6607 ლარის გადახდა

(31 050/27=1150; 589 357/108=5457; 1150 + 5457=6607ლ). შესაბამისად, შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა დარჩენილ – 16371 (22 978 – 6607=16371) ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მესაკუთრემ და მოითხოვა მისი გაუქმება შეგებებული სარჩელის ავტორის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და მისთვის ასანაზღაურებლად 6607 ლარის დაკისრების ნაწილში, ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

9. საქმეზე დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

9.1. ქ. თბილისში, ..., №204 და №205 კორპუსებს 1980-იანი წლიდან აშენებდა სახაზინო საწარმო „თ-ი“ თანამშრომლების (მათ შორის – მოსარჩელის) ბინით უზრუნველყოფის მიზნით.

9.2. ქ. თბილისში, ... №205 (ს/კ ...) და №204 (ს/კ ...) კორპუსებზე საკუთრება თავდაპირველად დარეგისტრირდა 22.05.2006 წელს. 22.05.2006 – 30.08.2006 წლებში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრების უფლება, 30.08.2006-16.01.2008 წლებში – შპს „თ-ის“ საკუთრების უფლება, 16.01.2008 – 19.03.2008

წლებში – კვლავ სახელმწიფოს, ხოლო 19.03.2008 – 05.08.2010 წლებში – ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება. 05.08.2010 – 12.08.2010 წლებში უძრავ ნივთზე მიტოვებული იყო საკუთრების უფლება. 12.08.2010 წლიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია სახელმწიფოსა და ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრება.

9.3. სახაზინო სანარმო „თ-ის“ (შემდგომში შპს „თ-ი“) მმს №2-ის ადმინისტრაციის პროფკომიტეტის 31.03.1993 წლის ოქმით სადავო უძრავი ნივთი გადაეცა მოსარჩელეს.

9.4. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ განიხილა მოსარჩელის განცხადება სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გაფორმების (პრივატიზების) თაობაზე და 11.09.2013 წლის №549 განკარგულებით სადავო უძრავი ნივთი საკუთრების უფლებით გადაეცა მოსარჩელეს. 2013 წლის სექტემბრიდან იგი წარმოადგენს მესაკუთრეს – საჯარო რეესტრში ქონება რეგისტრირებულია მის სახელზე.

9.5. 2005 წელს შეგებებული სარჩელის ავტორი სადავო უძრავ ნივთს დაეუფლა თვითნებურად. მას ამჟამად ფლობენ მოპასუხეები ერთად.

9.6. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეზე ბინა განაწილდა 31.03.1993 წელს, იგი (ისევე, როგორც სხვა უფლებამოსიებული პირები) ბინაში საცხოვრებლად არ გადასულა. ძირითადი მიზეზი ის გარემოებაა, რომ საცხოვრებელი კორპუსი იყო დაუმთავრებელი, კარკასი. კორპუსი შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინის დაკავების მომენტისათვის არ იყო უზრუნველყოფილი არც ელექტოენერგიით და არც ბუნებრივი აირით, მოუნესრიგებელი იყო კორპუსის სახურავი, სარდაფი, კიბის უჯრედები, არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, წვიმის წყლის სანიღვრე არხები, ნყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ელმომარაგება, გაზმომარაგება და გზა, სადავო ბინაში ცხოვრება შეუძლებელი იყო კორპუსისა და ბინისათვის საჭირო სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების გარეშე.

9.7. მესაკუთრემ პრეტენზია სადავო უძრავი ნივთის გათავისუფლებასთან დაკავშირებით განაცხადა 2013 წლის გაზაფხულზე, რის შემდგომაც დამატებით სარემონტო სამუშაოები აღარ შესრულებულა. შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინის რემონტისა და კორპუსის გარე სამუშაოებისათვის ხარჯები განუულ იქნა 2005 წლიდან 2013 წლამდე.

9.8. შიდა და გარე სარემონტო სამუშაოების ღირებულების განსაზღვრის მიზნით შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ წარმოდგენილია დამოუკიდებელი აუდიტორის 14.04.2016 წლის №16-ქ/14 დასკვნა, რომლის თანახმადაც შეგებებული სარჩელის ავტორის

მიერ ბინაში შესრულებული შიდა სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია 4000 აშშ დოლარით, ხოლო გარე სამშენებლო და საკომუნიკაციო ხარჯები – 12 960 აშშ დოლარით.

9.9. ქალაქ თბილისში, ... მდებარე კორპუსებში (№204 და №205) და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების განსაზღვრის მიზნით შეგებებული სარჩელის ავტორმა წარმოადგინა შპს „ბ. ა-ის“ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა №16/12-04 შემდეგი ტექსტში „09.12.2016 დასკვნა“), რომლის მიხედვით შემონმეზულ ობიექტზე შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: ძველი, ამორტიზებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გარე წყალმომარაგების სისტემის მონტაჟი, სარდაფის რეაბილიტაცია, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, სახურავის რეაბილიტაცია, შიდა წყალგაყვანილობის მოწყობა, მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა, ელმომარაგების ხაზის გაყვანა, ელმომარაგების ქვესადგური, გაზმომარაგების დაპროექტება, ბინების შიდა გაზმომარაგება, კიბის უჯრედებში მოაჯირის მონტაჟი და ატმოსფერული ნალექების გამშვები მილების მონტაჟი. დასკვნით ირკვევა, რომ კორპუსებში (№204 და №205) და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების დასადგენად დასკვნის მომზადებას წინ უძღოდა ობიექტის სრული დათვალიერება, გადაღებულია ფოტომასალა, წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოების დეტალური დაანგარიშება.

9.10. 09.12.2016 დასკვნის მიხედვით, კორპუსებში (№204 და №205) და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე შესრულებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 620 407.11 ლარი. 620 407.11 ლარიდან კორპუსის შიდა წყალგაყვანილობის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა 12 150 ლარი, ბინების შიდა გაზგაყვანილობის მონტაჟისთვის – 18 900 ლარი, შიდა წყალგაყვანილობა და გაზგაყვანილობა შესრულებულია ორივე – №204 და №205 კორპუსების 108 ბინიდან, მხოლოდ 27 ბინასთან მიმართებით. დასკვნის მიხედვით, სამუშაოები შესრულებულია კორპუსში მცხოვრები 27 ოჯახის მიერ (ოჯახების რაოდენობის განსაზღვრისას ექსპერტი დაეყრდნო კორპუსების მობინადრეთა 28.11.2016 წლის კრების ოქმში მითითებულ ინფორმაციას). შესაბამისად, ერთ ბინაზე წყალგაყვანილობისა და გაზგაყვანილობის ხარჯების ასანაზღაურებელი ოდენობა 1150 ლარია (12 150+18 900=31 050; 31 050/27=1150).

9.11. 620 407.11 ლარიდან დანარჩენი 589 357 ლარი (620 407.11-31 050=589 357) გაღებულია ორივე კორპუსის ე.წ. გარე სამუშაოებისათვის. ამ თანხით შესრულებული სამუშაოებით გაუმჯობესდა

არ მხოლოდ 27 ბინის, არამედ მთლიანად ამ ორივე კორპუსში განთავსებული ყველა ბინის მდგომარეობა (108 ბინა), რომელიც ამ შენობაში არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრისთვის ნივთით გამართული სარგებლობის ინტერესს ემსახურება. შესაბამისად, ერთი ბინის მესაკუთრის მიერ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 5457 ლარს ($589\ 357/108=5457$).

9.12. ამდენად, მესაკუთრის მიერ ასანაზღაურებელი თანხა წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის და ე.წ. გარე სამუშაოებისათვის შეადგენს 6607 ლარს ($1150+5457=6607$).

10. კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ იგი არ წარმოადგენს შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე ვალდებულ პირს, ვინაიდან სადავო უძრავ ნივთზე ხარჯები განეუღია საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრედ მის რეგისტრაციამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ამახვილებს ყურადღებას შემდეგზე: კასატორი არ ასაჩივრებს (ეთანხმება) განჩინებას იმ ნაწილში, რომლითაც ე.წ. შიდა ხარჯების – 4000 აშშ დოლარის შეგებებული სარჩელის ავტორის სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება უცვლად დარჩა. შესაბამისად, ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. სასამართლომ გადაწყვეტილება/განჩინება ამ, ისევე, როგორც საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულ ნაწილში, დააფუძნა მასზე, რომ, მართალია, მოსარჩელე სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ აღირიცხა 2013 წელს, თუმცა უფლება ნივთზე მოპოვებული ჰქონდა 1993 წლიდან და უბრუნდება ნივთი, რომელზე განეული ხარჯებითაც ის მდიდრდება.

11. საკასაციო პალატა ამ საკითხზე დამატებით განმარტავს: როგორც დადგენილია, ბინაზე უფლება მოპასუხეს შეგებებულ სარჩელში მოპოვებული ჰქონდა სახაზინო საწარმო „თ-ის“ მმს №2-ის ადმინისტრაციის პროფკომიტეტის 31.03.1993 წლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე და ამ დროიდან შეეძლო მისი მართლზომიერად ფლობა. უდავოა, რომ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების მონაწილის გაცემას სწორედ ეს დოკუმენტი დაედო საფუძველად. მიუხედავად იმისა, რომ ის იყო შედავების უფლების მქონე პირი, შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინის დაუფლებისას ვინდიცირება არ მოუთხოვია, რადგან იგი არ იყო საცხოვრებლად ვარგისი. პრეტენზია მოსარჩელემ (მოპასუხემ შეგებებულ სარჩელში) მხოლოდ 2013 წელს განაცხადა, ანუ მას შემდეგ (შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ ბინის რემონტის და კორპუსის გარე სამუშაოებისათვის ხარჯები განეულ იქნა 2005 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში), რაც შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ გაღებული ხარჯებით შესაძლებელი გახდა ბინით მიზნობრივი სარგებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე სადავო უძრავი ნივთის

მისთვის გადაცემის დროდ სარჩელში თავადვე უთითებს 1993 წელს.

12. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მასშტაბს – კეთილსინდისიერების ვალდებულებას, ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში (ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი I, ჭანტურია (რედ), თბილისი, 2017, მუხლი 8, ველი 1, 10-12).

13. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულებაა. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურსამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ვრცელი დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელ მოქმედებას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს (სუსგ №ას-1338-1376-2014, 29.06.2015წ.; სუსგ №ას-189-2020, 20.04.2021წ.).

14. მფლობელის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი და 987-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს, რომელთა ფარგლებშიც სარჩელის წარმატებას განაპირობებს შემდეგი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა: არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა ქონებაზე უნდა განიოს ხარჯები (შეგნებულად ან შეცდომით); ქონების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების მომენტში კვლავ უნდა არსებობდეს გაუმჯობესებანი; ამ გაუმჯობესების შედეგად ქონების მიმღები უნდა გამდიდრდეს. ამავდროულად, გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა უფლებამოსილ პირს უბრუნდება ნივთი (სუსგ №ას-1245-1265-2011, 31.01.2012 წელი). სსკ-ის 987-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სარჩელის საფუძვლიანობის კვლევისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მოსარჩელემ კონკრეტულად რა სახის ხარჯები გაიღო, რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯის გაწევა და ამით გაუმჯობესდა თუ არა სადავო ნივთი, თუ იგი მხოლოდ მოსარჩელის, როგორც ნივთის მფლობელის სპეციალური ინტერესებიდან გამომდინარე იქნა გაწე-

ული. გამოსაკვლევი და შესაფასებელია ის გარემოებაც, რომ შესაძლებელი, ზოგ შემთხვევაში, აუცილებელი საჭიროების გამო, ნივთზე განეული ხარჯები უფლებამოსილი პირის ინტერესებში ყოფილიყო და, ბუნებრივია, მას მესაკუთრის გამდიდრება მოჰყოლოდა (სუსგ №ას-541-2021, 14.07.2021წ.).

15. დანახარჯების ანაზღაურების შესახებ სარჩელის ელემენტების მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება ხარჯების გამწვანეს, კერძოდ, ის არის ვალდებული, მიუთითოს დამფუძნებელი ნორმის წინაპირობები და იმის მიხედვით, თუ რომელ ფაქტებს შეედავება მოპასუხე, განისაზღვრება მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, რომლებიც უტყუარად უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ (მოცემულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორმა), აქვე უნდა განიმარტოს შედავების საფუძვლიანობა, რამდენადაც რიც შემთხვევაში იგი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე: ძირითადად, მოპასუხის მხრიდან ფაქტის მხოლოდ უარყოფა – მარტივი შედავება, შესაძლოა, მტკიცების საგანზე გავლენას არც ახდენდეს, რაც შეეხება კვალიფიციურ შედავებას, იგი სასამართლოს წარმოუშობს ვალდებულებას, ამ შედავების ფარგლებში, სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილ წესით, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიოს მტკიცებულებები და საკუთარ შინაგან რწმენაზე დაყრდნობით განსაზღვროს ფაქტის დადგენილად ცნობის საკითხი. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული (კვალიფიციური) შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დაამტკიცებულად მიიჩნევა (იხ. სუსგ №ას-201-2019, 08.05.2019წ.).

16. მესაკუთრეს (მოპასუხე შეგებებულ სარჩელში) ხარჯების განევის, მათი ოდენობის და ამ ხარჯების აუცილებლობის შესახებ კვალიფიციური შედავება არ წარუდგენია. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ 6607 ლარის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება ეფუძნება 09.12.2016 დასკვნას, რომლის წარმოსაადგენად შეგებებული სარჩელის ავტორს დრო განესაზღვრა 15.11.2016 წლის საოქმო განჩინებით, თავად დასკვნა კი სასამართლოს წარედგინა 15.12.2026 წელს. პირველი ინსტანციის სასამართლოში 22.12.2016 წლის სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

09.12.2016 დასკვნა გადაეცა მესაკუთრეს და განემარტა, რომ შეეძლო, მოეთხოვა დრო დასკვნის დეტალურად გასაცნობად. მესაკუთრე არ დაეთანხმა სხდომის გადადებას და საქმის განხილვის გაგრძელება მოითხოვა. შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით არ არსებობდა 09.12.2016 დასკვნის კრიტიკული შეფასების წინაპირობა. უფრო მეტიც, ასეთი პრეტენზია არც საკასაციო საჩივარშია გაცხადებული.

17. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი გარემოებები, რომლებზეც წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ: ხარჯები განეულ იქნა ნივთით დანიშნულებისამებრ სარგებლობისათვის და არა, უბრალოდ, ნივთთან მფლობელის კავშირის გასაუმჯობესებლად; გაუმჯობესება შენარჩუნებულია, რაც სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრისათვის დაბრუნების მომენტში ინვესტის მის გამდიდრებას.

18. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

19. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ბ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.02.2018წ. გადაწყვეტილება.
3. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge